ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი–კვირა

2 — 3 ივლისი, 2011 №155 (5536) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი

8 ლარი

27 ივნისიდან 11 ივლისამდე






გვ.3

## სოზარ სუბარი: ხვალ დასაჭერად შეიძლება მე მომადგნენ

რატომ დაერია ხელისუფლება ქართული პარტიის წევრებს?

## სააკაშვილი არჩევნებამდე უნდა დავამარცხოთ!

გვ.5





გვ.6

## პეტრე მამრაძე ნოკაუტში არასოდეს ჩავარდნილა

## სააკაშვილის წასვლა დადებითი მოვლენა იქნება

გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## უფლისკენ სავალი გზა ვიწრო და რთულია

გვ.7

განდიდების მანია სერიოზული პრობლემაა



გვ.8

## სიყვარულმა უკვე თავში დამარტყა

გოგა მესხს პირველი ადგილი გამარჯვებად არ მიაჩნია

ISSN 1987-9385



გვ.2

## კვირის ქრონიკა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ბასი რვიანის დაშლით კმაყოფილი დარჩა?

ამ კვირაში ერმა დიდი უბედურება გადაიტანა. პოლიტიკოსებმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვამცნეს, ოპოზიციური რვიანი დაიშალაო. ამ ერთობის დაშლა მემარჯვენეების და ქრისტიან-დემოკრატების



გადაწყვეტილებამ გამოიწვია.

ყველამ იცის, რომ ეს რვიანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბრობდა. ერთი შეხედვით ულტიმატუმის ენითაც ესაუბრებოდა ხელისუფლება, მაგრამ მოულოდნელად ნაციონალებს ჩაეხუტნენ.

ამ ჩახუტებით ხელისუფლება კმაყოფილია, რვიანში შემავალი ექვსი პარტია — აღშფოთებული. ისინი ისევ აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას. ხელისუფლება ამბობს, რომ მოლაპარაკებები დასრულდა.

აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ოპოზიციის ნაწილს შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

როგორც მან პარლამენტის კომუნიკაციის ცენტრის გახსნისას ჟურნალისტებს განუცხადა, აშშ მხარს არა რომელიმე კონკრეტულ პირს ან პარტიას, არამედ მთელ საქართველოს უჭერს.

— აშშ მხარს არა რომელიმე კონკრეტულ პირს ან პარტიას, არამედ საქართველოს, როგორც ქვეყანას და მის საზოგადოებას, მტკიცე დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უჭერს, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებრივი ნების გამოხატვა მოხდება, — აღნიშნა ჯონ ბასმა.

მისი თქმით, აშშ საქართველოში ისეთი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას უჭერს მხარს, რომელიც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს.

— ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას ვფიქრობ მე ან აშშ. მთავარია, რას ფიქრობს თავად მოსახლეობა. იმედია, პროცესი უახლოეს მომავალში გააქტიურდება და ის ძალები, რომლებსაც შეთანხმებისათვის ხელი არ მოუწერიათ, ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვის მიზნით საუბარს გაააქტიურებენ, — აღნიშნა ჯონ ბასმა.

## სასამართლომ ოქრუაშვილს პატიმრობა შეუფარდა

ამ კვირაში ირაკლი ოქრუაშვილი და ზილის თემა ისევ აქტუალური იყო. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თავდაცვის ექს-მინისტრის სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.



30 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა წარსულში ნასამართლევი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის და ქართული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

ირაკლი ოქრუაშვილს ბრალად ედება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც სასამართლო განმარტავს, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მსჯავრდებულია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, ამასთანავე სხვა ბრალდების საქმეზე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მას ბრალად ედება ძალადობრივი ხასიათის განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. წარდგენილი ბრალდების თანახმად, მან საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის პერიოდში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რის გამოც არსებობს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ხელისუფლება ნამინისტრალს დააკავებს. ირაკლი ოქრუაშვილი ამჟამად საფრანგეთში იმყოფება. მას ამ ქვეყანამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

## ბიწაძემ შეიძლება პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს

ბადრი ბიწაძის ადვოკატი შს სამინისტროს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ბადრი ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით უკანონობაში ადანაშაულებს.



როგორც ლევან სამუშიამ „მედიანიუსს" განუცხადა, შს სამინისტრო და თბილისის საქალაქო სასამართლო მას უარს ეუბნებიან იმ ვიდეო-აუდიო ჩანაწერების გადაცემაზე, რის საფუძველზეც 27 მაისს შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა ბიწაძეს შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობის მცდელობაში ბრალი პირდაპირ ეთერში დასდო.

— ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართე წერილობით და მოვითხოვე იმ ვიდეო-აუდიო მასალების გადმოცემა, რომელიც 27 მაისს „რუსთავის 2-ის" საინფორმაციო გამოშვება „კურიერში" შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა გაავრცელა. მან თქვა, რომ ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ ერთი ჯგუფი, სადაც ბიწაძეც იყო მოხსენიებული, თბილისში შეიარაღებული პროვოკაციების მოწყობას გეგმავდა. ძალიან საინტერესოა, რომ დღეს ეს ვიდეო-აუდიო მასალები ბიწაძის სასამართლო საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი არ არის. აქედან გამომდინარე, მოვითხოვე ამ მასალების ჩვენთვის გადმოცემა, რისი უფლებაც კანონით მონიჭებული მაქვს.

სამწუხაროდ, შს სამინისტროსაგან პასუხი საერთოდ არ მიმიღია. მივმართე სასამართლოს, რომ გამოეტანა შესაბამისი განჩინება, რასაც კანონი ავალდებულებს, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო შს სამინისტროსაგან ამ მასალების გამოთხოვა. სამწუხაროდ, დღეს მოსამართლის თანაშემწემ აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად წარმოუდგენელი პასუხი გაგვცა. როგორც ჩანს, მოსამართლე გიორგი არევაძეს საერთოდ არც უმსჯელია ჩემ მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს მისი თანაშემწე არ გამცემდა. ის მტკიცებულება, რაზეც ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით ბრალდების მხარე თავიდანვე აპელირებდა, ვგულისხმობ ვიდეო ჩანაწერებს, საქმეში არ იდო. ჩვენ ვითხოვთ მათ გადმოცემას და არ გვაძლევენ, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს ამ ჩანაწერების ავთენტურობასთან დაკავშირებით", - განაცხადა ადვოკატმა და დასძინა, რომ იმ შემხთვევაში, თუ იგი ხსენებულ ვიდეო ჩანაწერებს მოიპოვებს, სავარაუდოდ, მას საერთაშორისო ექსპერტიზაზე გაგზავნის და ამ გზით დაადგენს, არის თუ არა ეს ჩანაწერი ავთენტური.

შეგახსენებთ, რომ სასაზღვრო პოლიციის ყოფილ უფროს ბადრი ბიწაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. ბიწაძე, სავარაუდოდ, საქართველოში არ იმყოფება. მასზე ძებნაა გამოცხადებული. ნინო ბურჯანაძის მეუღლეს ბრალი პოლიციის წინააღმდეგ თავდასხმებისათვის ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის შექმნაში ედება.

ბიწაძის ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ბადრი ბიწაძემ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს.

## ომში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალური დაფა სანაგვეში იპოვეს

აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალური დაფა, რომელიც თავის დროზე ჟურნალისტთა ფედერაციის შენობის კარზე იყო განთავსებული, სანაგვეში იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაცია მემორიალური დაფის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა ირმა ინაშვილმა აცნობა.

ინაშვილის განაცხადებით, მემორიალური დაფა ჟურნალისტთა ფედერაციის ძველი შენობის ერთ-ერთ კუთხეში, ნაგავში რეჟისორმა რაჟდენ კერვალიშვილმა აღმოაჩინა. აღსანიშნავია, რომ მან გადაიღო ამ ფაქტის ამსახველი ფოტოსურათებიც, რომლებიც მოგ-



ვიანებით ინაშვილს გადასცა.

— ამჟამად დაფა „ობიექტივის" ოფისშია. უახლოეს დღეებში მას რესტავრაცია ჩაუტარდება და მედიაკავშირ „ობიექტივის" ფოიეში, საპატიო ადგილზე განთავსდება, დამაგრდება", - განაცხადა ინაშვილმა და დასძინა, რომ ეს ფაქტი შესაბამისი პირების მიერ იმ ადამიანებისადმი გულგრილობასა და უპატივცემულობაზე მეტყველებს, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი გაწირეს.

მისი თქმით, ცოტა ხნის წინ მან ზემოხსენებული ფაქტის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტთა ფედერაციის ხელმძღვანელ ჰამლეტ გეგიასაც მიაწოდა.

— ჩემი ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტთა ფედერაცია განცხადების გავრცელებასაც აპირებს, — აღნიშნა ინაშვილმა.

ჩვენი ხელისუფლებისაგან ასეთი რამე ნამდვილად გასაკვირი არ არის. გასული წლის დამლევს ვეტერანებმა სანაგვეში იპოვეს აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სურათები. ამის გულისთვის თავი დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმაც გაინერვიულა, მაგრამ პასუხი არავის უგია.

სამაგიეროდ, ჩვენი ხელისუფლება რუსეთის მიერ გაჟლეტილი ჩერქეზების უკვდავყოფას აპირებს. მათი ხსოვნას ძეგლს დაუდგამენ. ეს ძეგლი თუ მსგავსი რამე ანაკლიაში დაიდგმება.

ამავე დროს ჩვენი ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალებს ემტერება ძალიან და სადაც ხელი მიუწვდება, აფეთქებს და ანადგურებს.

## საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 4469,2 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2010 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 32,8 ათასი კაცით, ანუ 0.7 პროცენტით მეტია. ამასთან, ქვეყნის მოსახლეობის 53.1 პროცენტი (2371,3 ათასი კაცი) - ქალაქად, ხოლო 46.9 პროცენტი (2097,9 ათასი კაცი) სოფლად ცხოვრობს. მოსახლეობის 47.6 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 52.4 პროცენტი — ქალი.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის რეგიონებში. მოსახლეობის ყველაზე დიდი მატება 2010 წლის 1 იანვართან შედარებით აღინიშნება ქვემო ქართლის რეგიონში — 1.2 პროცენტი, აჭარის ა.რ. — 1.0 პროცენტი, თბილისში 0.9 პროცენტი და შიდა ქართლის რეგიონში — 0.8 პროცენტი. მოსახლეობის შემცირება (-0.6%) აღინიშნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რაც გამოწვეულია აღნიშნულ რეგიონში 2010 წელს დაფიქსირებული უარყოფითი ბუნებრივი მატებით (-426 ერთეული).

საქსტატის ინფორმაციით, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობასთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 0-4 წლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში და 275,4 ათასი კაცი შეადგინა. 2007 წლიდან 0-4 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მატულობს, რაც გამოწვეულია ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის მკვეთრი ზრდით.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობა მთლიან მოსახლეობაში წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა.

შორენა მარსაგიშვილი

## გენადი ონიშენკო ღორის ჭირს ჩვენ გვაბრალებს

რამდენიმე წლის წინ საქართველოში ღორის ჭირი გავრცელდა. ამ ჭირმა ათასობით ჩვენებური ღორი იმსხვერპლა. მაშინ საქართველოს მოსახლეობამ დიდი ზარალი ნახა. საინტერესო ისაა, რომ ეს ჭირი ძალიან უცნაურად გავრცელდა. ამან გააჩინა ეჭვი, რომ ამ ჭირის გავრცელების უკან ხელისუფლება იდგა.

ჩვენში ეს ღორის ჭირი მალევე გაქრა. ახლა ამ ჭირს მსუბუქი გამოვლინებები აქვს მხოლოდ. სამაგიეროდ, რუსეთშია სერიოზული ჭირიანობა და რა გასაკვირია, რომ მოსკოვი ამას ჩვენ გვაბრალებს.

რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშენკოს განცხადებით, ღორის ჭირი, რომელიც რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილშია გავრცელებული, საქართველოდან გავრცელდა. ამის შესახებ „ინტერფაქსი" იუწყება.

— აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს დაავადება რუსეთში საქართველოდან გავრცელდა, — განაცხადა ონიშენკომ.

ონიშენკოს აზრით, ღორის ჭირი არ არის ბიოლოგიური ომი, მაგრამ ეს, შესაძლოა, შეფასდეს როგორც „ეკონომიკური დივერსია".

ბრალდების მოსმენა კარგი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარა პროგრესისკენ მიდის საქმე. აქამდე ხელისუფლება ტერორისტების მომზადებაში გვდებდა ბრალს. ახლა კი ღორების დაჭირიანებას გვაბრალებს. არც ეს არაა სახუმარო ამბავი, მაგრამ ტერორისტებს მაინც ჯობია.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სოზარ სუბარი: ხვალ დასაჭერად შეიძლება მე მომადგნენ

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

***— ბატონო სოზარ, 26 მაისის შემდეგ ჩვენს გაზეთში თქვენი ინტერვიუ არ დაბეჭდილა, შეიძლება ითქვას, რომ 26 მაისის შემდეგ ხელისუფლების წნეხი კიდევ უფრო დააწვა ოპოზიციურ პარტიებს, სერიოზული რეპრესიები მიმდინარეობს და არც ქართული პარტიაა ამ შემთხვევაში გამონაკლისი. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— გამონაკლისი კი არა, პრაქტიკულად ხელისუფლების „ყურადღების" ცენტრში ვართ გასაგები მიზეზის გამო. ხელისუფლებამ იცის, სად უნდა ხედავდეს საფრთხეს და ზუსტად იქ აკეთებს ზეწოლას. არის ორი ვარიანტი თუ როგორ უნდა მოიქცე, დაიკრიფო გულზე ხელი და თქვა, რომ არც ცოცხლებში ვწერივარ და არც მკვდრებში და ამ შემთხვევაში ხელისუფლება შეგეშვება და გააგრძელებს ზოგად ტერორს, რაც ქვეყანაშია, ან იბრძოლო ამ უსამართლობის წინააღმდეგ. ტერორი იწყება იმ კონკრეტული ძალის მიმართ, რომელშიც საფრთხეს ხედავს ხელისუფლება და ასეთი საფრთხე ამ ეტაპზე არის სწორედ ქართული პარტია. ამიტომაც არის, რომ ხდება დაჭერა უამრავი ადამიანის. არა მარტო პარტიის წევრების, არამედ იმ ადამიანების, რომლებსაც პარტიასთან არაფერი საერთო არა აქვთ, რომ იტყვიან, წრეზე დადიან, წრეზე უვლიან პარტიას. თანაც ეს არის შავით თეთრზე შეკერილი საქმეები, სადაც არაფრის დასაყრდენი არ არის, სადაც ძირითადი დაჭერები ხდება იარაღის ჩადებით.

***— სცენარი ყველგან ერთი და იგივეა...***

— აბსოლუტურად. თანაც ხომ წარმოგიდგენიათ, ადამიანი, რომელსაც დაუჭირეს ძმა, ჩვენი პარტიის წევრი და მეორე ღამეს მას სახლში უდევს ავტომატი, ერთოთახიან ბინაში, თანაც იმ ადგილას, სადაც ბავშვები დარბიან და თამაშობენ. ეს ხომ ზღაპრებია, ეგეთი რამე არ ხდება. ან ის შეთხზული რაღაც ისტორიები, როგორ ამოიღეს ავტომატები ტყეში დაფლული. მთელი საქართველო წვიმამ წაიღო და ეს ყუთები იყო ისეთი მშრალი, თითქოს ამ წუთის ჩადებული იყო. ეს რაც გარედან ჩანდა და ის რაც შიგნიდან არის ეს კიდევ სხვაა. არსებობს პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც ამბობენ, რომ მათ თითქოს დაინახეს,ეს იარაღები 25 თუ 26 მაისს როგორ ჩაფლა ვილაცამ მიწაში და თუ ასე იყო, ერთი თვის მერე რატომ ამოთხარეს? მთელი თვე სად იყვნენ თუკი დაინახეს, როგორ ჩაფლეს? შემდეგ იგივე პოლიციელები სამჯერ ცვლიან ჩვენებას გამოძიებასთან, ჯერ ამბობენ, რომ ვერავინ ვერ ამოიცნეს, მერე ვილაცას ადებენ ხელს, მესამედ კიდევ სხვა ჩვენებას აძლევენ და თანაც ლაპარაკია, რომ ღამეში მათ ამოიცნეს ვილაც ადამიანები, ერთი ამოიცნეს თურმე კეხიანი ცხვირით, მეორე იმით, რომ მელოტი იყო და ამ ყველაფრიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად არის შეკოწიწებული ეს საქმეები.

***— თუნდაც ერთი ზილის ისტორია...***

— სასაცილოც აღარ არის უკვე ეს ყველაფერი... სასაცილო იქნებოდა, მართლა ამ ყველაფრის უკან კონკრეტული ადამიანების პრობლემები რომ არ იდგეს. ათამდე ადამიანია დაჭერილი. იმ ადამიანებს მერე რა დღეში აგდებენ, რას სთავაზობენ, ზოგს სასტიკად სცემენ. მაგალითად, გუშინ ტყვიავში მამა-შვილი ლიჩელები დაიჭირეს, რომლებსაც დედის და შვილების თვალწინ სცემეს უსასტიკესად, თანაც დაამტვრიეს სახლში ყველაფერი. მათ სახლში რემონტი აქვთ, მეზობლები ეხმარებიან და სადაც ეს სამუშაოები მიდის, მაინცდამაინც იქიდან ამოიღეს ავტომატები. ესეც ხომ სასაცილოა, მთელი დღე სამეზობლო იქ არის და დაუჯერებელია, რომ იქ ავტომატები და ყუმბარები ჰქონოდათ. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ასეთი დაჭერები მიმდინარეობს. ადამიანს, რომელსაც რამესთან კავშირი ექნებოდა ცხოვრებაში, ის ავტომატს შეინახავდა სახლში?! ეგ ხომ ზღაპარია. კიდევ ერთი სასაცილო ისტორია, მართლა სატირალი რომ არ იყოს, თითქოს რუსეთიდან შემოდის სპეცრაზმი და სამი ავტომატი და 15 ყუმბარა უნდა ამოეთხარათ ტყვიავის ტყეში? ნახევარ მსოფლიოს რუსეთი ამარაგებს იარაღით და სპეცრაზმი იქიდან შემოდის და იარაღი აქა აქვთ?! თურმე ვილაცეებს ავალებდნენ, რომ მათ უნდა გაეგოთ, სად არის ქართული საგუშაგოები. რუსეთმა, რომელმაც იცის, საქართველოს თითოეული ქვა სად დევს, თითოეული მანქანა როგორ მოძრაობს და ვილაცა გლეხ კაცს ავალებენ, რომ იმან გაუგოს საგუშაგოები სად არის? ეს ყველაფერი არის ისეთი აბსურდული, ისეთი, რომ იმის მიღმა არაფერია. ჩვენ ასევე კარგად გვახსოვს ასეთი აბსურდული ისტორიები გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა ადამიანები აღიარებდნენ ლონდონიდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრას და ყველაფერს ყვებოდა კონკრეტული ადამიანების მიმართ განხორციელებული რეპრესიები. ანუ ამ აფსურდს სრულიად არააფსურდული რეპრესიები მოჰყვებოდა. აი, ეს არის დღევანდელი ხელისუფლების სახე. ერთი ძალიან ცნობილი იურისტი მეუბნებოდა, რომ როცა თვითონ სტუდენტი იყო, გაიხსნა 30 წლების არქივები და დაიწყეს მუშაობა ამ არქივებზე. ცხადია, რომ საქმეები იყო აბსოლუტურად შეკერილი, შეთითხნილი, რეალობას მოწყვეტილი, ოღონდ ყველა ამ საქმეს აერთიანებდა ერთი რამ, ყველაფერზე იდო მტკიცებულება. ანუ ცდილობდნენ მაქსიმალური ფალსიფიკაციის გაკეთებას. დღეს ამის მცდელობაც კი არ არის.

***— ხალხს თვალში ნაცარს აყრიან...***

— ნაცარსაც არ აყრიან, შავზე გეუბნებიან, რომ თეთრია, არ გვაინტერესებს, შენ დაიჯერებ თუ არა, ჩვენ ჩვენსაც მაინც გავაკეთებთ. არ შეიძლება ასეთი რეჟიმი დიდხანს გაგრძელდეს, ეს იქნება დაღუპვა ქვეყნის. თუ საზოგადოება ხმას არ ამოვიღებთ, ეს დაღუპვის პროცესი და აგონიის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს ძალიან დიდხანს, როგორც ეს გრძელდება ჩრდილოეთ კორეაში ან კუბაში.

***— ითქვა ისიც, რომ ხელისუფლებამ 26 მაისს ვერ მოახერხა ქართულ პარტიაზე შურისძიება, რადგან თქვენ უარი თქვით ამ პროცესებში მონაწილეობაზე და ამიტომ ცოტა მოგვიანებით დაიწყო მასზე შურისძიებაო...***

— ბუნებრივია, ხელისუფლებას ნამდვილად უნდოდა, რომ ერთი დარტყმით მოეშორებინა მთელი ის ოპოზიცია, რომელიც მას საფრთხეს უქმნის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავემიჯნეთ პროცესებს, შეიმუშავეს და შეთხზეს ახალი ვერსიები. ეს არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ გავიმეორებ, გამიჯვნა რატომ მოხდა,

## რატომ დაერია ხელისუფლება ქართული პარტიის წევრებს?



შეიძლება 25-26 მაისი ყოფილიყო სერიოზული გამოწვევა ხელისუფლებისთვის, ამას თვითონ ძალიან კარგად გრძნობდნენ. მათ ძალიან კარგად იციან საზოგადოების განწყობები და იცოდნენ, რომ სახალხო კრების, ქართული პარტიის გაერთიანებებს, მოწოდებებს მოჰყვებოდა ძალიან სერიოზული საზოგადოებრივი მოძრაობები. მაგრამ, რადგან ეს ერთობლივი აქციები არ შედგა, რადგან იყო გარკვეული ეჭვები ბურჯანაძის მხრიდან ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით, რადგან დაანონსდა ორ სხვადასხვა ადგილიას აქცია, ამიტომაც ჩვენ, ბუნებრივია, გავაკეთეთ ერთადერთი სწორი და ერთადერთი პასუხისგებით აღსავსე ნაბიჯი, უარი ვთქვით ჩვენს მონაწილეობაზე პროცესში და ვთქვით, რომ ვუთმობთ ასპარეზს იმ ძალას, რომელმაც წამოიწყო ეს ყველაფერი. იმის თქმა, რომ ჩვენმა ერთმა განცხადებამ ხალხი დააბნია და ვერ გაიგეს, რომ 25-ში აქცია რუსთაველზე იყო, ეს არასერიოზულია, იმიტომ, რომ ისედაც ვხედავდით წინა დღეებში რამდენი ხალხი მონაწილეობდა, ზუსტად იმდენივე ხალხი იყო 25-ში ღამე. ჩვენ რომ იქ ვყოფილიყავით, იმ გათიშულობის ფონზე, იქ რომ მეტი ხალხი მისულიყო, ცხადია, რომ მსხვერპლიც გაცილებით დიდი იქნებოდა. ხელისუფლებამ იმ დღეს ვერ შეასრულა თავის გეგმა, მაგრამ რეპრესიები უკვე შემდგომ დაიწყო და სწორედ იმ რეპრესიების გაგრძელებაა ის, რაც დღეს ხდება.

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ითქვა, რომ მისი განცხადება არ იყო რეალური და ის ჩამოსვლას არც აპირებდა, რადგან იცოდა, რომ დაიჭერდნენ...***

— მაშინ რატომ იჭერენ ამ ხალხს, ვინც ოქრუაშვილთან იყო დაკავშირებული? ამ ადამიანებიდან ზოგი ჩვენი პარტიის წევრია, ზოგიც ოდესღაც ოქრუაშვილთან მუშაობდა და პარტიასთან არაფერი საერთო არა აქვთ, ზოგი ოქრუაშვილის ნათესავია. ანუ მის ირგვლივ მყოფი ადამიანების დაჭერები მიდის.

***— ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილს მათთან კავშირი, სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა?***

— ოქრუაშვილს კავშირი ჰქონდა ჩემთან, კავშირი ჰქონდა ეროსისთან, პარტიის სხვა ლიდერებთან, მათ შორის იმათთანაც, ვინც წასულები არიან უკვე პარტიიდან, მაშინ მის სანათესაოში ნუკი ეძებენ, ჩვენთან ეძებონ.

***— ხომ შეიძლება თქვენც მოგადგნენ?***

— აბსურდის თეატრია და აბსურდის თეატრში არაფერი არ უნდა გამორიცხო. ახლა მიდის ანგარიშსწორება პოლიტიკური ოპონენტების და მეტი არაფერი.

***— ხელისუფლება მეორე წრეზე წავიდა და კვლავ თავიდან დაიწყო ოქრუაშვილის სამართლებრივი ძებნა...***

— სამართლებრივს ნუ დავარქმევთ ამას, ხელახლა დაიწყო მისი პოლიტიკური დევნა. ეს რომ არ არის სამართლებრივი დევნა, ეს ერთხელ უკვე დაამტკიცა ევროპის სასამართლომ, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცა არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილს, არამედ ყველა იმას, ვისაც ოდესმე ირაკლისთან კავშირი ჰქონია. თავშესაფარი მისცა მიხეილ ქარელს, ქიბარ ხალვაშს, გურამ გოგუას და თან სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებმა. ასე რომ, ეს არ არის სამართლებრივი დევნა, ეს არის პოლიტიკური დევნა, თან ძალიან ცუდად შენიღბული მუხლებით. თუნდაც იგივე, რაც ხდებოდა 2007 წელს, როდესაც სახალხო დამცველი ვიყავი და ვსწავლობდი ამ საქმეებს, მაშინაც ხდებოდა ირაკლისთან დაკავშირებული ადამიანების დაჭერები. მათ შორის ისეთი ადამიანებიც იყვნენ, რომელთა მიმართაც მე, როგორც სახალხო დამცველს, არანაირი სიმპათია არ მქონია, პირიქით, მიმაჩნდა, რომ ეს ადამიანები თვითონაც არღვევდნენ ადამიანების უფლებებს და არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, რომ მათ იმ უფლებების დარღვევებისთვის ეგოთ პასუხი; მაგრამ, როდესაც აშკარა იყო, რომ მათ ჩაუდეს ავტომატები, როდესაც აშკარა იყო, მათ დევნიდნენ როგორც პოლიტიკურ ოპონენტებს, ბუნებრივია, ამას თავის სახელს ვარქმევდით და ამ სახელს ჰქვია პოლიტიკური დევნა, ამას ჰქვია პოლიტიკური ტერორი და ამ პოლიტპატიმრების რიცხვი ყოველდღე იზრდება საქართველოში.

***— ამ ყველაფრის ფონზე რას აპირებს ქართული პარტია, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— ჩვენი სამომავლო გეგმები არ შეცვლილა, თუმცა ცხადია, რომ გარკვეული კორექტივები ჩვენს გეგმებში შედის. არა იმდენად იმ რეპრესიებიდან გამომდინარე, რასაც ხელისუფლება ახორციელებს, ამისთვის პარტია ყოველთვის მზად უნდა იყოს, თუ მიგაჩნია, რომ რეალურ საფრთხეს უქმნი ხელისუფლებას, არამედ კორექტივები შედის იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც მოხდა მაისში, იმ საყოველთაო იმედგაცრუებისა თუ გულგატეხილობის ფონზე, რამაც ხალხში დაისადგურა. გულგატეხილობა არსებობს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი ამოცანა შევასრულოთ და ეს ამოცანა არის ამ ავტოკრატიისგან ქვეყნის გათავისუფლება.

***— ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაოდ ცნობილმა სახეებმა დატოვეს პარტია, რაც ასევე დიდი დარტყმა იყო პარტიისთვის...***

— რა თქმა უნდა, ბუნებრივია... მე ყველაფერს ერთად ვგულისხმობ, როცა პარტიის გეგმების კორექტივებზე ვსაუბრობ. უბრალოდ, ეს გეგმები სხვანაირად იქნება გაწერილი.

***— ყრილობას გეგმავდით და როდის აპირებთ მის გამართვას?***

— ყრილობის გამართვა ამ შემთხვევაში ვალდებულებაც არის, რადგან პოლიტსაბჭოს წევრებმა დატოვეს პარტია, შესაბამისად, ეს უნდა აისახოს პარტიის წესდებაში. კანონით ვადა გვაქვს ივლისის ბოლომდე. შესაბამისად კანონით გათვალისწინებულ ვადებში ჩატარდება ეს ყრილობა, სადაც ასევე ლაპარაკი იქნება სამომავლო ამოცანებზე.

***— რამდენად აპირებთ დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას და მათთან ერთად აქტივობას? იმის მიუხედავად, რომ ზაფხულია და პოლიტიკურად მკვდარი სეზონია...***

— ჩვენთვის ეს არ იქნება მკვდარი სეზონი, პირიქით, იქნება ძალიან აქტიური. რაც შეეხება სხვა პარტიებთან ერთად აქტიურობას, უამრავი თემაა, რომლის შეთანხმებაც და ერთობლივი მოქმედებები არის აუცილებელი. ასევე არის თემები, სადაც განსხვავებული ხედვა გვაქვს. ჩვენი მხრიდან აქტიურობა იქნება. იგივე ჩვენ შევუერთდით ლეიბორისტული პარტიის მოწოდებას, რომ იმპიჩმენტზე დაიწყოს ხელმოწერები. კარგად გვესმის, რომ სამართლებრივად იმპიჩმენტის პროცედურა სხვანაირად ხდება, მაგრამ ისიც ზუსტად ვიცით, რომ ასეთ ავტოკრატიულ სახელმწიფოებში იმპიჩმენტი, ეს არის ქაღალდზე დაწერილი ფარსი, რომელსაც განხორციელება არ უწერია. ამიტომაც თვითონ ის იდეა, რომ მოგროვდეს მილიონობით ხელმოწერა და დაფიქსირდეს ქართველი ხალხის ნება, ეს არის აბსოლუტურად სწორი, საღი პოზიცია და, შესაბამისად, ამ პროცესში სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას.

***— ჩვენი ხელისუფლება ისეთ კანონებს ღებულობს, რომ მე მგონი, ქუჩის აქციები საერთოდ აიკრძალება...***

— მე მგონი, მალე ისეთ კანონებს მიიღებენ, რომ მიტინგზე თუ მიხვალ და მუშტი თუ გაქვს შეკრული, შეიძლება ციხე იყოს ამაზე, ან თუ გაშლილი ხელი გაქვს, შეიძლება იფიქრონ, რომ ვილაცისთვის სილის გაწნას აპირებ. აი, აქამდე მივიდა ეს ყველაფერი და ეს არის კიდევ ერთი გამოხატულება ავტოკრატიისა და ამას ავტოკრატიაც აღარ ჰქვია, დიქტატურისკენ მიდის ყველაფერი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანები როდესაც გამოხატავენ პროტესტს, ის გამოირჩევა მაქსიმალური რადიკალიზმით და თითქმის არასდროს არ ხდება სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა. საქართველოში კი პოლიციელს სიტყვა რომ შეუბრუნო, სამუდამო პატიმრობა გელოდება თურმე.

***— მოდით რვიანში განვითარებული პროცესებიც შევაფასოთ, რას ფიქრობთ იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა?***

— მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო და მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლება არ წავიდოდა არანაირ დათმობაზე და არც წავიდა. ასევე მოსალოდნელი იყო ისიც, რომ პარტიების რაღაც ნაწილი ამ შეთავაზებებს დათანხმდებოდა და ეს ასეც მოხდა. თუმცა მე ამ შემთხვევაში იმდენად იმ ორი პარტიის არ მიკვირს, რამდენადაც იმ სხვა პარტიების ზოგიერთი წარმომადგენლის, რომლებიც ამბობენ, რომ ეს წინადადებები არ არის საკმარისი, თორემ თავისთავად კარგი წინადადებებიაო. თუ ლაპარაკია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, ამ წინადადებებში არაფერი არ არის ისეთი, რაც საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებს, რაც იქნებოდა მართლაც გარანტიის მოცემა პოლიციის, სასამართლოს დეპოლიტიზებაზე, მედიის გათავისუფლებაზე, ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაკეთებაზე, რაც თავიდან გადათვლის საშუალებას მოგვცემდა. აი ეს იქნებოდა რეალური საარჩევნო გარემო. თავისთავად ცხადი იყო, რომ ხელისუფლება ამაზე არ წავიდოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური პროცესი არის მკვდარი. დღეს ხელისუფლებამ ზუსტად იცის, რომ სამართლებრივი საარჩევნო გარემოს შექმნა ნიშნავს მის წაგებას, მისთვის ნიშნავს ნაშოვნი მილიარდების დაკარგვას და ამასთან ერთად ციხეში წასვლას. შესაბამისად ხელისუფლება ამაზე არ წავა.

***— გამოდის, რომ არც არჩევნების გზით წავა...***

— არჩევნების გზით შეიძლება გავუშვათ ეს ხელისუფლება, თუ ეს არჩევნები ჩატარდება საზოგადოების მაქსიმალური აქტივობის ფონზე, მაგრამ თვითონ ამ სამოქალაქო აქტივობის გარეშე არ შექმნის არანაირ სამართლებრივ გარემოს. სამართლიანი საარჩევნო გარემოსთვის ბრძოლა რომ ასეთი აქტივობის ფონზე წარმართულიყო, მაშინ დღეს სულ სხვა შედეგი შეიძლება გვქონოდა.

***— ასეთი საარჩევნო კანონმდებლობის შემთხვევაში ქართული პარტია თუ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას?***

— ჩვენ ნათქვამი გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ვხედავთ მხოლოდ რევოლუციური განვითარების შანსს, მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიღებთ ყველა არჩევნებში მონაწილეობას, რაც კი შეიძლება ჩატარდეს და სწორედ ეს არჩევნები იქნება იმ რევოლუციური მუხტის მატარებელი, რომელიც არ ნიშნავს მაინცდამაინც სადღაც შევარდნას, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა. ეგვიპტეში არსად არ შევარდნილა ხალხი, მაგრამ რევოლუცია მოხდა და მათ აიძულეს მუბარაკი, რომ წასულიყო. განსხვავებით მიხეილ სააკაშვილისგან, რომელიც პარლამენტშიც შეიჭრა და პრეზიდენტის სასახლეშიც. ჩვენი პარტია არსებობს იმისთვის, რომ ნებისმიერ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ჩვენ არა ვართ ის პოლიტიკოსები, რომლებიც იტყვიან, რომ თუ ხალხის ნება იქნება რევოლუცია, ჩვენ განზე გავდგებით. პირიქით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხალხმა რაც შეიძლება მალე დაძლიოს შიში, უიმედობა და დაიწყოს რევოლუციური პროცესები. ოღონდ აქვე დავამატებ, რევოლუციას აკეთებს ხალხი და არა რომელიმე პოლიტიკური ლიდერი ან პოლიტიკური პარტია, უბრალოდ, ჩვენ განზე არ გავდგებით და არ დავუპირისპირდებით ხალხის ნებას.

თეა მარხვაი ე

# სააკაშვილის წასვლა დადებითი მოვლენა იქნება

**ცოტა ხნის წინ კარნეგის ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსმა სპეციალისტმა ტომას დე ვაალმა საინტერესო კვლევა გამოაქვეყნა. დე ვაალი საქართველოში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთპარტიული წყობა მყარდება.**

ექსპერტის ეს შეფასება საშინლად არ მოეწონათ ნაციონალებს. ისინი ხომ მთელ მსოფლიოს უმტკიცებენ, საქართველოში დემოკრატია ყვავისო. ამდენად, დე ვაალის განცხადება მისაღები მათთვის ვერ იქნებოდა. ექსპერტმა ამ კვირაში ჩვენებურებს კიდევ ერთხელ ატკინა გული. რადიო „თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სააკაშვილის წასვლა ჯანსაღი მოვლენა იქნება.

რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში დე ვაალმა მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებაზე ისაუბრა. მისი თქმით, თუ დასავლეთი პრეზიდენტის გაპრემიერების სურვილს უარყოფითად შეაფასებს, ამას შედეგი ექნება.

— მე, პირადად, მიმაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის დიდი მიღწევა იქნება, თუკი გადაწყვეტს პოლიტიკური სცენიდან წასვლას, რადგანაც ეს იქნება ჯანსაღი მოვლენა საქართველოსთვის და, რა თქმა უნდა, აქ გავლენას ახდენს დასავლეთის ფაქტორი. თუკი დასავლეთში მეტად მკაფიოდ განაცხადებენ, კონსტიტუცია კი იძლევა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას, მაგრამ ამას ცუდად ვუყურებთო, ეს, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს, — მიიჩნევს დე ვაალი.

ინტერვიუში ექსპერტი თავის დასკვნაზეც საუბრობს. იმ დასკვნაში დე ვაალი ამბობს, რომ საქართველოში ყველაზე გავლენიანი სტრუქტურა შს სამინისტროა. რადიო „თავისუფლება" მას ვანო მერაბიშვილის შესაძლო გაპრემიერებაზეც ესაუბრება.

— მე, როგორც გარედან დამკვირვებელს, მიჭირს ამ საკითხზე მსჯელობა, მაგრამ, მგონია, რომ მერაბიშვილი არ არის საჯარო პოლიტიკოსი. ის უფრო კულისებში მოქმედი ფიგურაა. ამიტომ, ვფიქრობ, არ იქნება ჯანსაღი მოვლენა, თუკი ის ასეთ ძლიერ ფიგურად დარჩება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებით ხელისუფლებამ გადაჭრა დიდი პრობლემები, დაკავშირებული კრიმინალთან და ყოველდღიურ კორუფციასთან. ერთი მხრივ, ეს დიდი მიღწევაა საქართველოსთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, სამწუხაროდ, მგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აღარ არის ანგარიშვალდებული ხელისუფლების სხვა შტოების მიმართ, — მიიჩნევს ექსპერტი.

ტომას დე ვაალმა 26 მაისის მოვლენებიც შეაფასა. ეს შეფასება ჩვენს მშობლიურ ხელისუფლებას ძალიან არ მოეწონება.

— რატომ მოიქცნენ ასე სასტიკად? შესაძლოა, უშიშროების ძალები ბოლომდე მართვადი არ იყო. ეს შეიძლება იყო ერთ-ერთი მიზეზი. შესაძლოა, მართლაც უნდოდათ ოპოზიციის დასჯა და დაშინება. თუ ასეა, მაშინ ვიტყვი, რომ საქმე გვაქვს საბჭოთა და არა ახალი, ევროპული მთავრობის აზროვნებასთან, — ამბობს ექსპერტი.

ჩვენი ნაციონალები კი ამტკიცებენ, ძალიან ევროპულები ვართ და თან ყოველივეს ვებრძვით, რაც საბჭოთააო. ამის დამადასტურებლად მათ თუნდაც „თავისუფლების ქარტია" მიაჩნიათ. ეს ის ქარტიაა, გია თორთლაძის ხათრით რომ მიიღეს. ამიერიდან საქართველოში ყველანაირი საბჭოთა სიმბოლიკა იკრძალება.

დე ვაალის დაგმობილი დარბევა დასავლეთსა და ამერიკაში დიდად არ დაუგმიათ. ჩვენებური ოპოზიციის მტკიცებით, ამ დარბევაზე სააკაშვილს „დაბრო" სულაც აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა მისცა.

— იყო გამოძიების დაწყების მოწოდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტერნეტით მთელმა მსოფლიომ ნახა კადრები, როგორ სცემდნენ პოლიციელები დემონსტრანტებს. ყველას შეუძლია, მოძებნოს ეს კადრები და ნახოს, რაც, რა თქმა უნდა, ცუდად აისახება საქართველოზე, — ამბობს დე ვაალი.

რადიო „თავისუფლების" აზრით, ამან სულ არ იმოქმედა სააკაშვილზე. ამ მოვლენებით მას არაფერი წაუგია დასავლეთის თვალში.



დე ვაალი კი ასე ფიქრობს: „საქართველოს სურათი, მოზაიკა, იქმნება მრავალი კენჭისგან. ცხადია, მომხდარი ამ სურათის ერთი კომპონენტია და ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ევროპაში და არც შეერთებულ შტატებში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო არ არის ისეთი სტაბილური, როგორის სურვილიც არსებობს".

თავის მოხსენებაში დე ვაალი ევროკავშირის მიმართ საქართველოს დამოკიდებულებაზე საუბრობს. მისი თქმით, საქართველოს მთავრობას არა აქვს მყარი პოზიცია ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით. რადიო „თავისუფლებას" აინტერესებს, იქნებ რუსეთთან ურთიერთობის დათბობის ფონზე ევროპას საქართველოსთან საქმის დაჭერა არ სურს.

— მოხსენებაში მომავლის განჭვრეტაც ვცადე: როგორი იქნება საქართველოს მოდელი, განვითარების რა გზას აირჩევს ის უახლოესი წლების განმავლობაში. დავხაზე სამკუთხედი. ერთ კუთხეს პირობითად დავარქვი „ძველი საქართველო", ანუ პატრიოტული, მართლმადიდებელი საქართველო, ბევრი ფასეულობით, რომელიც, როგორც მოდელი, 21-ე საუკუნეში მდგრადი არ არის. მეორე კუთხე — „სინგაპური", ანუ ლიბერტარიანელების იდეაა — საქართველო ღია ეკონომიკით, დაბალი გადასახადებითა და დერეგულაციით. მესამე კუთხე კი ევროკავშირია, სადაც, პირიქით, რეგულაცია, მყარი კანონიერი ინსტიტუტები და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებაა. მიმაჩნია, რომ საქართველო დღემდე ამ სამკუთხედში ბრუნავს და ხელისუფლებას მკაფიო მიმართულება არ გამოუკვეთია. ჯერ ლაპარაკობენ სინგაპურზე, შემდეგ ევროკავშირთან დაახლოებაზე, მაგრამ ევროკავშირთან დაახლოება იოლად არ გამოდის. საჭიროა მდგრადი, სერიოზული პროექტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ ვხედავ, — მიაჩნია ექსპერტს.

თეა მარხვაი ე

# შევარდნაძე მიამიტობას იჩენს

**საზოგადოებაში გრძელდება მამუკა არეშიძის წინადადებების განხილვა. ამ თემაზე ახლა უკვე რუსეთშიც აქტიურად საუბრობენ. არეშიძის ინიციატივას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც გამოეხმაურა. არეშიძის ინიციატივასთან დაკავშირებით ჩვენ წინა კვირაში უკვე შემოგთავაზეთ ინტერვიუ სოხუმელ ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიასთან. მასთან ისევ ვაგრძელებთ საუბარს ამ თემაზე. სოხუმელი ჟურნალისტი არეშიძის იდეას არ ეთანხმება, მაგრამ მისი ლანძღვის წინააღმდეგია.**

**თენგიზ პაჭკორია:**

— მე არ მომწონს და არც მხარს ვუჭერ იმ ადამიანების განცხადებებს, რომლებმაც კრიტიკის ნაცვლად მამუკა არეშიძეს ლანძღვის კორიანტელი დაატეხეს თავს, მათ, ვინც მამუკას საქართველოს მოღალატე უწოდა. ასეთი სახის ბრალდება მამუკას მიმართ ფრიად შეუსაბამოა. ამასთან, მამუკას და სხვებს, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური მოუთმენლობით ან პოლიტიკური პესიმიზმის გამო ისევე ფიქრობენ, როგორც მამუკა არეშიძე, მსურს ვუთხრა: ბატონებო, თუკი თქვენ არ გაქვთ საშუალება, განაგრძოთ ძალიან რთული და ნატიფი მუშაობა საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანების პირობების შესაქმნელად, აფხაზებთან დიალოგის მოსაგვარებლად, არ გაქვთ უნარი რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გზების ძიებისა, თუკი თქვენ არ ძალგიძთ, კომპრომისული და, იმავდროულად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინტერესების გათვალისწინებით გონიერი წინადადებები შესთავაზოთ საზოგადოებას, მაშინ, გთხოვთ, ნუ აშფოთებთ მილიონობით ადამიანის გულებს თქვენი პესიმისტური და აბსოლუტურად არარეალური იდეებით. ამით თქვენ საქართველოს მოსახლეობაში არა მხოლოდ ნერგავთ პესიმიზმს, არამედ, გარკვეულწილად უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ამასთან, თქვენი მსგავსი წინადადებებით სრულიად უბნევთ თავგზას რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არცთუ ძალიან აწყობს თბილისის მხრიდან აფხაზეთის აღიარება.

***— ბატონო თენგიზ, რუსეთშიც გაუკვირდათ მამუკა არეშიძის იდეა და ამ თემის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი?***

— დიახ, ძალიან ბევრ ადამიანს რუსეთში გაუკვირდა. ბევრი კითხულობს: ნუთუ არეშიძე სერიოზულად ფიქრობს, რომ რუსეთი აფხაზეთიდან ჯარს გაიყვანს თბილისის მხრიდან აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ?

***— ბევრს აინტერესებს, ნუთუ მამუკა და ზოგიერთი მისი თანამოაზრე მართლა ფიქრობენ, რომ რუსეთის მიზანია, თბილისმა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა?***

— ყველასთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ფაქტორის გამოყენებით ანუ, როგორც 90-იანი წლების ბოლოს ზურაბ აჩბა (2000 წელს მოკლეს სოხუმში) ამბობდა, აფხაზური ხელკეტით რუსეთი ცდილობ,ს მიაღწიოს, მინიმუმ, საქართველოს მხრიდან პროდასავლური პოლიტიკის გატარების შეწყვეტასა და საქართველოში ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დანერგვას და, თუ საშუალება მიეცემა, საქართველო გადააქციოს რუსეთის მოკავშირე სუბიექტად და გადაიყვანოს რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე. თბილისის მხრიდან აფხაზეთის აღიარება აფხაზეთიდან რუსული ჯარების გაყვანას არ გამოიწვევს და ვერც აიძულებთ რუსეთს, ასეთ ქმედებებზე დათანხმდეს. მსგავსმა ნაბიჯმა შესაძლოა თბილისი მიიყვანოს ისეთ შედეგამდე, რომ რუსეთი მადა მოჰგვაროს საქართველოსთან მიმართებით. მამუკა არეშიძე ვარაუდობს, რომ თბილისის მხრიდან აფხაზეთის აღიარებამ შეიძლება მოგვიტანოს ის, რომ აფხაზური მხარე და რუსეთი თანხმობას მოგვცემენ ასიათასობით დევნილის აფხაზეთში დაბრუნებაზე. მაგრამ, ეს ხომ ცხადი ილუზიაა. მე არ მსურს, რაიმე ფორმით მამუკას გული ვატკინო, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არასაკმარისად იცნობს მდგომარეობას აფხაზეთში, აფხაზური საზოგადოების განწყობას და არც ისე მკაფიოდ წარმოუდგენია აფხაზების მენტალიტეტი — მსოფლმხედველობა, რომლებსაც ვაჭრობა არ უყვართ და არ დათანხმდებიან, აწარმოონ ვაჭრობა ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორიცაა დევნილების მასობრივად დაბრუნება.

***— აბა, რა ხერხით უნდა მოხდეს აფხაზების აზრი შეცვლა ამ საკითხებზე?***

— აფხაზური მხარის პოზიციის კორექტირება ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მათთან პოლიტიკური ვაჭრობის გზით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება გეოპოლიტიკური, რეგიონული და ადგილობრივი ფაქტორები და არა მარტო ქართველებისა და აფხაზების, არამედ რუსეთისა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიციების გათვალისწინებით. ამისთვის კი საჭიროა ძალიან მასშტაბური მრავალმხრივი მუშაობა და არა ცალმხრივი დათმობები სტრატეგიულ საკითხებში.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული ბატონი მამუკას მიერ გამოთქმული წინადადებები?***

— ეს ყველაზე კარგად თავად ბატონმა მამუკამ იცის, მე კი ვფიქრობ, რომ მისი ასეთი განცხადებების ბევრი მიზეზი არსებობს. მე მესმის, რომ დღეს მამუკას მრავალი შემოესია: ზოგი აკრიტიკებს, სხვები — ლანძღავენ. ეს უკანასკნელნი მიუღებელნი არიან ჩემთვის და მე ვგმობ მათ მცდელობას, შეურაცხყოფა მიაყენონ მამუკას. მაგრამ, იმავდროულად, გულითადად ვთხოვ მამუკა არეშიძეს, ნუ შექმნის საკუთარი თავისგან დიდმოწამესა და დისიდენტის ხატებას, ვისი გაგებაც თითქოსდა არ შეუძლია დანარჩენ საზოგადოებას. ამავე დროს, მსურს, ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში მამუკა არეშიძე ამბობს, რომ არ მიიღებს შენიშვნებსა და რჩევებს მათგან, ვინც აფხაზეთში ომის დროს 1992-1993 წლებში იქ არ იმყოფებოდა. ეს განცხადება მე არ მეხება, რამდენადაც საზოგადოდ ცნობილია, რომ მე, როგორც სოხუმელი და ჟურნალისტი, ომის პირველივე დღიდან ვიმყოფებოდი აფხაზეთში და ვაშუქებდი ომის პერიოდის მოვლენებს, მასალებს გადავცემდი საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის მასმედიაში და მაქსიმალურად ვცდილობდი, ჩემს კოლეგებთან — ალექსანდრე ბერულავასთან, ნუგზარ კერესელიძესთან, თენგიზ ჯიბუტთან და სხვებთან ერთად გამერღვია ის საინფორმაციო ბლოკადა, რომელშიც ომის დაწყების პირველივე დღიდან მოექცა საქართველო. ასევე ცნობილია, ხოლო ვისაც დაავიწყდა, შევახსენებ, გარდა ჟურნალისტური მოღვაწეობისა, მე და ჩემი ოჯახის წევრები აქტიურად ვეხმარებოდით სოხუმის ხანდაზმულ მცხოვრებლებს (როგორც პროდუქტებით, ისე მორალურად), პირადი კავშირების გამოყენებით მე აქტიურად ვმონაწილეობდი ათობით აფხაზი და ქართველი ეროვნების მოქალაქის გათავისუფლებაში, მათ შორის, ჟურნალისტებისაც, რომლებიც ზოგი ტყვეობაში იყო, ზოგი — მძევლად და ზოგიც კი, უბრალოდ, გაჭირვებაში. ამას ყველაფერს ვაკეთებდი 1993 წლის 20 თებერვლამდე, მანამ, სანამ რუსეთის ავიაციის მიერ სოხუმში ჩემი საცხოვრებელი უბნისა და სახლის დაბომბვის დროს დაიღუპა მამაჩემი, მე და დედაჩემი უმძიმესად ვიყავით დაჭრილები, მაგრამ, ამის შემდეგაც კი სამკურნალოდ ვიმყოფებოდი მოსკოვსა თუ თბილისში. მე, ჩემი ჯანმრთელობის შესაძლებლობის გათვალისწინებით, არა მარტო ვაგრძელებდი მუშაობას, არამედ ჩემი პირადი კავშირების გამოყენებით ვცდილობდი დავხმარებოდი მათ, ვინც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ან ვცდილობდი მშვიდობიანი მცხოვრებლების, ქართველების, აფხაზების, რუსების, სომხების და სხვათა სიცოცხლის გადარჩენას. ამ ყველაფრის შესახებ მოგიყევით მხოლოდ იმიტომ, რომ გითხრათ: არავითარი ძველი დამსახურებები და ქმედებები არ ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თემების ირგვლივ არ მიიღოთ შემიშვნები და კრიტიკა იმათგან, ვინც გარკვეული მიზეზების გამო არ იმყოფებოდა აფხაზეთში ომის პერიოდში. ვთვლი, რომ კრიტიკა და პოლემიკა უნდა აწარმოო ოპონენტთან არა მისი წარსული დამსახურებების გამო, არამედ კონკრეტული, სასარგებლო და საყურადსაღები შენიშვნებისა და წინადადებების გამო. ამიტომ, მამუკას არგუმენტი, რომ იგი არ მიიღებს შენიშვნებს მათგან, ვინც ომის პერიოდში არ იყო აფხაზეთში, უბრალოდ, გაუგებარია და მიუღებელია. მამუკა არეშიძეს ვიცნობ, როგორც ნიჭიერსა და გამბედავ ჟურნალისტსა და ექსპერტს, როგორც საქართველოს პატრიოტს, რომელიც იმყოფებოდა აფხაზეთში ომის დროს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას აქვს უფლება, ქედმაღლურად გადმოხედოს სხვებს, ვისაც არა აქვს მსგავსი დამსახურებები ან მათ, ვინც არ იმყოფებოდა აფხაზეთში ომის დროს.

***— ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ თბილისის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ რუსეთმა შეიძლება გაიყვანოს ჯარები აფხაზეთიდან.***

— ასეთ მიამიტობას ასეთ გამოცდილ პოლიტიკოსისაგან, როგორადაც ითვლება შევარდნაძე, არ ველოდი. მივმართავ მას: ბატონო ედუარდ, თქვენ ხომ უნდა გესმოდეთ, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასა და საქართველოს გაერთიანებას ესაჭიროება სერიოზული, კონკრეტული მუშაობა გლობალური და რეგიონული ფაქტორების თანაჩართულობით და არა მოლაპარაკებებით თბილისის მხრიდან აფხაზეთის აღიარების სანაცვლოდ და ილუზორული იმედებით, თითქოსდა საპასუხოდ რუსეთი გაიყვანს ჯარებს აფხაზეთიდან და რომ მოსკოვი და სოხუმი აფხაზეთში ასობით ათასი დევნილის დაბრუნებაზე დაგვეთანხმდებიან და ა.შ. თავის დროზე, 1992 წელს, თქვენ, ბატონო ედუარდ, ვერ შეძელით თავიდან აგეცილებინათ შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში, ვერ შეძლით ან არ მოინდომეთ, ღიად გაგემარტათ ქართველი საზოგადოებისათვის, თუ რა ელოდა ქვეყანას რუსეთთან პირდაპირი შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში. თქვენ ვერ შეძელით, საქართველოსთვის აგეცილებინათ 1993 წლის ტრაგედია, ვერ შეძელით ქვეყნის ინტერესების წინ წამოწევა მისი მთავარი პრობლემების გადასაჭრელად. ახლა კი თქვენ გვთავაზობთ გონებისათვის ყოვლად მიუღებელ წინადადებას. ამან მაიძულა, ორშაბათს, 27 ივნისს, ტელეფონით დამერეკა ბატონ ედუარდთან. მე შევეცადე, მაქსიმალურად კორექტულად მეთქვა მისთვის მისი პოზიციისა და ზემოთ ხსენებული არარეალური იმედების მცდარობა. მე ვუთხარი: თქვენ არა მარტო გვატკინეთ გული მე და მრავალ სხვა ადამიანს ასეთი გამონათქვამით, არამედ, შიგ გულში დაგვჭერით! მსურს, შევახსენო საზოგადოებას: მე და ზოგიერთი ჩემი კოლეგა ღიად ვეკამათებოდით ედუარდ შევარდნაძეს როგორც 1992-93 წლებში, როცა ის ჩამოდიოდა სოხუმში, ისე მომდევნო წლებში თბილისში, რადგან ვხედავდით მის უუნარობას ტრაგედიის ალმოფხვრის თვალსაზრისით, საქართველოს მთავარი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. 1992 წელს და შემდგომ წლებში შევარდნაძეს ჩვენ მრავალჯერ შევთავაზეთ იდეები და წინადადებები აფხაზებთან დიალოგის გამართვასთან დაკავშირებით, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. შევარდნაძე გვისმენდა, გვეუბნებოდა კომპლიმენტებს, მაგრამ იშვიათად ითვალისწინებდა ჩვენს შემოთავაზებებს — არა მარტო ჩემსას, არამედ სხვათა წინადადებებსაც. ყოველივე ამის შედეგი სახეზეა — თქვენ, ბატონო ედუარდ, არა მარტო ვერ შეძელით, მიახლოებოდით საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტას, არამედ, თქვენი თანამდებობიდან გადადგომის თითქმის 8 წლის შემდეგაც კი არ გვთავაზობთ რეალურ წინადადებებს ამ საკითხის გადასაწყვეტად. თუ თქვენ არ შეგიძლიათ, შემოგვთავაზოთ რეალური წინადადებები, მაშინ ნუ უხსნით ჭრილობებს პირს, ნუ სტკენთ გულს იმ ასობით ათას ადამიანს, რომლებიც აფხაზეთში ომის შედეგად დაზარალდნენ.

# სააკაშვილი არჩევნებამდე უნდა დავამარცხოთ!

შორენა კოწოწაშვილი

**ეკა ბესელია ოპოზიციაში სამოქალაქო და პოლიტიკური სპექტრის აქტიური კოორდინირებული ქმედების აუცილებლობაზე საუბრობს და მიაჩნია, რომ დღეს ოპოზიციას ახალი სისხლი სჭირდება.**



არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ხელისუფლებაში არსებულ ვითარებას მყიფეს უწოდებს და საზოგადოების გააქტიურების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ბესელიას მიაჩნია, რომ ოპოზიციას აქვს შანსი, სააკაშვილი არჩევნებამდე დაამარცხოს.

— თუ ექვსეული შეძლებს თვითონ აიღოს ინიციატივა და არ მისცეს ხელისუფლებას შესაძლებლობა ამ მოლაპარაკების მანიპულაცია მოახდინოს და დაასრულოს იგი წარმატებულად; თუ ის დარჩება პრინციპულ პოზიციაზე, ამ ექვს პოლიტიკურ ძალას აქვს შესაძლებლობა, გააგრძელოს ეს ბრძოლა და ეს იმიტაცია, რომელსაც ახლა ხელისუფლება ქმნის, რომ მოლაპარაკება წარმატებული იყო, დაიმსხვრეს. ეს შეუძლია ამ ექვსეულს. თუ ისინი ძალიან პრინციპულად მიუდგებიან ამ საკითხს, მათ შორის საარჩევნო ვადებთან დაკავშირებულ საკითხს, მათ ექნებათ საზოგადოებრივი მხარდაჭერა, — აცხადებს სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია.

მისი თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალ პარლამენტში უმრავლესობა შეინარჩუნოს და ძალაუფლება არ დაკარგოს. უფლებადამცველი აცხადებს, რომ თანამოაზრეებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს, რათა მომავალ არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას მანდატების უმრავლესობას არ ერგოს.

— ნაციონალებს საკონტროლო პაკეტი არ უნდა დარჩეთ. ეს არის ამოცანა, რომელიც დგას მთელი ოპოზიციის და საზოგადოების წინაშე. ეს ამოცანა თუ ვერ შევასრულეთ, მაშინ საზოგადოებას, რომელსაც არც ჯანყის თავი აქვს და არც არჩევნებში ხელისუფლების დამარცხების, მაშინ ის იმსახურებს იმ ხელისუფლებას, როგორიც ჰყავს, — აცხადებს ბესელია.

ახალი მემარჯვენეების ბოლო გადაწყვეტილება კი, როგორც ბესელია აცხადებს, მისთვის იყო მოულოდნელი, მტკივნეული და აუხსნელი, რაც ხელისუფლების არაკონსტიტუციური წინადადებების დათანხმებაში გამოიხატა.

გთავაზობთ ინტერვიუს **ეკა ბესელიასთან:**

***— ქალბატონო ეკა, რა შეფასებას მისცემდით ცხრათვიანი პროცესის შედეგად ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯს და კონკრეტულად ახალი მემარჯვენეების პოზიციას?***

— სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი იყო როგორც პოლიტიკური სპექტრისთვის, ისე საზოგადოებისთვის საზოგადოების ეს ფორმა. დავიწყებ იმით, რომ ხელისუფლების ულტიმატუმს ისეთი გამოხატული ხასიათი ჰქონდა, რომელიც თავისთავად უკვე ქმნიდა ძალიან სერიოზული მიუღებლობის წინაპირობას. დათქმა იყო ასეთი: ხვალ, 6 საათამდე ყველამ მოაწეროს ამას ხელი, ვისაც უნდა. ვინც არადა, ის დარჩება სანატრელი, საოცნებო 1 მლნ-იანი დაფინასების გარეშე. ეს ისეთი ამორალური და უწესო შეთავაზება იყო ხელისუფლების მხრიდან, რომ მათ არც კი დამალეს, რომ ღია ტიპის კორუფციულ შეთავაზებას ცდილობდა პოლიტიკური ოპოზიიცის დასათანხმებლად. მოგვიანებით, თურმე გაკეთდა განცხადება, რომ ეს პუნქტი ამოღებულ იქნა. კერძოდ ის, რომ ამ თანხას მიიღებს არა მხოლოდ ის, ვინც წინასწარ მოაწერს ხელს ამ შეთანხმებას, არამედ ისინიც, ვინც გადალახავს ბარიერს არჩევნების დროს. მაგრამ თავისთავად ხელისუფლებას რომ ჰქონდა ასეთი განზრახვა — პრაქტიკულად ეყიდა 1 მლნ-ად წინასწარი ხელმოწერები შეთანხმებაზე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ძალიან უზნეო ნაბიჯი, რომელიც სამართლებრივად რომ განიხილო, არანაირ ჩარჩოში არ ეტევა. იურისტმა პავლე კუბლაშვილმა ის არ იცის, რომ კანონის ეს ნორმა, მაგალითად, თუ კანონში იქნებოდა ეს შეტანილი: დაფინანსებას ბარიერგადალახული პარტიებიდან მიიღებს მხოლოდ ის, ვინც წინასწარ მოაწერა ხელი საარჩევნო მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან და ვერ მიიღებს სხვა, ასეთი დათქმა რომ კანონსაწინააღმდეგოა და არ შეიძლება ასეთი ჩანაწერი კანონში არსებობდეს, ეს ძალიან კარგად იცის პალიკო კუბლაშვილმა, მაგრამ ეს იყო ერთი მხრივ, მცდელობა მოსყიდვის პირდაპირ და ღიად, მეორე მხრივ — ეს იყო ძალიან სერიოზული ხაფანგი პოლიტიკური პარტიებისთვის. და რატომ? თუ ასეთი ტიპის დათქმა შეთანხმების დოკუმენტში, რომელიც არა იურიდიული დოკუმენტი, არამედ პოლიტიკური დოკუმენტია, შეიძლება ჩაიწეროს, აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლებას თავად გადაეგდო ის პარტიები, რომლებიც წინასწარ მოაწერდნენ ხელს ამ პირობით, რომ მიეღო 1 მლნ ლარი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში და მერე შეიძლება ზუსტად ის პარტიები არ გაიყვანოს და მათ არ მისცეს შესაძლებლობა ბარიერის გადალახვის, ვინც ელოდება, რომ გადალახვის შემთხვევაში მიიღოს 1 მლნ. ზუსტად ასეთი პარტიები შეეძლო ხელისუფლებას გადაეგდო: გაგვიკვირდებოდა, არ იკადრებს ამას ხელისუფლება თუ რა?! ანუ ეს იყო პოლიტიკური ხაფანგი. როგორც ითქვა, ასეთი ჩანაწერი იმ დოკუმენტში აღარ არის, მაგრამ სხვა პუნქტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველი ის, რომ ძალიან უნდოდა ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოების თვალში კიდევ ერთხელ მიეღო ოპოზიციის ხელით დადასტურებული დოკუმენტი, მტკიცებულება, რომ წარმატებულად წარმართა მოლაპარაკების პროცესი. აი, ამისთვის სჭირდება მას ოპოზიციური პარტიების თანხმობა. ის, რაც ადგილობრივი არჩევნების დროს რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ გაუკეთა საჩუქრად ხელისუფლებას, რომ დემოკრატიულად ცნო ადგილობრივი არჩევნები, ეს იყო ფასდაუდებელი სამსახური სააკაშვილისთვის, რომელსაც ავტოკრატი მმართველის იმიჯის ერთგვარი რეაბილიტაციის ხელშეწყობისთვის სჭირდებოდა. ეს რიგმა პარტიებმა გაუკეთეს კიდეც. ზუსტად ასეთივე სურვილი აქვს დღეს ნაციონალურ მოძრაობას და სააკაშვილს — როგორმე საერთაშორისო საზოგადოების თვალში ჰქონდეს ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც ოპოზიციის ნაწილი ადასტურებს, რომ მოლაპარაკება იყო წარმატებული. პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამის დაშვება არ შეიძლება. ოპოზიციურმა პარტიამ არ უნდა დაუშვას, რომ ეს მოლაპარაკება ხელისუფლებამ წარმატებულად გამოაცხადოს. იმიტომ, რომ ეს არის აბსოლუტურად ფასადური ტიპის ცვლილებების თაობაზე გაკეთებული მზაობა. იმიტომ, რომ ყველა შეთავაზება თავის თავში ძალიან სერიოზულ ნაღმს მალავს. მაგალითად, შეთავაზება, სადაც წერია, რომ საარჩევნო სიები უნდა გადამოწმდეს 2012 წლის პირველ ივლისამდე. ამაზე რომ პოლიტიკური პარტია თანხმდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნები შეიძლება არ ჩატარდეს კონსტიტუციით დადგენილ ვადაში ანუ 2012 წლის მაისამდე და შეიძლება ჩატარდეს მაისის შემდეგ. ივლისამდე თუ უნდა გადამოწმდეს სიები, ეს ხომ ნიშნავს, რომ ის პარტია უკვე ეთანხმება სააკაშვილის ხელისუფლების მზაკვრობას — გაიხანგრძლივოს ხელისუფლების ვადა უკანონოდ; მითხარით, თუ არჩევნები ივნისისთვის უნდა იყოს ჩატრებული, ივლისისთვის როგორ უნდა შემოწმდეს საარჩევნო სიები. ამაზე შეთანხმება როგორ შეიძლება? ეს ჰგავს თუ არა იმ მზაკვრულ შეთანხმებას, როცა ცნობილი საკონსტიტუციო ცვლილებები შეიტანა ხელისუფლებამ და მას მხარი დაუჭირეს პარლამენტში ოპოზიციურად მონათლულმა პარტიებმაც. ანუ განისაზღვრა არჩევნების ჩატარების ორი ვადა — როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო. ეს ითვალისწინებს პრეზიდენტის ვადის 10 თვით, ხოლო პარლამენტის ვადის 5 თვით გაზრდას. ამის დაშვება არ შეიძლება. ეს არის პირდაპირი დარღვევა კონსტიტუციის და ძალაუფლების უზურპაციაში ხელის შეწყობა. ამიტომ იგივეს თუ აპირებს პოლიტიკური სპექტრიდან, რომ პარლამენტის უზურპაცია და უფლებამოსილების გაზრდა მოხდეს უკანონოდ და ამას დაეთანხმოს პოლიტიკური სპექტრი, ამას ჩვენ არ დავეთანხმებით. ამას ჩვენ არასოდეს შევურიგდებით. ამიტომ ცოტა მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს ყველა პარტიამ და ყველა პოლიტიკოსმა, ვინც ასეთი ტიპის გარიგებაში შედის და ამ ვადებს ყურადღება მიაქციოს.

***— თუ საარჩევნო სიები არჩევნების მერე უნდა გადამოწმდეს, ასეთი არჩევნების ჩატარებას რა აზრი აქვს?!***

— გეთანხმებით. ან რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე შეიქმნას საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონიტორინგის საბჭო. ე.ი. აპირებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ხელისუფლება? მან არ უნდა აკრძალოს და საერთოდ არ უნდა გამორიცხოს უკანონოდ ასეთი ტიპის რესურსების გამოყენება? ანდა, რას ნიშნავს, როდესაც დეპუტატების რაოდენობა იზრდება, როდესაც რეფერენდუმმა დაადგინა 150 კაციანი პარლამენტი. ამიტომ, წინასწარ ხალხთან შეუთანხმებლად ასეთი ტიპის შეთანხმებაზე წასვლა ხელისუფლებასთან, რამდენად არის გამართლებული ან სამართლებრივი, ან მორალური თვალსაზრისით? მე არ მიკვირს, რომ ხელმომწერთა შორის არის „ჩვენ თვითონ“, „ედპ“, ქრისტიან-დემოკრატები, მაგრამ ნამდვილად არ ველოდი ახალი მემარჯვენეებიდან ამ ხელმოწერის გაკეთებას. როგორი ახსნა-განმარტებაც არ უნდა მოვისმონოთ და მე არც ერთი მყარი არგუმენტი არ მომისმენია, რომელიც გადაწონის ამ სიმძიმეს, რომელიც ახლავს პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური თვალსაზრისით ხელის მოწერას. ამის საპირწონე არგუმენტაცია არ მომისმენია, რატომ შეიძლებოდა ეს ხელმოწერა და თანხმობა გაკეთებულიყო.

***— თქვენ ამბობთ, ახლების თანხმობა მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდებაო. რეალურად რა არის თანხმობა?***

— ეს არის ის პოლიტიკური რესურსი, რომელიც ხელისუფლებას ჟანგბადივით სჭირდებოდა საკუთარი რეაბილიტაცისთვის საერთაშორისო საზოგადოებისთვის საჩვენებლად. უნდა გაეთვალისწინებინათ, ამით რას მიიღებს ამომრჩეველი, ნამდვილად ვერაფერს მიიღებს. რას იღებენ ხელმომწერი პარტიები, არ ვიცი, მე ამას ნათლად ვერ ვხედავ. მაგრამ ფაქტია, რომ მოგებულია სააკაშვილი.

***— რას მიიღებენ და 1 მლნ-ს ანუ ფინანსურ სარგებელს...***

— თუ ის დათქმა აღარ არის, როგორც თქვა მამუკა კაციტაძემ, რომ ხელმომწერი პარტიები მიიღებენ მხოლოდ ბარიერის გადალახვის შემთხვევაში 1 მლნ დაფინანსებას, ასეთ შემთხვევაში მაშინ რა არის ფინანსური სარგებელი? შეიძლება ახალმა მემარჯვენეებმა ვერ გადალახონ ბარიერი, ან არ გადაალახვინოს ხელისუფლებამ და გადალახოს სხვამ. ასეთ შემთხვევაში არ ვიცი, რა სარგებელზეა ლაპარაკი.

***— ამ ფაქტმა ცხადყო, რომ ცხრა თვის მანძილზე რვიანი ხელისუფლებასთან ფინანსებზე ვაჭრობდა და არა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიღწევა იყო მისთვის მთავარი? ხომ გვიმტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებას უკან დაახევინებდნენ?***

— აი, ამაზე უნდა ვილაპარაკოთ. გულწრფელად გეუბნებით, გაოცებული ვარ ახლების გადაწყვეტილებით. ამას ნამდვილად არ ველოდი. ძალიან მიჭირს ამ გადაწყვეტილების ახსნა. დიდ პატივს ვცემ ახალი მემარჯვენეების ლიდერებს, მაგრამ გაუგებარია ჩემთვის მათი გადაწყვეტილება და იმ პარტიებს შორის ყოფნა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელისუფლების დოკუმენტს. ჩემთვის ეს გაუგებარი და აუხსნელია. როდესაც საარჩევნო რვიანი ლაპარაკობდა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით მოლაპარაკებებს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვთ, უპრეცედენტო მხარდაჭერა, მაინტერესებს — სად არის ის უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა, რატომ არ იქნა გამოყენებული? თუ იქნა გამოყენებული, რაში გამოიყენება ეს მხარდაჭერა და რა მოვიღეთ. ანუ რაში გაიფლანგა ეს უდიდესი საერთაშორისო მხარდაჭერა. მე ვფიქრობ, გაცილებით უფრო სიმპათიურად გამოიყურება დღეს ის ექვსი პარტია, ვიდრე გამოიყურებოდა ამ დოკუმენტის ხელმოწერამდე. ხელისუფლების შეთავაზებამდე ოპოზიციური რვიანი ერთნაირად რისხვის ქვეშ იყო მოქცეული, დღეს მათი გადაწყვეტილება, რომელმაც გაიარა პრინციპულობის, ზნეობის და კანონის ზღვარზე, მე ვფიქრობ, გაცილებით კარგად გამოაჩინა იმ პარტიების სახე, ვიდრე ისინი აქამდე ჩანდნენ. მე იმედი მაქვს, რომ ისინი მოძებნიან სწორ ფორმატს და ყალიბს, რაშიც უნდა იყოს მოქცეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნებისთვის კონსტიტუციურ ვადებში. არა იმ ვადებში, რომელიც ხელისუფლებას აწყობს, არამედ იმ ვადაში, როდესაც პარლამენტს უფლებამოსილება გასდის. მე დარწმუნებული ვარ, თუ ამ მოთხოვნის ირგვლივ იქნება კონსენსუსი და ბუნებრივია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები შეთანხმდებიან, რომ თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარდეს და არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წაიღოს უმრავლესობა. თუ ამას წინასწარ ეგუება ვინმე და მათ შორის ძალაუფლების უზურპაციის თანამონაწილეობას აპირებს, მე ვერც ერთ მათგანს ვერ დავუჭერ მხარს და ვერ ვიქნები მათი მხარდამჭერი ვერანაირ პროცესში. თუ ამ საკითხებზე იქნება პოლიტიკური და საზოგადოებრივი თანხმობა, რომ პარლამენტის უფლებამოსილება გადის იმ ვადაზე ადრე, ვიდრე ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაწერა კონსტიტუციაში და თან იმავდროულად ბრძოლა იყოს არა იმისთვის, ვინ რამდენ მანდატს მიიღებს, არამედ ბრძოლა იყოს იმისთვის, რომ ხელისუფლება დამარცხდეს და მან ძალაუფლება არ შეინარჩუნოს. ხელისუფლების შეცვლისთვის უნდა იყოს ბრძოლა და არა მანდატების რაოდენობისთვის. ეს არის უმნიშვნელოვანესი და უპრინციპულესი საკითხი. ამის ირგვლივ შეიძლება დიალოგიც, კონსენსუსიც და ახალი ტიპის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტიურობის დაწყებაც.

***— გახსოვთ, რვიანის გაფართოებაზე იყო საუბარი და ახლები კატეგორიული წინააღმდეგი წავიდნენ. საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ ოპოზიციის ეს ფლანგიც გასვარა ხელისუფლებამ და ე.წ. რადიკალური ფრთაც?***

— ხელისუფლებას და სააკაშვილს ყოველთვის ჰქონდა ასეთი პოლიტიკა, რომელიც რეალურად თავის კომპონენტებით დისკრედიტაციისთვის და კომპრომეტირებისთვის ამზადებდა ნებისმიერ პოლიტიკურ ინიციატივას. ყოველთვის ცდილობს ხელისუფლება, რომ საკუთარი შელახული იმიჯის პარალელურად შეულახოს იმიჯი და სრულიად დაუკარგოს ნდობა ოპოზიციურ სპექტრს. ამისთვის ის ყველაფერს იყენებს: პროპაგანდას, აკრძალულ მეთოდებს და ა.შ. ამიტომ არის განსაკუთრებული სიფრთხილე გამოსაჩენი, როდესაც რაიმე გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკური პარტია, რომ ამან კიდევ უფრო არ დააზარალოს საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური სპექტრისადმი ნდობა. იმიტომ, რომ დღეს ამის დეფიციტია. ყველა გრძნობს, რომ ნდობა უნდა გაიზარდოს. ნდობის გარეშე, თუ პოლიტიკურ პარტიას ხალხის მხარდაჭერა არ გექნება, ისე რა აზრი აქვს პარტიის არსებობას. 26 მაისის შემდეგ ძალიან სახიფათოა ხელისუფლებასთან შეხვიდე ისეთი ტიპის ურთიერთობაში, რომელიც თავად ხელისუფლებას ეხმარება და მას აძლევს გარკვეულ ქულებს და არა ხალხს.

***— თავისი პოლიტიკური ძალისთვის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს ახალმა მემარჯვენეებმა? ფაქტია, ისინი ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ მათი ხელმოწერა ხელისუფლებასთან საარჩევნო ფონის გაუმჯობესებაზე შედეგს მოიტანს.***

— მე ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება ახლებისთვის დამაზარალებელი ნამდვილად იქნება. გულწრფელად გეუბნებით, მე ამას ვაბობ არა ჩასაფრებულის, არამედ გულშემატკივრის როლიდან. ნამდვილად დამაზარალებელი იქნება.

***— ახლებმა ამით ხელისუფლებასთან ღია გარიგება გამოკვეთეს?***

— იცი რა, მათ აქვთ თავიანთი ახსნა ამ ყველაფერზე. ეს ახსნა შეიძლება მათთვის არის დამაჯერებელი. ჩემთვის, პირადად, არ იყო დამაჯერებელი.

***— ექვსეულის წევრები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ პოლიტიკური აქტივობები და ღია პროტესტია აუცილებელი და ამ კუთხით გააქტიურდებიან. საზოგადოება კი ხედავს, ყოველდღიურად როგორ ძლიერდება რეპრესიული მანქანა და პოლიტიკური წნეხი როგორ ამუნჯებს ხელისუფლების მარწუხებში მოქცეულ ადამიანებს. პოლიტიკური პროცესი არ ჩაკვდება?***

— ვერ ჩაკვდება. იმიტომ, რომ რეპრესიების და სოციალური სიდუხჭირის ის მასშტაბი, რომელიც ახლა ქვეყანაშია და რომელიც ძლიერდება, ეს ნიშნავს, რომ ვითარება ფეთქებადი რჩება. ამიტომ თუ ხელისუფლება ელოდება, როდემდე გაუძლებს ქართველი ხალხი ასეთ მონურ მდგომარეობასა და ასეთ ძაღლუმადურ მდგომარეობაში ცხოვრებას, თუ ამას ელოდება და ფიქრობს, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წლების პერსპექტივაა, მე უფრო მგონია, რომ დიდხანს ეს ვერ გაგრძელდება. ნებისმიერი ასეთი ზეწოლის გაძლიერებას მოჰყვება უკურეაქცია, უკუზეწოლა, რომელიც ასევე ძლიერდება. ფეთქებადი ვითარება რჩება. პოლიტიკური ისევ ძალიან მალე დაიწყება, როგორც კი რეპრესიული და შიშის ფონი იქნება დაძლეული. მე ვფიქრობ, რომ შემდეგი ეტაპი არის სწორედ ის, რომ ჩვენა ახლა უნდა დავიწყოთ საზოგადოებრივ პოლიტიკური დიალოგი, რომ მივაღწიოთ კონსენსუსს თავისუფალი არჩევნებისა და არჩევნების იმ ვადაში არჩატარების თაობაზე, რომელიც სურს ნაციონალურ მოძრაობას. თუ ამის თაობაზე შედგება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსესი, მე ვფიქრობ, რომ არჩევნებამდე უნდა დამარცხდეს ნაციონალური მოძრაობა. ეს უნდა იყოს მთელი საზოგადოების ამოცანა. ახლა საზოგადოებაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

***— დაბოლოს, როგორ შეფასებას მისცემთ გიგი უგულავას განცხადებას, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოს მოსახლეობას სააკაშვილის შემდგომ გაუმჯობესებული მიშა სჭირდება და არა სხვაგვარი ლიდერი.***

— გიგი უგულავამ შესთავაზა საკუთარი თავი საპრეზიდენტო კანდიდატად საზოგადოებას და ეს გააკეთა შენიღბული რეანიმაციული შეფუთული ფორმით. ანუ უგულავა ამაში საკუთარ თავს გულისხმობდა. ის მართლა ფიქრობს, რომ გაუმჯობესებული სააკაშვილის ვარიანტი იქნება შეთავაზებული, ის შეძლებს ამ როლში ყოფნას და ეს არის ის გზა, რომელსაც ის ადგას. ეს იყო ჩემთვის ძალან ცხადად ნათქვამი. ეს რაც შეეხება ამ განცხადებას. ბუნებრივია, ხელისუფლებას საარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიან იქეთკენ, რომ შემდეგშიც ძალაუფლება არ იქნეს დათმობილი. ხელისუფლებას მთელი სახელისუფლო რესურსი ხელთ აქვს. ყველაფერს ის აკონტროლებს. პოლიტიკური რეპრესიების გაძლიერება და ამ ბოლო დროს კანონში შეტანილი ინკვიზიციური ცვლილებები იმას ემსახურება, რომ მაქსომალურად გაანეიტრალოს პოლიტიკური ფონი. ხელისუფლებას უნდა ამ გზით აქტიური ადამიანები გამოხშიროს, იზოლაციაში მოაქციოს, ციხეებში გაუშვას და დატოვოს პასიური, უმოქმედო, გამოფიტული საზოგადოება, რომელზედაც კიდევ ერთხელ უნდა, რომ გაიმარჯვოს. აი, ეს არ უნდა დავუშვათ. ის, რომ ბოლო პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი და პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი იმაზე ფიქრობს, რომ ტორტის რა ნაჭერი შეხვდება პირადად მას და არ ფიქრობს ხალხზე და საზოგადოებაზე, მე ეს ძალიან მაფიქრებს და მაწუხებს. იმიტომ, რომ ერთნაირად არ მომწონს, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებაში ვხედავ იგივე ამბიციურ და საკუთარ ინტერესებზე მორგებულ განწყობას და როცა ამას ვხედავ პოლიტიკურ სპექტრში. ეს არის ჩემთვის მიუღებელი და ერთნაირად ვიქნები შეურიგებელი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. თუ გვინდა ვაჯობოთ ამ ძალას, რომელთანაც აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში ვართ, ამას მხოლოდ ერთსულოვნებით და ერთობით თუ მოვერევით.

# პეტრე მამრაძე ნოკაუტში არასოდეს ჩავარდნილა

ნანა მიშელაშვილი

## ღვინის და ალება ბარბაროსობა და პროვინციალიზმია

**დამოუკიდებელი დეპუტატი პეტრე მამრაძე ამბობს, რომ დღემდე სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს და კვირაში ოთხ დღეს 5 კილომეტრს 27 წუთში დარბის. პეტრე მამრაძე იხსენებს, რომ ნოკდაუნში მეტოქე რამდენჯერმე ჩაუგდია, თუმცა, ნოკაუტში — არასოდეს. კრივს თვალის ტრავმის გამო დაანება თავი, თუმცა, სპორტული ცხოვრებისთვის თავი არასოდეს დაუნებებია. უყვარს თუ არა თამადობა? რატომ არ უყვარს განსხვავებული სადღეგრძელოები და არის თუ არა მკაცრი თამადა?**



„ახალი თაობა“ **პეტრე მამრაძეს** ესაუბრა.

***— რამდენი შვილი გყავთ და რა ასაკის?***

— ერთი ქალიშვილი მყავს, ელისაბედი (ლიზიკო), 16 წლის არის.

***— ხასიათით ლიზიკო თქვენ გგავთ თუ დედას?***

— ბევრი ამბობს, რომ მე მგავს.

***— ხასიათის რა თვისებებით გგავთ?***

— ლიზიკოს ძალიან ძლიერი ნებისყოფა აქვს. ბედნიერი ვარ, რომ ამას დადებითი მიზნებისთვის იყენებს.

***— კერძოდ, რისთვის?***

— უნდა, რომ დაეუფლოს მაღალ დონეზე საგნებს, უყვარს ენები. გერმანული და ინგლისური კარგად იცის და მათ დახვეწას აგრძელებს. ძალიან უყვარს მუსიკა, არის ნიჭიერთა ათწლედის მოწაფე, შარშან გახდა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ლიტვაში, მერე მიწვეული იყო დანიაში. წელს, სულ ცოტა ხნის წინ, ჰქონდა სოლო კონცერტი კონსერვატორიის მცირე დარბაზში. ამას ყველაფერს მიაღწია არა მარტო ნამდვილი მუსიკალური ნიჭით, როგორც ამბობენ, ფენომენალური სმენა აქვს, არამედ, მიზანდასახული, თანმიმდევრული მიდგომით.

***— თქვენ მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა, უარი ვთქვი. თავიდან მშობლებსა და მამიდას, ელისაბედ მამრაძეს (რომელიც მუსიკაში საქართველოს დამსახურებული პედაგოგი იყო) პირობა დავუდე, რომ ერთი წლის შემდეგ მე გადავწყვეტდი, გავაგრძელებდი მუსიკაზე სიარულს თუ არა. მე სპორტი ვარჩიე. არა პროფესიული სპორტი, არამედ, ვარჯიში. ოჯახმა პირობა შემისრულა.

***— მუსიკას რომ გაჰყოლოდით, კარგი მუსიკოსი გამოხვიდოდით?***

— ფორტეპიანოზე ერთი წელი ვიარე, არა მგონია, რომ ვირტუოზი შემსრულებელი გავმხდარიყავი. სმენა ნამდვილად კარგი მქონდა. ოჯახში დიდებული ტრადიციებია მუსიკის. ჩემი და, ნინო მამრაძე, ცნობილი მუსიკოსია, ლიზიკოს მასწავლებელია.

***— მერე, მამიდა შენიშვნებს აძლევს ლიზიკოს?***

— როგორ არა. ჩემმა დამ მოსკოვის კონსერვატორია წარჩინებით დაამთავრა, საერთაშორისო დონის მუსიკოსია.

***— თქვენ როგორ მუსიკას უსმენთ?***

— 90%-ზე მეტს ნამდვილ კლასიკას ვუსმენ: ბახს, მოცარტს...

***— განწყობის მიხედვით უსმენთ მუსიკას?***

— დიდებულ კლასიკას სულ ვუსმენ. სხვათა შორის, თანამედროვე მუსიკოსები ძალიან მომწონს, ძალიან შთამბეჭდავი მუსიკაა.

***— ქართველი კლასიკოსებიდან ვის უსმენთ?***

— ნიკო სულხანიშვილი იყო ჩემი სიძე. პაპამისი, დიდი ნიკო სულხანიშვილი, გენიალური კომპოზიტორი იყო. არაერთხელ მომისმენია გამოჩენილი ქართველი მუსიკოსებისგან, რომ, როგორც ფიროსმანი ფერწერაში, ვაჟა ფშაველა — პოეზიაში, ისე მესამე ფიგურა მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო ნიკო სულხანიშვილი. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები გადარჩა. დანარჩენი გაიძარცვა და ნოტები მოისპო.

***— ქართულ ხალხურ მუსიკას ხშირად უსმენთ?***

— დიახ. გენიალური პოლიფონიური მუსიკა გვაქვს.

***— სპორტის რა სახეობაზე დადიოდით და რა წარმატებები გქონდათ?***

— დიდ სპორტულ შედეგებს არ ვეძებდი, ამას ყოველთვის ჩემთვის ვაკეთებდი. მეოთხე კლასიდან სპორტულ ტანვარჯიშზე დავდიოდი. სამი წელი ვიარე. ბუნებით ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ბიჭი ვიყავი კლასში.

***— რატომ, ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდით?***

— არა, ცუდად არ ვხდებოდი, მაგრამ ოჯახში ნაკლებად სპორტული ცხოვრება იყო, მე კი სპორტული ცხოვრება მინდოდა. ჩოგბურთზე შევედი ვაკის კორტებზე და თანრიგიც შევასრულე. ამის შემდეგ კრივზე შევედი.

***— კრივზე რომელი კლასიდან დაიწყეთ სიარული?***

— მეათე კლასიდან. ბიძაჩემმა მიმიყვანა გამოცდილ მწვრთნელ შალვა გორგასლიძესთან, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში ქუხდა, როგორც ტექნიკური მოკრივე და გამოჩენილი მწვრთნელი. ნახევარ წელიწადში შალვა გორგასლიძემ გადაწყვიტა, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად მევარჯიშა, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო. სერიოზული სპარინგბრძოლები მქონდა, ორი წელი ინტენსიურად ვვარჯიშობდი, მაგრამ თვალის ტრავმისა და ავადმყოფობის გამო კრივს შევეშვი, მაგრამ არ შევეშვი სპორტს.

***— მოკრივეებს ცხვირი ხშირად უტყდებათ. ცხვირი გატეხილი გაქვთ?***

— ეს მამაკაცისთვის პრობლემა არ არის. ხრტილი მაქვს გამრუდებული, მოტეხამდე საქმე არ მივიდა, მაგრამ ფორმა შეიცვალა. ერთხელ, სერიოზული ბრძოლის შემდეგ, სახლში რომ მივედი, ჩემმა დამ კარი გააღო და ვერ მიცნო, თვალები და ცხვირი ერთმანეთში მქონდა აზელილი.

***— მერე, სამაგიერო არ გადაუხადეთ და არ სცემეთ, ვინც მაგ დღეში ჩაგაგდოთ?***

— მხოლოდ რინგზე, იმიტომ რომ ყველა მეგობრები ვიყავით. ბატონი შალვა გორგასლიძე ზოგიერთ თავდაჯერებულ ან თავხედ ახალგაზრდას რომ შეხედავდა, მოკლედ იტყოდა: ჯერ კარგად ნაცემი არ არის.

***— ნოკდაუნში ან ნოკაუტში ხშირად ვარდებოდით?***

— არა. ნოკდაუნი — ეს არის, როდესაც ადამიანი სამი წერტილით შეეხება რინგს ან როდესაც წონასწორობის შეგრძნებას კარგავს და მსაჯი თვალებზე ხვდება, რომ მოკრივე მზერას ველარ აფიქსირებს. ნოკაუტის დროს ადამიანს გული მისდის, ეცემა და ველარ დგება. ნოკდაუნში ორჯერ ვყოფილვარ, ნოკაუტში — არასოდეს!

***— მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩაგიგდიათ?***

— ნოკაუტში მოწინააღმდეგე არასოდეს ჩამიგდია, ნოკდაუნში — კი.

***— კრივის ილეთები ცხოვრებაში ხშირად გამოგიყენებიათ?***

— არა. მახსოვს, ჩვენმა მწვრთნელმა შალვა გორგასლიძემ დაგვაფიცა: თუ ქუჩაში თქვენზე თავდასხმა მოხდება და თქვენ წინააღმდეგ იარაღს იყენებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი პროფესიული ჩვევები. განსაკუთრებით მარჯვენა პირდაპირი დარტყმა არ გამოიყენოთ, თორემ გაუბედურდებითო.

***— თვალის დაზიანების გამო სპორტს თავი დაანებეთ, თუმცა, შემდეგ გააგრძელეთ ვარჯიში. დღესაც ვარჯიშობთ?***

— რა თქმა უნდა.

***— დარბიხართ?***

— სირბილი, აერობიკული ვარჯიში აუცილებელი კომპონენტია. თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ ცურვაზე უნდა იარო.

***— ცურვაზე სიარულს ახერხებთ?***

— დროის მხრივ ცოტა მიჭირს. როცა მცალია, „ლაგუნა ვერეზე“ დავდივარ. ოთხჯერ კვირაში დავრბივარ. დაახლოებით 5 კილომეტრს გავრბივარ 27 წუთში. ჩემი ასაკისთვის ეს სერიოზული შედეგია, უფრო მეტიც შემიძლია. მთავარია მეორე კომპონენტი — მე ვვარჯიშობ შტანგით, ჰანტელებით და რგოლებით. ეს ყველაფერი სახლში მაქვს. ყოველდღე ვვარჯიშობ, კვირაში მხოლოდ ერთი დღე ვისვენებ. ეს ძალიან მეხმარება იმაში, რომ ფიზიკური ფორმა შევინარჩუნო.

***— ზოგიერთ ღიპიან დეპუტატსაც არ აწყენდა ამ პარლამენტში ვარჯიში...***

— მხოლოდ დეპუტატებზე არ გავამახვილებდი ყურადღებას. ისე, ამ პარლამენტში არაერთი გამოჩენილი სპორტსმენია, რომელმაც საქართველო მსოფლიო ასპარეზზე ასახელა. მე მოყვარული სპორტსმენი ვარ. ერში ცხოვრების ჯანსაღი წესი უნდა დამკვიდრდეს. ჭარბი წონა ჩვენი ეროვნული კატასტროფაა. ჯერ კიდევ გურამ ფანჯიკიძე წერდა, რომ კატასტროფაა, როდესაც ქართველ ახალგაზრდა კაცი საშუალოდ 10-15 კილოგრამით მეტს იწონის, ვიდრე სხვა ეროვნების მისი თანატოლი, ეს ერი კვდება.

***— რა არის, რაზეც თქვენ კატეგორიულად ამბობთ უარს და არ მიირთმევთ?***

— დიდი ხანია, კატეგორიულად უარს ვამბობ იმ ყველაფერზე, რაც შეიცავს გლუკოზას, სახამებელს, რაც განაპირობებს ჭარბ წონას. თეთრ პურში, ზოგიერთი სპეციალისტის აზრს ვიტყვი, ყველაფერია, პურის გარდა. დარჩენილია ძირითადად სახამებელი. პური ჩვენი არსობისა — ეს არის ის პური, რომელშიც მარცვლებია შენარჩუნებული. ეს არის ნამდვილი შავი პური, ასევე იყიდება „ხლებცი“, რომელიც ძალიან კარგია. გაღივებული ხორბლის დილით მიღება ენერგიის უშრეტი წყაროა.

***— ყავას დღეში რამდენ ფინჯანს მიირთმევთ?***

— ყავას საერთოდ არ ვსვამ. მხოლოდ მწვანე ჩაის ვსვამ. სითხის მხრივ ლიტრ-ნახევრამდე, ორ ლიტრამდე ავდივარ.

***— ყავას რატომ არ სვამთ?***

— ჯერ ერთი, ძალიან მოქმედებს ჩემზე, საღამოს 6 საათზე რომ დავლიო ერთი ფინჯანი ყავა, ამას ღამის 12 საათზე ვიგრძნობ და შეიძლება, არ დამაძინოს. ჭარბი ყავა არ ვარგა, მწვანე ჩაის ყველას ვურჩევდი, ისევე, როგორც ნატურალურ ღვინოს, განსაკუთრებით შავ, წითელ ღვინოს.

***— ღვინოს ყოველდღე მიირთმევთ?***

— კი.

***— რამდენ ჭიქას?***

— ვცდილობ, დღის განმავლობაში 200-250 მილილიტრამდე ავიდე. ოღონდ საჭმლის მიღების შემდეგ ბოლოში მივირთმევ, ყლუპა-ყლუპით, არავითარ შემთხვევაში, უცბად გადაკვრით.

***— თქვენ თავად ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— სამწუხაროდ — არა. დავხმარებივარ, მაგრამ, თავად არ დამიყენებია. მე ვიცი, ღვინის დაყენების დროს ზოგიერთი ასეთ ტრადიციას იცავს — რაღაც ფაზაში გალობენ, მეგობრები მოჰყავთ და გალობენ. თუ კარგი პოლიფონიური მუსიკაა, მაშინ არაჩვეულებრივი მოსასმენია. მე ვაღიარებ ამ ტრადიციის დიდ სილამაზეს.

***— როგორი თამადა ხართ?***

— იშვიათად მიწევს თამადობა, არატრადიციული თამადა ვარ.

***— როგორი?***

— ახალგაზრდობაში დიდი პატივი მქონდა, რამდენიმე გამოჩენილი ქართველი თამადისთვის მომესმინა. თამადობა დიდი ამბავია. ეს არის ნამდვილი ხელოვნება, ხელოვნება იმისა, რომ სიყვარული, მეგობრობა, ხალისი სუფევდეს ადამიანებში. მახსენდება აკადემიკოსი გიორგი თვალჭრელიძე, გამოჩენილი გეოლოგი — თუ რომელიმე მეგობრის იუბილეზე წაიყვანდა სუფრას, ძალიან საინტერესო მოსასმენი იყო, რომ უამრავ ისტორიას იხსენებდა.

***— პირადად თქვენ მკაცრი თამადა ხართ?***

— არა. ღვინის დაძალება ბარბაროსობა და პროვინციალიზმია და მეტი არაფერი. ეს არის შემზარავი რამ.

***— როდესაც თამადა ყოფილხართ, სუფრის წევრებისთვის ღვინო არასდროს დაგიძალებიათ?***

— არასოდეს! ყველა გამიფრთხილებია, რომ როგორც ესიამოვნებათ, ისე მიირთვან.

***— სუფრაზე ხმაური როდესაც არის, ამას როგორ ეგუებით?***

— სუფრაზე ხმაური თამადის მინუსია, სუფრა სათანადოდ ვერ წაუყვანია. თამადა თუ თავის ადგილზეა, ჭამასაც ანებებენ სუფრის წევრები თავს და მას უსმენენ.

***— სუფრიდან ვინმე გაგიძევებიათ?***

— არა, გამორიცხულია. მინდა ვთქვა, რომ პერსონალური სადღეგრძელოები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სწორ მიდგომად არ მიმაჩნია.

***— რატომ? როდესაც პერსონალურად ვინმეს ადღეგრძელებ, ცუდი რით არის?***

— იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს არის მეტად რთული და უხერხული თავად იმ ადამიანისთვის, რომელსაც პერსონალურად ადღეგრძელებ. ყველას წინაშე ფეხზე უნდა დადგეს და გისმინოს. სამაგიეროდ, მშვენიერია ადამიანებისთვის სადღეგრძელოს სახით იმის შეხსენება: რა არის ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი, რა იძლევა ცხოვრების აზრს და არსს და რა არის ხალხური სიბრძნე და ფილოსოფია. ეს ყოველთვის შეზავებული უნდა იყოს ჯანსაღ იუმორთან.

***— დიდ სუფრაზე თამადა ყოფილხართ?***

— კი. წლების წინ დიდ სუფრაზე მომიწია თამადობა, როდესაც ჩემი ქართველი ებრაელი მეგობრის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა მაშინ საქართველოში ისრაელის ელჩის ვაჟიშვილს. ამ სუფრაზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იყვნენ, ბევრი სტუმარი ესწრებოდა. ამ დიდებულ სუფრაზე ვთქვი, მათ შორის, უცხოელი სტუმრების გასაგონად: ცხოვრება ხშირად აჭარბებს ჩვენს ნებისმიერ ფანტაზიას, აგერ, ჩემ გვერდით არის ჩემი მეგობარი, გარი, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი, ყველაფერს წარმოვიდგენდი, ორივეს კაგებეს ციხეში მოხვედრას ჩვენი ანტისაბჭოური განწყობის გამო, მაგრამ, ამ დღეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს ასე მალე ექნებოდა დამოუკიდებლობა, ჩემი მეგობარი იცხოვრებდა თავის ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში, თან სულ საქართველოში ჩამოვიდოდა და აქ გადაიხდიდა შვილის ქორწილს. ატყდა ერთი ტაში და ოვაცია, ყველა ხვდებოდა, რომ ეს სინამდვილე იყო.

***— განსხვავებული სასმისებით ღვინის დალევა მოგწონთ?***

— არა, ეს ყველაფერი ბარბარიზმია. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, ქართულ წყაროებში წამეკითხა მკვლევართა გამოკვლევები. საქართველოში ასეთი ტრადიციები არ ყოფილა რუსეთთან შეერთებამდე. გავიხსენოთ აკაკი წერეთელი — სამ სადღეგრძელოს სვამდა და ამით მთავრდებოდა მაშინდელი სადღეგრძელოები. მე-19 საუკუნის დასაწყისში თანდათან შემოდის პერსონალური სადღეგრძელოები, ღვინის დაძალება.

***— ისე თუ დამთვრალხართ, რომ არაფერი გახსოვთ?***

— ახალგაზრდობაში სამი-ოთხი შემთხვევა მქონდა, როდესაც ისე დავთვერი, რომ სუფრასთან ჩამეძინა. ერთი ასეთი შემთხვევა იყო: ჩემი მეგობარი ავადმყოფობდა და არ შეეძლო დალევა. როდესაც თამადამ დააძალა და სიტუაცია დაიძაბა, მე იუმორში გადავიყვანე და ვთქვი, რა მოხდა, ორივეს მაგივრად მე დავლევმეთქი და განსხვავებულით დავლიე. ვეებერთელა თიხის ჭიქა დავლიე. მგონი, იმან მომიღო ბოლო.

***— მაშინ რამდენი წლის იყავით?***

— 23-24 წლის.

***— მეგობარი გადაარჩინეთ, მაგრამ სუფრასთან ჩაგეძინათ?***

— კი. შემდეგ ყველა ამბობდა, არაფერი გეტყობოდა, თუმცა, უცებ ჩათვლიმეო.

***— ამბობენ, რომ განსხვავებული სადღეგრძელოებიდან ყველაზე რთული დასალევი ჭინჭილაა. მართალია?***

— კი, ყველაზე რთულია. ბრწყინვალე ლექსი გახსოვთ გულბაათ ჭავჭავაძეზე — „ქვევრებსა ნთქავდა და ჭინჭილამ გადააქცია“. ღვინოზე ბევრი რამის თქმა შემიძლია, საუკუთესო მებრძოლია სიბერესთან თუ უებარი რამ არის, რაზეც ღრმა მეცნიერული გამოკვლევებია.

***— სადილების მომზადება შეგიძლიათ?***

— ძალიან მარტივი რაღაცების.

***— მაგალითად, რის?***

— ყველაზე სასაცილოა, მაგრამ შემიძლია მოვხარშო ან შევწვა კვერცხი.

***— კარტოფილის შეწვა შეგიძლიათ?***

— კარგა ხანია, არ შემიწვავს, თუმცა, შემიძლია. ჰერკულესის ფაფის მომზადება შემიძლია, ასევე წიწიბურას მოხარშვა, რომელიც ძალზე მარგებელია და არ ასუქებს. კარტოფილმა ბევრი ქვეყანა შიმშილს გაადრჩინა, მაგრამ, ამავდროულად, სახამებლის უშრეტი წყაროა. მისი მოხმარება უნდა შემცირდეს. შემიძლია ხორცის შეწვა. ნაკვერცხალზე მწვადის შეწვისთვის მიყურებია, მაგრამ თავად არ შემიწვავს. ტყეში გირჩები და შეშა შემიგროვებია, მაგრამ მწვადი თავად არ შემიწვავს, რადგან ყოველთვის ჩემ გვერდით ამ საქმის მცოდნე ყოფილა.

***— რაც შეეხება ცომეულს, მეუღლეს დახმარებიხართ?***

— მეუღლეს დავხმარებივარ, მაგრამ რაღაცის გამოცხობა არასოდეს მიცდია. ჩემი მეუღლე შესანიშნავად აცხობს, შესანიშნავი სადილების მომზადება შეუძლია.

***— სახლში მარტო რომ დარჩეთ, მშიერი არ დარჩებით?***

— არა, არა.

***— საჩუქრებს თქვენ როდესაც სხვას ჩუქნით, ეს პროცესი უფრო მოგწონთ თუ თქვენ როდესაც გჩუქნიან?***

— მე როდესაც სხვას ვჩუქნი, ეს უფრო მომწონს. ბავშვობიდან მიყვარს, როდესაც სხვას რაღაცას ვჩუქნი. ორი რამ მიყვარდა: როდესაც იმ წიგნს მაჩუქებდნენ, რომელიც მინდოდა, რომ წამეკითხა ან როდესაც ფულს მაჩუქებდნენ. ბიძაჩემმა მეუბნებოდა, ჭკვიანი ბიჭი ხარ, ახლა ფულს გაჩუქებ და, რაც გინდა, იყიდეო. ძირითადად ისევ წიგნებსა და სპორტულ ინვენტარს ვყიდულობდი.

# უფლისკენ სავალი გზა ვიწრო და რთულია

**ყველაფერი სინანულზეა აგებული. „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს ცათა სასუფეველი“. თუ ვერ დაინახავს ადამიანი, რა ჩაიდინა და ვერ გააცნობიერებს, ცუდია. შეიძლება, აღიაროს, მაგრამ თქვას, ამიტომ ჩავიდინეო. ადამიანს სინანული უნდა ჰქონდეს. საკუთარი ცოდვების განცდა უნდა ჰქონდეს. პირველი იმან მესროლოს, რომელიც უცოდველიაო, მაგრამ ყველამ დაყარა ქვები. ყველა ადამიანი ცოდვილია მეტ-ნაკლებად, მაგრამ ზოგი ხედავს თავის ცოდვას და ზოგი — ვერა.**

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ წმინდა გიორგის სახელობის ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზ ალექსი ადამაშვილთან.**

***— მამა ალექსი, მარხვა უფალმა სამოთხეშივე დაუწესა ადამსა და ევას, რაც მათ დაარღვიეს. მარხვის დროს ბოროტი უფრო მძლავრობს...***

— მარხვა, როგორც აღნიშნეთ, ადამ და ევას სამოთხეში დაუწესა უფალმა, როდესაც უთხრა, რომ არ უნდა ეჭამათ ნაყოფი ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, მაგრამ ადამმა და ევამ ვერ დაიცვეს, ვერ შეძლეს მარხვის შენახვა. ამისთვის დაისაჯნენ კიდეც, რამეთუ მათ სიკვდილისა გემო არ იცოდნენ, ამის შემდეგ ადამის შთამომავლობამ სიკვდილის გემო იხილა. უფალი ადამს ეუბნება: სად ხარ? ადამი კი არ პასუხობს, სად იყო, არამედ ეუბნება, შიშველი ვარ. ნაყოფი ხომ არ ჭამე? დედაკაცმა მაჭამაო. ევასაც ეკითხება. ევაც ეუბნება, გველმა შემაცდინაო. წმინდა მამები ბიბლიის ამ პასაჟის განმარტებისას ამბობენ, რომ ადამსა და ევას მაშინ სინანული გამოეთქვათ ღვთის მიმართ, რომ ეთქვათ: უფალო, მაპატიე, შევცდი. ამ შემთხვევაში უფალი მათ აპატიებდა. თითქოს ისე გამოუვიდათ ადამსა და ევას, რომ უფალი იყო დამნაშავე. უფალმა თავად 40 დღე და ღამე იმარხულა. ასევე პეტრეს ეუბნება, ლოცვითა და მარხვით დაითრგუნება ნათესავი ესე, ბოროტზე ეუბნება. ეშმაკის წინააღმდეგ საბრძოლველად ადამიანს უფალმა ორი ძირითადი იარაღი უბოძა: ლოცვა და მარხვა. ერთ-ერთი წმინდა მამა ბრძანებს, მარხვის ჟამს უგუნურია ის ქრისტიანი, რომელიც საჭმელსა და სასმელს განეკრძალება, ხოლო თავის ცოდვიან ცხოვრებას არ განეშორება. მარხვა არ არის მხოლოდ აკრძალვა, საჭმელს არ შევჭამ, სასმელს არ დავლევ. მარხვა უფრო ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა თავის სულიერ ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედოს. უნდა შეძლოს, რომ დაინახოს, თუ რას სცოდავს ღვთისა და ერის წინაშე და გამოასწოროს ყოველივე ეს.

***— როგორ უნდა გამოასწოროს?***

— უნდა ეცადოს, რომ იგივე ცოდვა აღარ ჩაიდინოს. ადამიანს თავისი ცოდვის განცდა უნდა ჰქონდეს. ეფრემ ასური ბრძანებს: „ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არაგანკითხვა ძმისა ჩემისაი“. ადამიანმა ჯერ საკუთარ თვალში უნდა დაინახოს დირე და სხვას მერე მიუთითოს, მეგობარო, ბეწვი გაქვს თვალში და ამოიღეო. ადამიანმა თუ თვითონ არ ჩაიხედა საკუთარ ცოდვებში და არ დაინახა, რას აკეთებს, რას სჩადის, გვერდით მყოფს როგორ შეიძლება, მიუთითოს. უფალი ბრძანებს: გადაირჩინე თავი შენი და შენ გარშემო ათები და ასები გადარჩებიან.

***— როგორ უნდა გადაირჩინოს ადამიანმა თავი?***

— თავისი ცხოვრებით მაგალითი უნდა იყოს, მაგალითი უნდა იყოს თავისი კეთილი ცხოვრებით, კეთილგანწყობით. ადამიანმა საკუთარი ცოდვები უნდა დაინახოს, უფრო მეტად უნდა ჩაუღრმავდე, თუ რას აკეთებ, რას სჩადი, ეს იმიტომ, რომ აღარ გაიმეორო იმისთვის, რომ უფალმა მოგცეს ის მადლი, რომელიც მან აღუთქვა კაცობრიობას, რომელიც არის ცათა სასუფეველი, რომლისკენაც მიილტვის თითოეული ქრისტიანი, რომ დაიმკვიდროს. ცათა სასუფევლის დამკვიდრება ადვილი არ არის, როგორც წმინდა წერილშია ნაბრანები: „ცათა სასუფეველი იიძულების და რომელმა არა აიძულის, მან ვერ მიიტაცის იგი“. უნდა დავიმსახუროთ, უნდა ვაიძულოთ საკუთარი თავი, რომ შევასრულოთ ყოველივე ის, რაც არის ღვთისგან დადგენილი. ისევ და ისევ ჩვენი სულის ცხონებისთვის, ისევ და ისევ იმისთვის, რომ კეთილი გვეყოს. ზოგიერთს ჰგონია, რომ კარგი ბიჭობისა და ლამაზი თვალებისთვის უნდა შეეწიოს უფალი. არადა, ამისთვის არ შეგეწევა უფალი. რომ დაიმსახურებ, უფალიც შეგეწევა. არ არის ბედნიერება სიმდიდრე, როგორც ზოგი ფიქრობს. არ არის ბედნიერება თანამდებობა. ადამიანისთვის მატერიალური თუ ფიზიკური არ არის სიმდიდრე. ხშირად ვიმეორებ ჩემს ქადაგებაში წმინდა მღვდელმთავრის, მილანის ეპისკოპოსის ამბროსი მედიოლანელის ერთ-ერთ ქადაგებას: სამი მეგობარი ჰყადა ადამიანსო, ორთან მეგობრობდაო. ერთთან ხან მეგობრობდა, ხან არა. როდესაც კვდებოდა, პირველ მეგობართან მივიდა და უთხრა, მეგობარო, შემეწიე, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება შენთან ერთად გავატარეო. მეგობარო, მე რითიც შემიძლია შენი შეწევნა, ძვირფასი კუბო და პროცესიაა, რომ გარდაიცვლები. თავჩაქინდრული მივიდა მეორე მეგობართან, მეორეს უთხრა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შენთან გავატარე და შემეწიე, თუ რამე შეგიძლია. მეგობარმა უთხრა, სანამ არ მოკვდები, გვერდიდან არ მოგცილდები, მაგრამ, როდესაც მოკვდები, მერე ვერაფრით ველარ შეგეწევიო. მესამე მეგობართან მივიდა და ბოდიში მოუხადა. ხან ვმეგობრობდი შენთან და ხან არა, მაგრამ იქნებ შემეწიო, ვკვდებიო. ამ მეგობრის პასუხი ასეთი იყო: შენთან ერთად ვიყავი და, რომ გარდაიცვლები, არ მოგცილდები, ყოველთვის შენთან ერთად ვიქნებიო. იქვე განმარტავს ამ იგავს ამბროსი მედიოლანელი. ადამიანის პირველი მეგობარი იყო სიმდიდრე, რომელსაც მთელი ცხოვრება აგროვებდა, მაგრამ, რომ გარდაიცვალა, მხოლოდ ძვირფასი კუბო და პროცესია ერგო მისგან, სხვა არაფერი. მეორე მეგობარი იყო საზოგადოებრივი მდგომარეობა. მაგალითად, მეფე რომ კვდება, იქვე ყვირიან, გაუმარჯოს მეფეს და სხვა არაფერი. კვდება დირექტორი, მას მეორე ცვლის. საზოგადოებისთვის შეუცვლელი პიროვნება არ არსებობს. ყველა ადამიანს მოეძებნება შემცვლელი. მესამე მეგობარი, რომელთანაც ხან მეგობრობდა და ხან არა, ეს იყო სიკეთე, რომელსაც ადამიანები ხან ვაკეთებთ და ხან არა. რაც არ უნდა მოკვდეს ადამიანი, მის მიერ გაკეთებული სიკეთე რჩება. რომ წარმოიდგინოთ პიროვნება, რომელსაც თქვენთვის სიკეთე გაუკეთებია, რომც აღარ იყოს ის პიროვნება ცოცხალი, როდესაც ის სიკეთე გაგახსენდებათ, ყოველთვის გაგახსენდებათ ის ადამიანი. ამიტომ ადამიანი, რომელიც სიკეთეს აკეთებს, სხვისთვის კი არ აკეთებს, საკუთარი სულის საზრდელად აკეთებს. უნდა გვახსოვდეს, რომ მარხვა წვალება კი არ არის ადამიანისთვის, პირიქით, სიკეთის, უფლის სავალ გზაზე დადგომაა, რომ ვიძულოთ საკუთარი თავი. ადამიანი მარხვის, ლოცვის ჟამს სიკეთესაც აკეთებს. წმინდა წერილში საუბარია, რომ საქმემან შენმან გამოგაჩინოს. ღმერთთან სიახლოვე, ღმერთის სამსახურში ყოფნა კეთილ გზაზე რომ დგახარ, ეს შენი საქმიდან გამომდინარე უნდა მოდიოდეს. წმინდა წერილში პირდაპირ ნაბრძანებია: ნუ ბაძავ ბოროტსა, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილი ღვთისაგან არს. ღვთისაგან რომ არის ადამიანი, ეს მისი სიკეთის მიმბაძველობაში უნდა გამოიხატებოდეს.




***— ეს არის ის ჭეშმარიტება, რომელსაც ვერავინ ვერ უარყოფს, მაგრამ დაბრკოლების გარეშე რთულია მისი შესრულება. წინააღმდეგობები, ბოროტი მძლავრობს...***

— სახარებაში პირდაპირ წერია: უფლისკენ სავალი გზა ვიწრო, ძნელად სავალი ეკლებითა და ბარდებით მოსილი. ეკლები და ბარდები სწორედ ამქვეყნიური საცთურებია, რომლებიც ყოველ ნაბიჯზეა, მაგრამ საკუთარი თავი უნდა აიძულო. ამისკენ არის მოწოდება. წმინდა წერილში არის პასაჟი, როდესაც მოციქულები ნავში სხედან და აბობოქრებული ტალღები ეხეთქება ნაპირს, აქით-იქით აგდებს ნავს, მაგრამ შიგნით მყოფ მოციქულებს ვერაფერს აკლებს. ამ დრო უფალი წყალზე მოდის. შეშინდნენ მოციქულები (უფალი ხედავს ყველაფერს, ჩვენი გულში ნადებიც უწყის უფალმა). ნუ შეშინდით, მე ვარო. მაშინ პეტრემ უპასუხა: თუ შენ ხარ, მაშინ მიწყოდე და მოვიდეო. მართლაც პეტრე გადავიდა წყალზე და, როგორც ხმელზე, ისე მიდის, მაგრამ აბობოქრებულ ტალღებში ჩაინთქმება. თუმცა, პეტრე ცურვას კი არ იწყებს, იცოდა, მეთევზე იყო, უფალო, მიშველეო. უფალი მიდის მასთან, ამოჰყავს და ეუბნება: რაისათვის შეურგულდი მცირედ მორწმუნეო. საგულისხმო ის არის, რომ ხომალდი, რომელშიც მოციქულები ისხდნენ, ტაძარია, ეკლესიაა წმინდა მამების განმარტებით. აბობოქრებული ტალღები, ამქვეყნიური ცოდვიანი ცხოვრება, რომელიც ეხეთქება ხომალდის კიდეებს, მაგრამ შიგნით მყოფ ადამიანებს ვერაფერს აკლებს. ამ ცოდვიან ცხოვრებასა და ყველაფერზე აღმატებული უფალი პირდაპირ მოდის ვერაფერს აკლებს ეს ცხოვრება და ჩვეულებრივად მოდის, მაგრამ, როდესაც პეტრეს ეუბნება, მოდიო, პეტრე ერთგულებით გადმოდის ნავიდან და მიისწრაფვის უფლისკენ. როდესაც უფალთან ერთგულებით ხარ, მაშინ პრობლემა არ არის. მაშინ ეს ცოდვიანი ცხოვრება ვერაფერს გაკლებს, მაგრამ, როგორც კი შეურგულდა, მაშინვე შთანთქმა დაიწყო. შთანთქმას რომ დაიწყებს და რაღაცით მოგერევა ეს ცხოვრება, მაშინვე უფალს უნდა მიმართო, რადგან ხსნა მხოლოდ მასშია. ზოგიერთი ამბობს, მე თაავდ გავუმკლავდები, მე გადავჭრი. არა, მხოლოდ უფალი თუ დაგვეხმარება. ხსნა უფლის მოწოდებაშია. უფალო, მიშველე — მიმართა პეტრემ. პეტრე მებადური იყო და იცოდა ცურვა, მაგრამ არ დაუწყია წვალება, უფალი მასათნ თავად მიდის, ამოყავს და გვერდით იყენებს, სხდებიან ნავში და სამშვიდობოს გადიან. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტაძარი არის ხომალდი, რომელიც ცოდვიანი ცხოვრების აბობოქრებულ ტალღებს მიაპობს, რომელიც ამ აბობოქრებულ ტალღებს გადააცურვიენებს შიგ მყოფ ადამიანებს და მიაყენებს იმ ნაპირს, რომელსაც ცათა სასუფეველი ჰქვა.

***— ადამიანებს გაჭირვების, სასოწარკვეთის ჟამს აქვთ უფლის იმედი, რომ ისინი გადარჩებიან. ალბათ, ამ დროს მთავარია რწმენა...***

— რა თქმა უნდა, უნდა გჯეროდეს უფლის არსებობის. უნდა გწამდეს, სარწმუნოებით უნდა მიუდგე. უნდა გჯეროდეს, რომ უფალი გიშველის. უნდა გჯეროდეს, რასაც დაიმსახურებ, იმას მიიღებ, ცოტა მეტობით, რასაკვირველია, ეს უფლის სიყვარულის გამო. მაგალითად, დილით სახლიდან რომ გამოვდივართ, ხელს-პირს ვიბანთ, სარკეში ჩავიხედავთ, შუადღისასაც ხელს დავიბანთ, ისევ ჩავიხედებით სარკეში, საღამოსაც აუცილებლად მოვიწესრიგებთ თავს. ადამიანმა ასევე დღის განმავლობაში რამდენჯერმე სულიერ სარკეშიც უნდა ჩაიხედო. უნდა ჩაიხედო იმისთვის, რომ მთელი დღის განმავლობაში თუ მოგეცხო სიბინძურე, რამე ჭუჭყი, მოიწმინდო, რადგან არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს. მეტ-ნაკლებად ყველანი ცოდვილები ვართ, მაგრამ ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაინახოს ეს ყველაფერი, თორემ, თუ არ დაინახა, ვერ მოიცილებს და ვერც მოაცილებ. შეიძლება, ადამიანი მოვიდეს და აღიაროს, რომ ვიღაცას თავი გაუტეხა, მაგრამ, შეიძლება თქვას, ღირსი იყო, მაგრამ ვინ მოგცა იმის უფლება, რომ განსაჯო, ღირსი იყო თუ არა. ბოროტი აძლიერებს ბრძოლას განსაკუთრებულად მარხვის ჟამს, მაგრამ უფალმა განსაკუთრებულად იცის იმ ადამიანების დაცვა ყოველივე ბოროტებისაგან, ვინც უფლის სათნო გზაზე დგანან. ბნელ ოთახში სანთელი რომ ანათებს, ხედავ, მაგრამ, თუ შორს დგახარ, უფრო ნაკლებად ხედავ. სანთელი ამ შემთხვევაში უფალია. თუ უფლისგან შორს ხარ, იმ მადლს, სითბოსა და სინათლეს ვერ იღებ. იმას ვერ იღებ, რაც შეიძლება მიიღო, მაგრამ, რაც უფრო მიუახლოვდები, უფრო მეტ სინათლესა და სითბოს იღებ, გარდა ამისა, ხედავ, სად დადგა ფეხი, რომ გადაგიტრიალდეს, რომ არ აღმოჩნდე სიბინძურეში. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რაც უფრო მიუახლოვდება ადამიანი ამ სანთელს, მეორე მხრიდან ჩრდილი უფრო დიდდება და მუქდება.

***— რატომ?***

— რაც უფრო ახლოს მიდიხარ უფალთან, ბოროტი უფრო და უფრო აძლიერებს შენდამი ბრძოლას, მაგრამ, მერწმუნეთ, უფალი არსად მიგატოვებს. მისმა უწმინდესობამ ერთ-ერთ მის ქადაგებაში ბრძანა, მე რომ სტიქაროსანი ვიყავი, ჯერ კიდევ ბავშვი (მისი უწმინდესობის ქადაგებებს დიდ მაგნიტოფონზე ვიწერდით), 80-იანი წლების დასაწყისში, რომ უფალთან ურთიერთობისას უმთავრესია სუფთა სადგური, სადაც უფალი შემოვა. სადაც შეიძლება უფალი შემოვიდეს, ეს ადამიანის გულია. წმინდა გული უნდა გვქონდეს, ცოდვებისგან უნდა გაწმინდო, უნდა დაასუფთავო, რომ უფალი შემოვიდეს და დაისადგუროს. უფლის გზაზე სვლა ძნელია, შეიძლება წაიქცე კიდეც, მაგრამ უწმინდესმა ბრძანა, თუ გულით ითხოვთ, რომ უფალი თქვენთან მოვიდეს, აუცილებლად მოვა, ჩაგიხუტებთ და აგაყენებთო.

***— მთელ ამ პროცესში მნიშვნელოვანია სინანულის განცდა, გულწრფელი მონანიება, მაგრამ ეს უჭირთ ადამიანებს...***

— ყველაფერი სინანულზეა აგებული. „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს ცათა სასუფეველი“. თუ ვერ დაინახავს ადამიანი, რა ჩაიდინა და ვერ გააცნობიერებს, ცუდია. შეიძლება, აღიაროს, მაგრამ თქვას, ამიტომ ჩავიდინეო. ადამიანს სინანული უნდა ჰქონდეს. საკუთარი ცოდვების განცდა უნდა ჰქონდეს. პირველი იმან მესროლოს, რომელიც უცოდველიაო, მაგრამ ყველამ დაყარა ქვები. ყველა ადამიანი ცოდვილია მეტ-ნაკლებად, მაგრამ ზოგი ხედავს თავის ცოდვას და ზოგი — ვერა. თუ ადამიანი უფალთან ახლოს არის, უფრო მეტს ხედავს, მეტი მოთხოვნა უჩნდება საკუთარი თავის მიმართ, ფეხს ისე არ დადგამს, რომ გადაუტრიალდეს. ცოდვები უნდა შეინანო იმისთვის, რომ უფალს დაანახვო — მე ცოდვილი ვარ. ჩვენ ხან ვმეგობრობთ სიკეთესთან და ხან არა, უფრო მატერიალურისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისკენ გაგვირბის თვალი, მაგრამ, მერწმუნეთ, ვერაფერი გვიპატრონებს ისე, როგორც უფალი. უფალს უნდა ვხედავდეთ ჩვენს ცხოვრებაში. უფალი არსებობდა, არსებობს და იარსებებს, მაგრამ, შენ როგორ ხედავ უფალს შენს ცხოვრებაში, ამაზეა დამოკიდებული. თავმდაბლობითა და სინანულით უნდა იყო განწყობილი და არა განდიდების მანიით შეპყრობილი.

წმინდა წერილში საუბარია, როდესაც ადამიანი ნადიმზე მიდის, გამზადებულ სუფრაზე და იქ ჯდება, სადაც მისთვის არ არის განკუთვნილი ადგილი, მასპინძელი ეუბნება: სუფრის თავში სხვა უნდა დაჯდესო. ამ ნადიმზე თავმდალობითა და სინანულით მიდის ადამიანი და ბოლოში ჯდება, რომელსაც მასპინძელი ეუბნება, თქვენი ადგილი სუფრის თავშია გამზადებულიო. სანამ თავის განკუთვნილ ადგილს დაიკავებს ეს ადამიანი, ყველა შენატრის მას, ნეტა მე ვიყო მის ადგილზეო. ასეა, ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს დაიმდაბლებს, აუცილებლად ამაღლდება, ხოლო ის, ვინც განდიდების მანიით იქნება შეპყრობილი და სინანული არ ექნება თავისი ცოდვიანი ცხოვრებისა, იმ ადამიანის ბედს გაიზიარებს.

***— განდიდების მანია რეალური პრობლემაა ჩვენი საზოგადოების?***

— საზოგადოებაში ეს პრობლემა ყოველთვის იყო და ახლაც არის. ეს არის ბოროტების მანქანება. გინდათ თქვათ, რომ ბოროტი არ ებრძვის რაღაც პერიოდში ეკლესიას. ნუ ვიფიქრებთ, რატომ გვებრძვის. წმინდა მამები ამბობენ, ოქროს რაც უფრო დიდ ცეცხლში გამოატარებ, უფრო ძვირფასიაო. მეფსალმუნე დავითი ამბობს, განსაცდელის ჟამს ღვთის ერთგულების დამტკიცება უფრო ადვილია, ვიდრე დალხინების ჟამსო. იყვნენ წმინდა მამები, როდესაც განსაცდელი არ ჰქონდათ, ცხარე ცრემლებით ტიროდნენ, უფალმა ხომ არ მიგვატოვაო. განსაცდელი ზოგჯერ გამოსაფხიზლებელია, უფრო ერთგულად რომ ვიყოთ უფალთან. ღმერთს ვუყვარვართ, ამიტომ არ დაგვტოვებს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ არ დავტოვოთ ჩვენი უგუნურებით.

# სიყვარულმა უკვე თავში დამარტყა

## გოგა მესხს პირველი ადგილი გამარჯვებად არ მიაჩნია

ეკა ირემაშვილი



„ვარსკვლავების აკადემიის" წევრი გოგა მესხი წარმატებას წარმატებაზე აღწევს და გაჩერებას არ აპირებს. როგორც თავად ამბობს, სექტემბერისთვის თავის ერთგულ მსმენელს არაერთ სიახლეს უმზადებს და ახალი ნამუშევრებით მათი გულის გახარებასაც გეგმავს.

ამჟამად გოგა სტუდიებშია შეკეტილი და ახალ სიმღერებს წერს. უკვე დაასრულა კლიპის გადაღება, რომლის რეჟისორიც დაჩი დარჩიაა. კლიპში კი ცნობილი მოდელი თამუნა გაბრიელაშვილი დააკავა. სულ მალე გოგა მეორე კლიპზეც დაიწყებს მუშაობას. ამჯერად ის დათო ფორჩხიძის სიმღერას „შენ რა სექსი ხარ", რომელსაც რეპერ ძვალთან ერთად ასრულებს, კლიპს მიუძღვნის. უახლოეს მომავალში კი მესამე კლიპსაც გადაიღებს.

ამდენი სიახლის პარალელურად, მომღერალი სულ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა საერთაშორისო კონკურსიდან, რომელშიც 18 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. „ამბერსტარი" — ასე ეწოდებოდა კონკურსს, სადაც გოგამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში პოპროკი პირველი ადგილი მოიპოვა. კონკურსი უზარმაზარ გემზე ჩატარდა, რომელიც რიგა-სტოკჰოლმი-რიგა კრუიზს ასრულებდა. გოგასთან ერთად წარმატება მოიპოვა მეორე ქართველმა კონკურსანტმა სალომე მჭედლიძემ, რომელმაც ასევე გაიმარჯვა ნომინაციაში მოდერნ კლასიკა. ორივე მომღერალს კონკურსზე მათი ხელმძღვანელი ზაზა წურწუმია ახლდა.

გოგა მესხი ევროპული ემტივის რჩეულიცაა. მან ეს საპატიო პრიზი ათეულობით ქვეყნის წარმომადგენელთა შორის დაიმსახურა. მომღერალი თავად ევროპული ემტივის პრეზიდენტმა დააჯილდოვა და აღნიშნა კიდეც, რომ საქართველოს წარმომადგენელი მისი რჩეული და აღმოჩენა იყო.

გოგა მომღერალიცაა და მსახიობიც. ის მზად არის ყველა საინტერესო შემოთავაზებაზე იმუშავოს, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გაზარდოს. აგვისტოს თვე მისთვის საკმაოდ დატვირთულია — მომღერალი მაროკოში მიდის, სადაც ერთ-ერთ კონკურსზე ელოდებიან. მიწვევა უკვე სახლში აქვს და მეგობრებთან ერთად ორკვირიან დასვენებასაც გეგმავს.

აღდგა ჯგუფი „ვივოც", რომელშიც დათუნა მგელაძე, გიორგი სუხიტაშვილი და გოგა მესხი გაერთიანდნენ. მათი ჯგუფის მეოთხე წევრი მიშკა შარაშენიძე ოჯახური მდგომარეობის და სხვა სამსახურის გამო ჯგუფს ჩამოშორდა, თუმცა, როგორც გოგა ამბობს, ბიჭებმა მისი გაგება შეძლეს და ახლა უკვე სამკაციანი შემადგენლობით ბრუნდებიან. ყველა სიახლეს გოგა თავის ერთგულ მსმენელს ახალი შემოქმედებითი სეზონის გახსნისთანავე — სექტემბერში შესთავაზებს.

ყველაზე მეტად კი ხელოვანის ცხოვრებას ის ალამაზებს, რომ შეყვარებულია. ამ თემაზე გოგა განსაკუთრებული სიყვარულით და აღფრთოვანებით ლაპარაკობს. მართალია, რჩეულის გამოჩენას ჯერჯერობით ერიდება, თუმცა პირობას დებს, რომ უახლოეს მომავალში თავის შეყვარებულს ყველას საჯაროდ გააცნობს.

**გოგა მესხი:**

— „ამბერსტარი" ერქვა კონკურსს, სადაც პირველი ადგილი ავიღე. საკმაოდ მაღალი დონის კონკურსი იყო. 18 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

***— მარტო თქვენ მონაწილეობდით ამ კონკურსში საქართველოს სახელით?***

— ჩემი მეგობარი სალომე მჭედლიძეც იყოს ამ კონკურსზე. ისიც საქართველოს წარმომადგენელი იყო და ისიც პირველ ადგილზე გავიდა, მხოლოდ მოდერნ კლასიკის ჟანრში. ძალიან მიხარია, მისი გამარჯვება, დამწყები მომღერალია, მაგრამ ძალიან ნიჭიერია. მართლა კარგი ადამიანია, ჩემი მეგობარია, კარგად მღერის, მაგრამ ჯერჯერობით საქართველოში კარგად არ არის ცნობილი. იმედი მაქვს, სულ მალე მას ფართო საზოგადოება აუცილებლად გაიცნობს.

***— როგორ მოხვდით ამ კონკურსზე?***

— სრულიად შემთხვევით. ჩემმა მეგობარმა, მასწავლებელმა და ხელმძღვანელმა ზაზა წურწუმიამ დამირეკა და მითხრა, მინდა სალომე მოხვდეს საერთაშორისო კონკურსზე, რადგან, როგორც მომღერალი, გაიზრდებაო. უარი არ მითქვამს, გადავრეკე-გადმოვრეკე, როგორც ხდება ხოლმე და ვიშოვე ეს კონკურსი. დიახ, ვიშოვე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ კონკურსზე უნდა წასულიყვნენ სალომე და ჩემი მასწავლებელი ზაზა წურწუმია. მერე ზაზამ მითხრა, სალომე ჩემს გარეშე არ მიდის, მაინც გოგოა, არ უნდა მარტო წასვლა და იქნებ ბარემ შენც წამოსულიყავიო.

***— მოკლედ, კონკურსს ხელი გამოჰკარით?***

— დიახ, ასე გამოვიდა. გამოვკარი კონკურსს ხელი და კი ავიღე პირველი ადგილი ნომინაციაში პოპროკი.

***— გაგიხარდათ?***

— სიმართლე რომ გითხრათ, გამიხარდა, მაგრამ ფეისბუქზე სტატუსშიც მეწერა, წავაგე, პირველი ადგილი ავიღე-თქო.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მართლა ასე მოხდა. მართალია პირველი ადგილი ავიღე, მაგრამ წავაგე.

***— პირველი ადგილი ცუდია?***

— ცუდი არ არის.

***— გრანპრის მოგება გინდოდათ?***

— ამაზე არ გიპასუხებთ.

***— სად ჩატარდა კონკურსი?***

— ყველაფერი უზარმაზარ გემზე ხდებოდა. რომ ვერ წარმოიდგენთ, ისეთი მაგარი იყო. რიგა-სტოკჰოლმი-რიგა იყო კრუიზი. რიგა საოცრებაა, მაგრამ სტოკჰოლმი მართლა სასწაულია. დაგვათვალიერებინეს ღირსშესანიშნაობები. ტურისტი ვიყავი, მაგრამ თან ვმღეროდი.

***— კიდევ სად გამოავლინეთ თქვენი მუსიკალური შესაძლებლობები?***

— ამ კონკურსამდე ვიყავი ბაქოსა და ყაზახეთში. მომღერალმა ლევან ლაზარიშვილმა, რომელიც მაიკო კაჭკაჭიშვილის მეუღლეა, დამირეკა და შემომთავაზა, ხომ არ წამოხვალ ყაზახეთში 2-3 თვით, კარგად იმუშავებ და გადაგიხდიან კიდეცო. ამიტომ უარი არ მითქვამს და წავედი. ნამდვილად არ ვნანობ. სარფიანი წინადადება იყო და კმაყოფილი ვარ.

***— გოგა, პირადში რა ხდება, გაქვთ სიახლეები?***

— ვაიმე, შეყვარებული ვარ! ვაიმე, თან ძაან! ამ სიყვარულმა უკვე თავში დამარტყა და მინდა გითხრათ, რომ ძაან მაგარია.

***— თქვენს რჩეულს საზოგადოება იცნობს?***

— არა, თქვენ, საზოგადოება არ იცნობთ.

***— ე.ი. პოპულარული არ არის?***

— თავის საქმეში პოპულარული ნამდვილად არის, მაგრამ საქვეყნოდ პოპულარული არ არის.

***— შემოქმედებითი სიახლეები დააგროვეთ?***

— მგონია, რომ საკმაოდ დიდხანს ვიზარმაცე, ახლა კი სიახლეების დრო დადგა. გადავიღე კლიპი, რომელიც ძალიან მომწონს.

***— კლიპის პრემიერა როდის იქნება?***

— კლიპი უკვე გადავიღეთ, გადაღებები დასრულებულია, მას მალე ნახავს საზოგადოება. მე და ჩემი უახლოესი მეგობარი თამუნა გაბრიელაშვილი ვმონაწილეობთ.

***— ვინ არის კლიპის რეჟისორი?***

— ჩემი მეგობარი დაჩი დარჩია. მართლა კარგი კლიპი გამოვიდა. უახლოეს მომავალში იხილავს ჩემი მსმენელი ამ კლიპს. იმედი მაქვს, მაყურებელი კმაყოფილი დარჩება.

***— სიმღერა ახალია?***

— სიმღერა მაჩუქა ჩემმა მეგობარმა ზურა მენთეშაშვილმა. „ნაბელლავი ჯობია", ხომ გახსოვთ? მისმა ავტორმა მაჩუქა ეს სიმღერა. კლიპიც დაჩი დარჩიამ მაჩუქა, ყველაფერი ნაჩუქარი მაქვს და მოკლედ, მე თვითონაც საჩუქარი ვარ.

***— კლიპს როდიდან დაატრიალებთ?***

— სექტემბრიდან, იმიტომ, რომ ზაფხულის ფორმატში არ ჯდება.

***— კიდევ რა სიახლე გაქვთ?***

— ჯგუფი „სახე" ალბათ ყველას გახსოვთ. ჩემთვის ლეგენდარული ჯგუფი იყო, ამ ჯგუფის სიმღერებზე გავიზარდე. მისმა ერთ-ერთმა წევრმა დავით ფორჩხიძემ მომცა სიმღერა „შენ რა სექსი ხარ". მე და რეპერმა ძვალმა ჩავწერეთ. ალბათ ყველას კარგად ახსოვს ეს სიმღერა და უახლოეს მომავალში კლიპიც მინდა გადავიღო.

***— რატომ აარჩიე ეს სიმღერა?***

— ცოტა სკანდალურია, ცოტა სექსუალურიც. თან დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე, სკანდალიც მინდა და სექსუალურობაც.

***— შეყვარებულს უძღვნი?***

— არა. შეყვარებულს სიმღერას კი არა, მთელ ჩემს სიცოცხლეს ვუძღვნი.

***— მომავალში რას აპირებთ, კიდევ მიდიხართ კონკურსებზე?***

— მაროკოში მივდივარ, მიწვევა მაქვს კონკურსზე. ესეც საერთაშორისო კონკურსია. მივდივარ ჩემს მეგობრებთან ერთად, რომ დავისვენო. ვიცი, რომ წინ კარგი სიტუაცია და მაგარი გართობა მელოდება.

***— შეყვარებულიც მიგყავთ?***

— ამაზე არ გიპასუხებთ. მარტო იმას ვიტყვი, რომ თან მიმყავს და თან არა.

***— მაინც არ იტყვით ვინ არის?***

— გამორიცხულია, მამამისი მოკლავს.

***— მამამისის გეშინიათ?***

— მე არ მეშინია, მაგრამ უსიამოვნება ნამდვილად არ მჭირდება. ამ ეტაპზე ასე სჯობია, თორემ პირობას გაძლევთ, რომ მომავალში ჩემს რჩეულს აუცილებლად გამოვაჩენ.

***— ის მაინც გვითხარით, როგორია და რატომ მოგეწონათ?***

— იცით, ჩემი შეყვარებული რატომ მომეწონა? ვაიმე, ძალიან, ძალიან ლამაზია, მართლა ულამაზესია. უსაყვარლესი თვალები აქვს. ძალიან ჭკვიანია, ძალიან ნიჭიერია.

***— მღერის?***

— მაგას არ გეტყვით, მღერის თუ არა.

***— მომღერალია?***

— კი, მღერის, მაგრამ მომღერალი არ არის.

***— თქვენს შეყვარებულს როდის გამოაჩენთ?***

— რომ გავაცნო ხალხს? ამ დროს ველოდები მეც, ერთი სული მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ ვაჩენ.

***— მასთან ერთად ოჯახის შექმნას აპირებთ?***

— ანუ ცოლად მოყვანას? ვაიმე! მიყვარს სიგიჟემდე და ერთი სული მაქვს ცოლად როდის მოვიყვან, მაგრამ რა ჯანდაბა და რა სიცხე ვქნა, აღარ ვიცი. გითხრათ სიმართლე? არ მომყვება და რა ვქნა?

***— მერე, კაცი ტყუილად ხართ?***

— რა ვქნა? ხელი დავაბრახუნო მაგიდაზე? ასეთი რამეები არ მიყვარს. მჯერა, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ამიტომ მეც ჩემს დროს ველოდები. მინდა საჯაროდ ვუთხრა — მე შენ მიყვარხარ!

***— საქართველოში რა გეგმები გაქვთ?***

— ცოტა მოგვიანებით საქართველოშიც მექნება სიახლეები. მესამე კლიპიც მინდა გადავიღო, მაგრამ ჯერჯერობით იმის თქმა არ შემიძლია, რა სიმღერას შევარჩევ და როგორი კლიპი იქნება.

***— მოკლედ, აიწყვიტეთ?***

— ასე გამოდის. ნამდვილად ავიწყვიტე. მინდა ამოვიქოქო და ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც ჩემს გულს უნდა. ყველაფერი ფულის ამბებია, მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

***— ალბომის გამოშვებას არ გეგმავთ?***

— კი, ინტენსიურად ვმუშაობ პაატა ფაცურიასთან სტუდიაში, ვმუშაობ დათო ფორჩხიძესთან სტუდიაში, სანო სტუდიაში ხომ უამრავი მეგობარი მყავს სანოს თამადობით და ასე, არ ვაპირებ გაჩერებას.

***— საქართველოში თუ იქნება კონკურსები, არ მიიღებთ მონაწილეობას, თუ თქვენთვის „ვარსკვლავების აკადემიაც" საკმარისია?***

— შეიძლება „ვარსკვლავების აკადემია" საქართველოსთვის არ არის საკმარისი, მაგრამ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მან ბევრი რამ მომცა, როგორც სოლომომღერალმა, წინ გადავდგი ნაბიჯი, რომ ბევრი მენერვიულა. ძალიან გამიჭირდა ვარსკვლავების აკადემიაში როგორც მომღერალს, მაგრამ ამავე დროს ბევრი რამ შევიძინე. დიდი მადლობა ყველას დაწყებული მარინა ბერიძით, დამთავრებული მანანა მორჩილაძით. რაც მთავარია, ამ პროექტმა ხალხის სიყვარული მომცა, რაც ჩემთვის უმთავრესია. ჩამოვყალიბდი როგორც ჯგუფის მომღერლად, ასევე სოლომომღერლად.

***— ჯგუფი „ვივო" მართლა აღადგინეთ?***

— კი, დათუნა მგელაძე, მე და გიორგი სუხიტაშვილი ვიქნებით ამ ჯგუფში. ჩვენი მეოთხე წევრი მიშკა შარაშენიძე წავიდა ჩვენგან, იმიტომ, რომ სამსახური აქვს, თავისი ცხოვრება აქვს და გვესმის მისი. ისე მოხდა, რომ დავრჩით სამნი, მგონია, რომ კარგი სასტავი ვართ.

***— როდის გამოჩნდებით ერთად?***

— სექტემბერში.

***— ყველაფერს სექტემბერში აპირებთ?***

— რა თქმა უნდა. ახლა შემოქმედებითი თვალსაზრისით მკვდარი სეზონი იწყება.

***— თუ რამე მუსიკალური კონკურსი იქნა საქართველოში, ჩაერთვებით თუ მაინც საზღვარგარეთ გასვლა გირჩევნიათ?***

— თუკი მაღალი დონის კონკურსი იქნება საქართველოში, რატომაც არა. ჩემმა მეგობრებმა ბათუმში დაგეგმილ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. თუკი მომავალში იქნება მაღალრეიტინგული კონკურსი, უარს არაფრით არ ვიტყვი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიმიწვიეს, იმიტომ, რომ იქით არ ვურეკავ არავის. არ მიყვარს ვინმესთვის თავის ძალით შეხსენება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამაყი ვარ. უბრალოდ, არ ვაწუხებ არავის.

***— აბა, რატომ, მორცხვი ხართ?***

— არა. მორცხვი არ ვარ, ფეხით ვაღებ კარს, მაგრამ არ მიხარია იქ, სადაც მე არ მელოდებიან.

***— თქვენ და ჯეოსტარი. გახვიდოდით ამ კონკურსზე?***

— ამაზე არ მიფიქრია. ჩემი უახლოესი, სისხლით ნათესავია დათუნა მგელაძე. გიორგი სუხიტაშვილიც, რომელიც ასევე ჩემი უახლოესი ადამიანია, გავიყვანეთ ჯეოსტარში. დავიწყებ გიოთი. გიომ რომ გადაწყვიტა ჯეოსტარში მონაწილეობა, სწორად მოიქცა. ჩვენი დათუნა მგელაძე მაგ დროს მოყვა ავარიაში, ორივე ფეხი მოიტეხა, მძიმე ტრავმა ჰქონდა. გიომ გადაწყვიტა, მოდი ჯეოსტარში შევალო, ჩვენი მასწავლებლის, ზაზა წურწუმიას დაჟინებული მოთხოვნით წავიდა. იგივი ურჩია თავისმა ძმამ ლევან სუხიტაშვილმა, რომელმაც ამტანი მოიგო, ისიც მღეროდა ადრე, ჯგუფი „სფინქსი" ჰქონდათ. მანაც დააძალა, გიოც გავიდა და მოიგო კიდეც. თან მე ვარ გიოს მეჯვარე, ამიტომ მისი მოგება განსაკუთრებულად გამიხარდა, მაგარი ადამიანია და მაგრად მიყვარს. რაც შეეხება დათუნა მგელაძეს, ის ჩემი სისხლით ნათესავია პირველ რიგში და ჩემი უახლოესი ადამიანი, მაგის გარეშე ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ერთი დღეც კი. ახლა ეს სამი ადამიანი ერთ ჯგუფში გავერთიანდით და „ვივო" თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის.

***— მაინც არ მიპასუხეთ, ჯეოსტარში წახვალთ?***

— მე ჩამოყალიბებული მომღერალიც ვარ, მსახიობიც, ცნობილიც ვარ, ამიტომ მგონია, რომ ჯეოსტარში არაფერი მესაქმება. მგონია, რომ სირცხვილიც არის ჩემი მხრიდან ამ პროექტში მისვლა. იმიტომ კი არა, რომ მაგრად ვმღერი, არა. ბევრი ჩემზე მაგრად მღერის.

***— მასე ნოდიკოც იყო პოპულარული და მაინც გავიდა ამ პროექტში.***

— ჩემი ნოდიკო? ნოდიკო ჩემია და სიგიჟემდე მიყვარს. აჩიკო ნიჟარაძე, პირველი ჯეოსტარი მიყვარს ძალიან, არ ვძმაკაცობ, მაგრამ კარგი ურთიერთობა მაქვს. ჩემი სალომე ბაკურაძე. რომელი ერთი ვთქვა, ყველა მიყვარს. ჯეოსტარი პოპულარობას როგორ არ მომიტანს, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ უკვე მერიდება. რაც მოხდა „ვარსკვლავების აკადემიაში", დაინგრა თუ არა, გადავრჩი თუ არა, ეს ყველაფერი მოსახდენი უნდა ყოფილიყო, ამიტომ მგონია, რომ ჩემი წილი წარმატება უკვე მოვიპოვე და ჯეოსტარში გამოჩენა ჩემთვის უკვე სირცხვილია.

***— რეკლამებში კიდევ გიხილავთ?***

— რატომაც არა, მე ხომ მსახიობი ვარ? მე არ მიტყდება არსად მუშაობა, გინდაც რეკლამა იყოს და გინდაც კლიპი. თუკი დამიძახებენ და საინტერესო შემოთავაზება იქნება, უარს არ ვიტყვი. „ნაბეღლავის" რეკლამაზე სიამოვნებით ვიმუშავე და მგონია, რომ კარგიც გამოვიდა. აგვისტოში მაროკოში მივდივარ და საქართველოში სექტემბერში დავბრუნდები. მგონია, რომ ბევრი ვიზარმაცე და უკვე ამდენი უმოქმედობა აღარ მეპატიება. ახლა ერთიანად ამოვიქოქე და განახლებული ენერგიით და ბევრი სიახლით ჩემს ერთგულ მსმენელს სექტემბერში დავუბრუნდები.

# რასელ ქროუ — არშემდგარი როკვარსკვლავი

მას არ გააჩნია ეროტიკული აურა, მაგრამ აქვს განსაკუთრებული ქარიზმა. საუბარი ავსტრალიელ ბუნტისთავ რასელ ქროუზეა, რომელიც ცნობილია ფილმებით „გლადიატორი“, „რობინ ჰუდი“, „ნოკდაუნი“, „ლოს ანჟელესის საიდუმლოებები“. მისი რამდენიმე ჯილდოდან, რა თქმა უნდა, ყველაზე გამოსარჩევი 2001 წელს აღებული „ოსკარის“ პრემიაა.

## ბავშვობა

რასელ აირა ქროუ 1964 წლის 7 აპრილს დაიბადა ახალი ზელანდიის ქალაქ ველინგტონში — ოჯახში, რომელიც თავიდანვე შოუბიზნესით იყო დაკავებული. რასელის ბაბუა სტენ ვემისი მეორე მსოფლიო ომის კინემატოგრაფიის პრემიის ლაურეატი იყო, ხოლო მისი მშობლები ალექსი და ჟოსლინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული კინოსამყაროსთან და ტელევიზიასთან.

უფრო საინტერესოა მისი წინაპრები: ქროუს დიდი ბებია ახალზელანდიელ მაორთა წარმომადგენელი იყო და, როგორც თავად ქროუ ამტკიცებს, კანიბალი იყო, ხოლო დიდი ბაბუა — ნორვეგიელი ვიკინგი. რასელის ყველა წინაპარი გამოირჩეოდა არანორმალური ფიზიკური ძალით, რომელიც მემკვიდრეობით გამოჰყვა.

როდესაც რასელს 4 წელი შეუსრულდა, ოჯახი საცხოვრებლად სიდნეიში გადავიდა და მას შემდეგ მომავალი ვარსკვლავი შოუბიზნესის ეპიცენტრში აღმოჩნდა. მისი მშობლების სამსახური ავსტრალიური კინოსტუდიის გადასაღები მოედანი იყო, სადაც ძალიან ხშირად დაჰყავდათ რასელი.

— ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების გადაღებებს 5-დან 9 წლამდე ვესწრებოდი და ძალიან მოხიბლული ვიყავი. ყოველთვის მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ტელევიზიის კარს მიღმა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან ამ კარს შევაღებდი. უკვე ადრეულ ასაკშივე დავკარგე შიში კამერების წინ, რადგან ვიცოდი, რომ ეს ფანტასტიკური რამ გახლდათ, — იხსენებდა მოგვიანებით ქროუ.

რასელი 6 წლის იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო შოუში „სპაიფორსი“. გადაცემის რეჟისორი კი დედამისის ნათლია იყო.

— 6 წლის ასაკშიც კი მინდოდა, ისეთი სახე მქონოდა, თითქოს 28 წლის ვიყავი. ჩემს მშობლებს ვუთხარი, სინჯებზე შეეტანათ ჩემი განაცხადი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რეჟისორს არ სურდა ჩემი ამ როლზე გასინჯვა. ალბათ, იმიტომ, რომ პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან ვიყავი დარწმუნებული, რომ თამაშს შევძლებდი, — დასძენს რასელი. 14 წლის ასაკში მისი ოჯახი ახალ ზელანდიაში დაბრუნდა და რასელმა სწავლა იქაურ სკოლაში გააგრძელა. მალე დინ ჰორნანი გაიცნო და ერთად ჩამოაყალიბეს როკჯგუფი „რომაული გართობები“, ხოლო 17 წლის ასაკში უკვე ჯგუფის „30 მეომარი არეული ნაბიჯებით“ ყველა სიმღერის ავტორი გახდა. მოგვიანებით ენტონი ჰოპკინსი იტყვის, რომ ქროუ თავის ახალგაზრდობას ახსენებს, მაგრამ თავად რასელს სხვა კერპი ჰყავდა — თავისი სოლოკარიერის დასაწყისშივე რას ლე როკის ფსევდონიმით დაწერა სიმღერა, „ძალიან მინდა, ვგავდე მარლონ ბრანდოს“.

რასელის სოლოკარიერა წარმატებული გამოდგა, მალე მიაღწია გარკვეულ წარმატებას და მის მიერ დაწერილი სიმღერები პოპულარობით სარგებლობდა. და მაინც, რასელისგან როკვარსკვლავი არ შედგა და შემოსავლებისთვის სხვა გზას დაადგა — რეცხავდა ჭურჭელს რესტორანში, მუშაობდა მიმტანად, უკრავდა ქუჩაში.

— მახსოვს, როდესაც მიმტანად ვმუშაობდი, რამდენი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ფერის ფეხსაცმელი მეცვა — ერთი წითელი, მეორე — შავი. ასე იმიტომ მოხდა, რომ ცალი ფეხსაცმელი მომპარეს და ფეხშიშველი ვერ ვივლიდი. ახლის ყიდვის შანსი კი არ მქონდა, — იხსენებს ქროუ.

ზუსტად იმ პერიოდში მისი თანატოლები პრესტიჟულ ნაციონალურ დრამატული ხელოვნების ინსტიტუტში მოეწყვნენ — ჯუდი დევისი, ჟაკლინ მაკენზი, მელ გიბსონი. თავად ქროუ კი, რომელსაც საშუალო სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, თვლიდა, რომ სამსახიობო ოსტატობა ისედაც ჰქონდა და სწავლის გაგრძელების ნაცვლად თავისთვის ცდილობდა, მუსიკოსისა და მსახიობის კარიერა გაეგრძელებინა.

19 წლის ასაკში გაუმართლა და როლი „საშინელი როკის შოუში“ მისცეს. 2 წლის განმავლობაში 415 წარმოდგენა ჰქონდა. პარალელურად ისევ სიდნეიში დაბრუნება და კინგ კროსის ქუჩის მსახიობობა არჩია. შედეგად კი მოხდა, რომ 1985 წელს როლი უკვე სერიალ „მეზობლებში“ მისცეს.

## 90-იანი წლები

სერიალ „მეზობლების“ შემდეგ ქროუს ხანგრძლივი პაუზა ჰქონდა და მხოლოდ 1990 წელს გადაიღეს ფილმში „მზის ტყვეები“, რასაც უკვე მთავარი როლი მოჰყვა ბოევიკში „გზაჯვარედინი“.

იმავე წელს რეჟისორმა სტივენ უოლესმა საომარ დრამა „სისხლიან ფიცში“ მიიწვია და პირველი აღიარებაც მოიპოვა. ქროუმ ავსტრალიის კინოინსტიტუტის პრემია მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაიმსახურა. თუმცა, პირველი ნამდვილი აღიარება 1992 წელს მოიპოვა, როდესაც ჯეფრი რაშის ფილმში „გადმოაგდე“ ითამაშა. მართალია, ეს ფილმი კინოკრიტიკოსების მიერ ცუდად იყო შეფასებული, რადგან თვლიდნენ, რომ მასში რასიზმის პროპაგანდა იყო ასახული, მაგრამ მაყურებლებში დიდი სიმპათია გამოიწვია და ავსტრალიაში წლის ყველაზე შემოსავლიანი პროექტი გახდა. ოცნება, დამსგავსებოდა მარლონ ბრანდოს, მცირედით აუხდა. ბრანდომ ჰოლივუდური კარიერა ახალგაზრდა ბუნტისთავების როლით დაიწყო. ასე მოხდა ქროუს შემთხვევაშიც და ფილმში „გადმოაგდე“ თამაშისთსვის ავსტრალიის კინოინსტიტუტის პრემია



მეორედ მოიპოვა — ამჯერად საუკეთესო მსახიობისთვის განკუთვნილი.

შემდეგი ორი წელი რამდენიმე კარგი როლისთვის იყო. მისი დაუშრეტელი ენერგია როგორც კრიტიკოსების, ასევე მაყურებლის ყურადღებას იქცევდა. მთავარი კი ის არის, რომ ქროუმ ჰოლივუდის სუპერვარსკვლავ შერონ სტოუნის ყურადღება მიიპყრო. მისი დაჟინებული მოთხოვნით მიიწვიეს ფილმში „ჩქარი და მკვდარი“. იმავე წელს ქროუ მიიწვიეს ფილმში „ვირტუალური“, სადაც მთავარი როლი დენზელ ვაშინგტონმა ითამაშა, მაგრამ ეს ფილმი იმითაც იყო საინტერესო, რომ მისი საუნდტრეკი ქროუს სიმღერებზე იყო.

რამდენიმე არცთუ მნიშვნელოვანი როლის შესრულების შემდეგ, 1997 წელს, მსახიობმა, როგორც იქნა, მიაღწია ვარსკვლავის სტატუსს.

კეტრის ჰენსონმა, რომელსაც ქროუ ჯერ კიდევ ფილმიდან „გადააგდე“ ახსოვდა, მთავარი როლი შესთავაზა ფილმში „ლოს ანჟელესის საიდუმლოებები“, სადაც უხეში, ვულგარული, მაგრამ სიყვარულით დამწვარი პოლიციელის როლი ითამაშა.

ფილმმა „ოსკარის“ 9 ნომინაციაზე მიიღო წარდგენა, მართალია, მათგან მხოლოდ ორი ერგო და არც ერთი არ ეკუთვნოდა ქროუს, მაგრამ აღიარება უკვე იყო.

ბედმა ქროუს მაშინაც გაუღიმა, როდესაც ალ პაჩინოსთან ერთად ითამაშა ფილმში „ჩვენი კაცი“. ამ ფილმში გადაღებისთვის ქროუმ 6 კვირაში 10 კილოგრამი მოიმატა — იკვებებოდა ძირითადად ჩიზბურგერებით და მთელ დღეებს ტელევიზორთან მოკალათებული ატარებდა. შეიღება თმა და დაემგვანა 50 წლის ადამიანს.

## ოსკაროსანი გლადიატორი

199 წელს ფილმ „ალასკის საიდუმლოების“ შემდეგ რასელი მიიწვიეს ფილმში, რომელმაც საბოლოოდ „ოსკარი“ მოუტანა — ისტორიული ეპოპეა „გლადიატორი“, რომელმაც მალევე მოასწრო, თანამედროვეობის კინოკლასიკა გამხდარიყო და 2001 წელს საუკეთესო ფილმად აღიარეს.

ფილმის გადაღების დროს ქროუ მძიმე ფიზიკურ მომზადებას გადიოდა, რადგან მის გმირს 30-კილოგრამიანი აბჯრის ტარება და ბენგალიურ ვეფხვებთან ჭიდილი უწევდა. ეს ყველაფერი კი მართლაც მოითხოვდა ფიზიკურ მომზადებას. შრომად ნამდვილად ღირდა — მასშტაბურმა და ეფექტურმა ფილმმა მსოფლიო გაქირავებაში ნახევარი მილიარდი დოლარი შემოსავალი შემოიტანა, მოაგროვა „ოსკარების“ დიდი რაოდენობა, რომელთაგან მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ჩვენს გმირს ერგო.



## კარიერის გაგრძელება

ცხადია, უკვე „ოსკარის“ მფლობელი მსახიობით რეჟისორები უფრო ინტერესდებოდნენ და მასზე მოთხოვნა გაჩნდა. საკმაოდ არაორდინარულად ითვლება მის მიერ შესრულებული როლი ფილმში „გასართობი თამაშები“, სადაც გენიალური მათემატიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატისა და შიზოფრენიკის როლი ითამაშა. მასვე უნდა ეთამაშა ჯოდი ფოსტერის ტრილერში „ფლორა პლამი“, მაგრამ ხელი ბეჭის ტრავმამ შეუშალა. ფოსტერი თანახმა, იყო გადაღებები მის გამოჯანმრთელებამდე შეეჩერებინა, მაგრამ ქროუმ მხრის მორჩენის შემდეგ „გასართობი თამაშები“ არჩია. ამ როლმა კი მას „ოქროს გლობუსის“ პრემია მოუტანა ნომინაციაში ყველაზე დრამატული მსახიობი. წარდგენილი იყო „ოსკარზეც“, მაგრამ პატარა ქანდაკება ამჯერად არ ერგო. 2002 წელი დატვირთული გამოდგა და რამდენიმე ფილმში ითამაშა, ამასთან, სხვადასხვა ჟანრში — კრიმინალური დრამა, ექშნტრილერი და ვესტერნი.

2003 წელს ძალები უკვე სათავგადასავლო ფილმ „ზღვის მბრძანებელში“ მოსინჯა, რომელშიც ოფიცერ ჯონ ობრის, სამეფო ფრეგატის კაპიტნის როლი ითამაშა. კიდევ ორი წლის შემდეგ ეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ნოკდაუნი“, სადაც უკვე მოკრივის როლი შეასრულა დიდებულად. ეს ფილმი 30-იანი წლების რეალურ პერსონაჟზეა გადაღებული. მალე ქროუ დოკუმენტურ ფილმში გამოჩნდა, რასაც მოჰყვა კომედიური მელოდრამა და ტრილერი. აღსანიშნავია, რომ ორივე ჟანრის ფილმში რეჟისორმა რიდლი სკოტმა მიიწვია, რითიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის უნივერსალურობას. საერთოდ, რიდლი სკოტისთვის მსახიობი განუყრელ ნაწილად იქცა და კიდევ რამდენიმე ფილმში მიიწვია. მათგან აღსანიშნავია ისტორიული ბოევიკი „ნოტინგემი“ (მეორენაირად რობინ ჰუდი), სადაც ჩვენმა გმირმა მთავარი როლი, ტყის ყაჩაღი ითამაშა.

## მუსიკა

ქროუს გატაცება მუსიკა თავიდანვე იყო და ამიტომ მსახიობმა მის კოლეგებს, კიანუ რივზსა და ჯონი დეპს მიბაძა და მუსიკალურ კარიერას მიჰყო ხელი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მისი მოწოდება როკვარსკვლავობა იყო და ახალ ზელანდიაში რამდენიმე სინგლი გამოუშვა. მართალია, ისინი მხოლოდ ზელანდიაში იყო პოპულარული და სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ ამერიკაში უკვე მეტ-ნაკლებად პოპულარული გახდა, შექმნა თავისი ჯგუფი, გამოუშვა პირველი დისკი და ტურნე მთელი ამერიკის მასშტაბით მოაწყო. მის ასაკში ხელახლა როკმუსიკოსის კარიერა დაგვიანებული ჩანს, მაგრამ, როგორც ამერიკაში ამბობენ, რასელ ქროუსთვის ყველაფერი მისაღებია.

## პირადი ცხოვრება

მართალია, ქროუ ახალ ზელანდიაში დაიბადა და 14 წლის შემდეგ იქ ცხოვრობდა, მაგრამ თავს ავსტრალიელად მიიჩნევს. მწვანე კონტინენტზე თავისი ფერმა აქვს, რომელსაც თავის მეგობრებს უწოდებს და იქვე ცხოვრობენ მისი მშობლები და ძმა.თავის პირად ცხოვრებაზე საუბარს კი ძალიან გაურბის. ამის გამო ჟურნალისტები, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულნი, ხშირად ბევრ რამეს იგონებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქროუს რომანი ჰქონდა მეგ რაიანთან.

2003 წლის 7 აპრილს, თავის 39-ე დაბადების დღეს კი ქროუ თავის ძველ ნაცნობზე, მომღერალ დენიელ სპენსერზე დაქორწინდა, ხოლო დეკემბერში უკვე ვაჟი, ჩარლზი შეეძინათ.

როგორც ქროუ ამბობს, ჩარლზი ისეთი ბუნტისთავია, როგორიც მამა. 2006 წელს კი ქროუს მეუღლემ მეორე ვაჟი — ტენისონი აჩუქა, თუმცა, მის ხასიათზე მამა ჯერ არაფერს ამბობს.

## საინტერესო ფაქტები

ბავშვობაში, როდესაც ოკლენდში ცხოვრობდა, ის ხშირად სტუმრობდა პაბებს, სადაც გამუდმებით ხდებოდა ჩხუბი და პოლიციას იძახებდნენ. ერთ-ერთი ასეთი აურზაურისას 10 წლის რასელს წინა კბილი ჩამოემტვრა და 5 წლის განმავლობაში ასე დადიოდა. შემდეგ კი ერთ-ერთმა რეჟისორმა მისთვის თანხა გაიღო და სტომატოლოგთან მიიყვანა.

რასელს უკვე დიდი ხანია მიკერებული აქვს აგრესიული ადამიანის იარლიყი და, როგორც ამბობენ, თავის შეკავება უჭირს. ასე მოხდა ბრიტანეთის კინოაკადემიის პრემიის დაჯილდოებაზე, როდესაც მას მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი გადასცეს. ცერემონიალზე ქროუ მუშტებით დაესხა თავს საღამოს პროდიუსერ მაკოლმ ჯერის. საქმე ის არის, რომ მისი გამოსვლა რედაქტირებული იყო, რაზეც რასელი გაბრაზდა.

— ვინ გაბედა საუკეთესო მსახიობის ფრაზების დამახინჯება? შენ აღარასდროს იმუშავებ ჰოლივუდში! — მიმართა ჯერის, თუმცა, მოგვიანებით ბოდიში მოიხადა.

როდესაც „გლადიატორის“ გადაღებებისას ქროუმ დაიშავა მუხლი, გაუწყდა მყესები ორივე ხელზე და აღენიშნებოდა რამდენიმე დაზიანება, უარი განაცხადა მკურნალობაზე და „ჯეკ დანიელის“ დალევის შემდეგ თავად მკურნალობდა თავის თავს, რათა ცოცხალ ვეფხვებთან საომრად გასულიყო.

— ჟურნალისტები ახალ მელ გიბსონს მეძახიან და ეს უკვე 10 წელია გრძელდება. ამას უკვე შევეჩიე. კიდევ უფრო მეტი, მაქვს სია, თუ ვინ ვიქნები შემდეგში — კლარკ გეიბლი, მარლონ ბრანდო, ბობ მიტჩუმი, ჯეკ ტომპსონი, პიტერ ფინჩი, — აცხადებს მსახიობი.

კომედიურ მელოდრამაში „რა ვლირვართ ცხოვრებაში“ ქროუმ ჰომოსექსუალისტის როლი ითამაშა და შემდეგში განაცხადა, რომ ეს ოცნება ჰქონდა.

— ძალიან მინდოდა, გეის როლი შემესრულებინა, რადგან დიდი იუმორის გრძნობა მაქვს. ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ საინტერესო ვიქნებოდი იმ ხალხისთვის, ვინც ჯერ მამაკაცურ როლებში მნახა და შემდეგ — თუ როგორ ვკოცნი მამაკაცებს.

ქროუმ რამდენიმე ხნის წინ ჯორჯ კლუნისთან იკამათა. არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს ჰარისონ ფორდთან და რობერტ დე ნიროსთან.

— წარმოუდგენლად ვერ ვიტან ჟურნალისტებს. ძალიან მინდა, ისინი ერთად მივიწვიო ჩემს ფერმაში და ძროხებთან ერთი დღე გავატარებინო. საღამოს კი, როდესაც საქმეებით გასავათებული იქნებიან, ძალიან მაინტერესებს, რას დაწერენ — არცთუ თავაზიანად საუბრობს ქროუ.

# ალექს გარსიას წარმატებული დასაწყისი



**დინამო (თბილისი) — მილსამი (ორჰეი) 2:0**

*თბილისი. ეროვნული. 12.000 მაყურებელი*

*1:0 კვეკვესკირი (4), 2:0 ლექვთაძე (71)*

***დინამო:*** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი, ჯილაური, კვეკვესკირი, კოშკაძე (ბერაია 85), რობერტინიო (თექთურმანიძე 64), ლექვთაძე, ფანცხავა (ახალაია 71)

***მილსამი:*** მორარუ, სოსნოვსკი, გირლა (რომანი 84), ფურდუი, იონესკუ, მენდიზოვი, გრიგორუცა (ოკინკა 68), სტადიჩუკი, ბეზიმოვი (ტრაორე 70), შავიერი, ბოგიუ

თბილისის „დინამომ" ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო შეხვედრა ორბურთიანი ჰანდიკაპით და გოლგაუშვებლად მოიგო. ანგარიში მართლაც სასურველია, მაგრამ მოლდოვაში საპასუხო მატჩის წინ დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. ხარვეზები იყო, ამასთან, არცთუ ცოტა და ერთი მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესპანელი მწვრთნელის, ალექს გარსიას გუნდმა სოლიდური ნაბიჯი გადადგა მეორე ეტაპისკენ, სადაც უელსის „ლანელი" პირდაპირაა გასული.

იმის ფონზე, რა დროც ჰქონდა გუნდის გასაცნობად და შესათამაშებლად, მწვრთნელის ხელი დაატყო. ეს შეიმჩნეოდა ბევრი სათამაშო ეპიზოდისას, კერძოდ, ფეხბურთელებმა იცოდნენ თავიანთი საკეთებელი და, რაც აშკარა იყო, კონცენტრაციას არ კარგავდნენ. ამასთან, გარსიამ მატჩის მიმდინარეობისას რამდენიმე გადაადგილება მოახდინა ფეხბურთელებს შორის.

არადა, „დინამოს" შემადგენლობაში ბევრი ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებსაც არათუ ევროტურნირებზე, ეროვნული ჩემპიონატის დონეზეც აკლიათ გამოცდილება. პირველ რიგში ეს ჯამბულ ჯილაურზე ითქმის, რომელიც მხოლოდ ერთ მატჩს ითვლის საქართველოს ჩემპიონატში. იგივე შეიძლება ვთქვათ ირაკლი ლექვთაძეზეც, რომელმაც სულაც გოლი გაიტანა.

თამაში კი „დინამოსთვის" სასურველად დაიწყო. უკვე მე-4 წუთი იყო, როდესაც „დინამომ" კუთხური ჩააწოდა, მოლდოველებმა ბურთი ვერ გამოიტანეს და ნიკა კვეკვესკირმა ათიოდე მეტრიდან დაარტყა მეკარისგან ახლო კუთხეში — 1:0. თითქოს ეს „მილსამის" განადგურების საფუძველი უნდა ყოფილიყო და მაყურებელთა უმრავლესობა ამის საცქერად მოემზადა, მაგრამ მოლდოვური კლუბი ასეთი ხელწამოსაკრავიც არ გამოდგა. ისინი სწრაფად და აგრესიულად თამაშობდნენ. მათი ფეხბურთელები ორთაბრძოლების უმეტესობას იგებდნენ და, კლასი რომ ჰქონოდათ, „დინამოს" აშკარად გაუჭირდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოედნის ცენტრალურ ნაწილში და ის უკლასობა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, შეტევის დაგვირგვინებისას ჩანდა. მათი ერთადერთი თავდამსხმელი, გეორე ბოგიუ, რამდენჯერმე გაუძვრა მცველებს და ერთხელ კინაღამ პირისპირაც გავიდა გიორგი ლორიასთან, მაგრამ გულვერდ თომაშვილმა ზედ საჯარიმოს ხაზზე გამოსდო ფეხი და დინამოელთა კარში სახიფათო საჯარიმოც დაინიშნა, მაგრამ მოლდოველები ვერაფერს გამორჩნენ.

მანამდე გიორგი ლორიასაც მოუხდა ნახტომის გაკეთება, როდესაც რიკოშეტით წასული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

22-ე წუთზე „დინამოს" ბრაზილიელმა მარცხენა გარემარბმა, რობერტინიომ, სწრაფი რეიდი ჩახვეული დარტყმით დაასრულა და „მილსამის" მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი. ამას სტუმრებმა კლაუდიუ იონესკუს შორეული დარტყმით უპასუხეს — ბურთმა ზემოდან გადაუარა ლორიას კარს. ტაიმის ბოლო წუთზე კი ალექსანდრე კოშკაძემ თავით სახიფათოდ დაარტყა და, ცოტა დაბლა რომ წასულიყო ბურთი, მშვენიერ გოლს ვნახავდით. შესვენების შემდეგ „მილსამის" აქტიური და სწრაფი თამაში აღარ ყოფილა, სამაგიეროდ, ბევრ მომენტში უხეშობაზე გადადიოდნენ და ისეთ დროსაც, როცა უწყინარი სიტუაცია იყო. „დინამომ" მეორე ნახევარი უკეთ ჩაატარა. გააქტიურდა ლექვთაძე, რომელმაც რობერტინიოს ფლანგი გაუცვალა. 52-ე წუთზე ბრაზილიელი მარცხნიდან ისევ შეიჭრა საჯარიმოში, ოღონდ კუთხე დასარტყმელად მახვილი იყო და მოლდოველთა გოლკიპერმაც ფეხებში ვარდნით განმუხტა სიტუაცია. რამდენიმე წუთში ლექვთაძემ მარცხნიდან წამოიწყო შეტევა, კოშკაძეს ცენტრში მისცა პასი, რომელმაც, თავის მხრივ, ჯილაური მოძებნა და მისი დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ლექვთაძე კი გააქტიურდა, მაგრამ რობერტინიო ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე და ალექს გარსიამაც დროულად შეცვალა გიორგი თექთურმანიძით. შესაბამისად, თექთურმანიძემ ნახევარდაცვის შუაში დაიკავა ადგილი, ხოლო მარჯვენა შემტევად ჯილაურმა გადაინაცვლა.

71-ე წუთზე კვეკვესკირმა საჯარიმოს გარედან მოხდენილი პასი გაუკეთა ლექვთაძეს, რომელმაც მახვილი კუთხიდან ცოტა ცენტრისკენ შეიწია და ძლიერი დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

დარჩენილ დროში მილსამელები აშკარად გატეხილები თამაშობდნენ და „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო ტექნიკაში, ბურთსაც გაცილებით მეტხანს ფლობდნენ. ეგაა, ალექს გარსიას გუნდს სიმძლავრე და ასევე სწრაფი გადაადგილებები აკლდა, რაც, წესით, უნდა გამოსწორდეს.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მატჩის მსაჯების ინსპექტორი წარსულში ცნობილი ფრანგი არბიტრი მიშელ ვოტრო გახლდათ, რომელიც საკმაოდ ბევრი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მატჩიდან ემახსოვრება სტაჟიან გულშემატკივარს.

მატჩის შემდეგ:

შტეფან სტოიკა, „მილსამის" მთავარი მწვრთნელი:

— მოიგო იმ გუნდმა, რომელიც უფრო ძლიერი იყო, თანაც, საკუთარ კედლებში, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თამაშობდა. „დინამო" უკეთ ფლობდა ბურთს. მართალია, ჩვენც გვქონდა პირველ ტაიმში ერთი-ორი მომენტი, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. სტუმრად გატანა ძალიან მნიშვნელოვანია და ვწუხვარ, რომ ეს ვერ მოვახერხეთ. და მაინც, ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ, შანსები დაგვრჩა და გამოყენებასაც ვეცდებით.

ალექს გარსია, „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:

— დასაწყისში ვნერვიულობდით და ბურთის დაჭერა გაგვიჭირდა. ნერვიულობა, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ პირველი ოფიციალური მატჩი იყო და თანაც — ამდენი გულშემატკივრის თვალწინ. პირველი ტაიმის ბოლო წუთებიდან შედარებით დალაგდა თამაში. საერთოდ, „მილსამის" დარ კომპაქტურ გუნდებთან თამაში რთულია, მაგრამ ბიჭებმა მოახერხეს და, მთლიანობაში, ცუდად არ გვითამაშია. რა თქმა უნდა, ხარვეზები გვაქვს, ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი.

# მარტა: მარტას კიდევ დიდხანს ვერ აჯობებთ!

ქალთა ფეხბურთი ყურადღების ცენტრში ძალიან იშვიათადაა ხოლმე და ახლა სწორედ ის იშვიათი შემთხვევაა, რადგან გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. მუნდიალის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ბრაზილიის ნაკრებმა, ასპარეზობა გუშინ დაიწყო, მანამდე კი ჩვენი გერმანელი კოლეგები, კერძოდ, გაზეთ „ბილდის" რედაქტორები მსოფლიოს საუკეთესო ქალ ფეხბურთელს, 25 წლის მარტას შეხვდნენ. ინტერვიუ ძალიან საინტერესო გამოვიდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 2006 წლის შემდეგ მარტა ზედიზედ ხუთჯერ გახდა წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი, რომ მაშინვე მივხვდებით, რატომაა ბრაზილიელი ყურადღების ცენტრში.

ქალების „სელესაოსთვის" მას 51 მატჩში 53 გოლი აქვს გატანილი. კიდევ გიკვირთ, რომ მარტას „კაბიან პელეს" ეძახიან?

***— მარტა, ხალხს ჰგონია, რომ ქალი ფეხბურთელები ქალურები არ არიან, მაგრამ, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ფეხის ფრჩხილები ცისფრად გაქვთ შეღებილი...***

— არ ვიცი, ვის რა ჰგონია, მე ის ვიცი, რომ როცა ქალი ფეხბურთს



თამაშობს და თანაც — კარგად, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. რაც შეეხება ჩემს ფრჩხილებს, მით უმეტეს, ფეხისას, ხან ცისფრად ვიღებავ, ხან ლურჯად, ხან წითლად და ხანაც — ყვითლად. უმეტესად ბრაზილიის დროშის ფერებს ვირჩევ. აბა, დამაკვირდით, ხომ ლამაზი ფეხები მაქვს? თქვენც იტყვით, რომ ქალური არ ვარ?

***— ფეხები მართლაც ძალიან ლამაზი და მოვლილი გაქვთ.***

— რა თქმა უნდა! სხეულს ყოველდღე ვუვლი. ვერ ვიტან, როცა ქალს მოუვლელი ფეხები აქვს. ამაზე დიდი საშინელება არაფერია.

***— ქალ ფეხბურთელთა შორის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ხართ. რამდენ გოლს გაიტანს თქვენი მარცხენა, აი, ეს ფეხი ამ მუნდიალზე?***

— იმდენს, რამდენიც მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იქნება საკმარისი. ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ შევძლოთ ის, რაც კაცების „სელესაომ" ბოლოს მხოლოდ 2002 წელს მოახერხა. დიახ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობა გვინდა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სამშობლოში მსოფლიოს თასით ხელდამშვენებულები დავბრუნდეთ.

***— მხოლოდ ჩემპიონობა დაგაკმაყოფილებთ?***

— მხოლოდ ჩემპიონობა! დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობ და არ მინდა, ეს ოცნება აუხდენელი დამრჩეს.

***— ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირების დროს კაც ფეხბურთელებს სექსს უკრძალავენ ხოლმე, რადგან მკვლევრებმა არაერთხელ დაადგინეს, რომ მნიშვნელოვანი თამაშის წინ სექსი მამაკაცისთვის არ უნდა იყოს რეკომენდებული. აი, ქალების შემთხვევაში კი პირიქითაა, ამბობენ, მატჩის წინ სექსი ქალზე კარგად მოქმედებს და აუცილებელიცააო. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?***

— სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი აზრით, ეს არ არის პრობლემატური საკითხი — თუ გინდა, გექნება, თუ არა და — არა. ფაქტია, რომ ახლა სექსი არ მაქვს, ან აქ ვისთან უნდა მქონდეს (იცინის)? ესეც რომ არ იყოს, მწვრთნელმაც აგვიკრძალა, ოღონდ, არ ვიცი, რატომ. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე როგორმე უსექსოდაც გავძლებ.

***— ფეხბურთელები მატჩის დროს საკმაოდ ხშირად იფურთხებიან. თქვენც?***

— არასდროს! კაცი ფეხბურთელები ხშირად იფურთხებიან, ზოგიერთი ქალიც, მაგრამ მე მოედანზე არასდროს ვიფურთხები.

***— ამბობენ, ქალი ფეხბურთელები გაცილებით მშვიდნი არიან, ვიდრე მამაკაცებიო...***

— ეს მე არ მეხება. მოედანზე საკმაოდ აგრესიული ვარ.

***— 2007 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდით. ოქროს მედალი ვერც 2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე ვერ მოიპოვეთ. ბოლოს და ბოლოს, არის თუ არა მზად ბრაზილიის ქალთა საფეხბურთო ნაკრები იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს?***

— ფაქტი ის არის, რომ ასეთი ძლიერი გუნდი არასდროს გვყოლია. თამამად ვიტყვი, რომ დღეს ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავს და ძალიან გვინდა, თასი ავიღოთ. ბრაზილიაში არ გვაღიარებენ. ხშირად ამბობენ, ქალებს მსოფლიოს ჩემპიონობა არ შეუძლიათო და ჩვენ საპირისპიროს დამტკიცება გვინდა. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, მოვიდა დრო, თასი ავიღოთ.

***— მაგრამ მთავარი ფავორიტი ტურნირის მასპინძელი გერმანიაა...***

— მართალია. გარდა იმისა, რომ გერმანიას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს, ბირგიტ პრინცი და კომპანია ახლა საკუთარ კედლებში თამაშობენ, რაც მათ უდიდეს უპირატესობას აძლევს.

***— ჩელია ოკოინო და მბაბი როგორ მოგეწონათ?***

— ძალიან კარგი ფეხბურთელია. ვნახე, როგორი გოლი გაუტანა კანადას და მის შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. თანაც, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მთელი კარიერა წინ აქვს.

***— ძალიან დიდი ხანია, უმაღლეს დონეზე თამაშობთ. როგორ ახერხებთ ამას?***

— არასდროს ვნებდები და მაქსიმუმს ვაკეთებ იმისათვის, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო. ასეთი მონდომებითა და კონცენტრაციით რომ არ ვიმუშაო, სხვები აუცილებლად მაჯობებენ, მაგრამ, მინდა, ყველას ვუთხრა: მარტას კიდევ დიდხანს ვერ აჯობებთ!

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მეტალურგები დიდი ნაბიჯით

**ბანანცი (ერევანი — მეტალურგი (რუსთავი 9:1**

**9:1 ქობალია (47**

***ბანანცი:*** ნეპოგოდოვი, დაგბაშიანი (პეტროსიანი 46), ხაჩატრიანი, არაქელიანი, ედიგარიანი, გუოზალიანი (დუ ბალა 46), ბალაბეკიანი (კ), პოღოსიანი, ბრუნო კორეა (დავიტ სუიანი 62), ამბარცუმიანი, დაშიანი

***მეტალურგი:*** ბათიაშვილი, კვახაძე (კ), ჯაფარიძე, მახვილაძე, ორბელაძე, გეწაძე (ქავთარაძე 74), რაზმაძე, ტყემელაძე (მიქაბერიძე 90), მაისურაძე (პავლიაშვილი 84), ქობალია, მოდებაძე

***გაძევება:*** ქობალია (49)

დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპის ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპისკენ რუსთავის „მეტალურგმაც". საამისოდ ერევანში გამართულ რთულ მატჩში ერთი გოლის გატანაც საკმარისი აღმოჩნდა, რომელიც გუნდის ახალწვეულმა, უფრო სწორად, ზუგდიდის „ბაიასგან" ევროთასებისთვის ნათხოვარმა ირაკლი ქობალიამ გაიტანა. აქედან გამომდინარე, რუსთავში გასამართ საპასუხო მატჩს არმაზ ჯელაძის გუნდი უკვე გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსით ხვდება.

სომხური ვებგვერდების ცნობით, ერევნის რესპუბლიკურ სტადიონზე გამართული მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. „ბანანცმა" პირველ ათ წუთში ზურაბ ბათიაშვილის კარზე რამდენჯერმე მიიტანა იერიში, მაგრამ მასპინძლებს გოლის გატანის რეალური შანსი არ ჰქონიათ. ნელ-ნელა შეხვედრის სადავეები ქართველმა ფეხბურთელებმა იგდეს ხელთ და 32-ე წუთზე ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ კუთხურის მოწოდების შემდეგ ტყემალაძის მიერ თავით დარტყმული ნეპოგოდოვმა მოიგერია. შეხვედრა 3 წუთის განახლებული იყო, როდესაც რუსთაველებმა კუთხური კიდევ ერთხელ მოაწოდეს სახიფათოდ. ამჯერად თავით ირაკლი ქობალია თამაშობდა, რომლის მოხდენილ დარტყმასაც ანგარიშის გახსნა მოჰყვა. გოლის გატანა ახალგაზრდა ქართველმა შემტევმა ზედმეტად ემოციურად აღნიშნა — იგი მაყურებლებსა და მოედანს შორის არსებულ ღობეზე აძვრა, რის გამოც ყვითელი ბარათი მიიღო. ვინაიდან ქობალიას პირველი ტაიმის ბოლოს ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა მიღებული, მან მოედანი ვადაზე ადრე დატოვა. მიუხედავად 10 კაცით დარჩენისა, გატანილი გოლის შემდეგ მატჩის მიმდინარეობას კვლავ სტუმრები აკონტროლებდნენ. თუმცა, მასპინძლებმა მალევე გამოასწორეს სიტუაცია და უპირატესობა ნელ-ნელა „ბანანცის" მხარეს გადავიდა. რაც დრო გადიოდა, რაფაელ ნაზარიანის შეგირდები უფრო და უფრო სახიფათოდ უტევდნენ ბათიაშვილის კარს, მაგრამ მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

# კოპა ამერიკა — რომელიც რეიტინგში ცვლილებებს შეიტანს

კოპა ამერიკის რიგით 43-ე გათამაშება, რომელიც 24 ივლისამდე გასტანს, უკვე დაიწყო.

12 გუნდი 3 ჯგუფად არის გაყოფილი, მათგან ყველა ჯგუფიდან 2□2 გამარჯვებული და 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. მასთან, ამ პერიოდში არსად დაგეგმილი არ არის ფიფას ეგიდით თამაშები და გამორიცხული არ არის ამ ტურნირმა ქვეყნების რეიტინგში დიდი ცვლილება მოახდინოს.

გთავაზობთ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების საბოლოო განაცხადებს.

### ა ჯგუფი

#### არგენტინა

მეკარეები: სერხიო რომერო (ალკმაარი, ჰოლანდია), მარიანო ანდუხარი (კატანია, იტალია), ხუან პაბლო კარისო (რივერ პლეიტი);

მცველები: ესეკიელ გარაი (რეალი, ესპანეთი), პაბლო საბალეტა (სიტი, ინგლისი), ნიკოლას ბურდისო (რომა, იტალია), გაბრიელ მილიტო (ბარსელონა, ესპანეთი), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), ნიკოლას პარეხა, მარკოს როხო (ორივე მოსკოვის სპარტაკი, რუსეთი);

ნახევარმცველები: ესტებან კამბიასო (ინტერი, იტალია), ხავიერ მასკერანო (ბარსელონა, ესპანეთი), ლუკას ბილია (ანდერლეხტი, ბელგია), ევერ ბანეგა (ვალენსია, ესპანეთი), ფერნანდო გაგო (რეალი, ესპანეთი), ხავიერ პასტორე (პალერმო, იტალია);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), კარლოს ტევესი (სიტი, ინგლისი), გონსალო იგუაინი, ანხელ დი მარია (ორივე რეალი, ესპანეთი), სერხიო აგუერო (ატლეტიკო, ესპანეთი), ესეკიელ ლავეცი (ნაპოლი, იტალია), დიეგო მილიტო (ინტერი, იტალია).

მწვრთნელი: სერხიო ბატისტა.

#### კოლუმბია

მეკარეები: დავიდ ოსპინა (ნიცა, საფრანგეთი), ლუის მარტინესი (ონსე კალდესი), ბრეინერ კასტილიო (ინდეპენდიენტე);

მცველები: მარიო იეპესი (მილანი, იტალია), აკივალდო მოსკერა (ამერიკა, მექსიკა), ლუის ამარანგო პერეა (ატლეტიკო, ესპანეთი), კრისტიან საპატა, პალბო არმერო (ორივე უდინეზე□, იტალია), კამილო სუნიგა (ნაპოლი, იტალია), იულიან ანჩიკო (პაჩუკა, მექსიკა), ხუან დავიდ ვალენსია (ხუნიორი);

ნახევარმცველები: ხუან გილერმო გუარდადო (უდინეზე, იტალია□), ელკინ სოტო (მაინცი, გერმანია), აბელ აგილარი (ერკულესი, ესპანეთი), ფრედი გუარინი (პორტუ, პორტუგალია), კარლოს სანჩესი (ვალანსიენი, საფრანგეთი), გუსტავო ბოლივარი (ტოლიმა);

თავდამსხმელები: უგო როდალეგა (უიგანი, ინგლისი), ადრიან რამოსი (ჰერტა, გერმანია), ტეოფილო გუტიერესი (რასინგი, არგენტინა), რადამელ ფაკაო გარსია (პორტუ, პორტუგალია), ჯეკსონ მარტინესი (ხაგუარესი, მექსიკა), დაირო მორენო (ონსე კალდესი).

მწვრთნელი: ერნან დარიო გომესი.

#### კოსტა რიკა

მეკარეები: მინორ ალვარესი (ბელენი), ლეონელ მორეირა (ერედიანო), დანი კარვახალი (სან კარლოსი);

მცველები: ჯონი აკოსტა (ალახუელენსე), ეინერ მორა (საპრისა), კევინ ფახარდო (სანტოსი), ხოსე სალვატიერა (ალახუელენსე), ფრანსისკო კალვო (სან ჯაკინტო, აშშ), პედრო ლეალი (პუნტარენასი), ოსკარ დუარტე (საპრისა);

ნახევარმცველები: ალენ გევარა (ალახუელენსე), დავიდ გუსმანი (საპრისა), ხოსე კუბერო (ერედია), განსელ არაუსი (სანტოსი), ლუის მიგელ ვალე (ალახუელენსე), დიეგო მადრიგალი (სერო პორტენო, პარაგვაი), ხორხე გატგენსი (ალახუელენსე);

თავდამსხმელები: ხოსუე მარტინესი (საპრისა), ხოელ კემპბელი (საპრისა), რანდალ ბრენესი (კარტაგინესი), ხორხე კასტრო (საპრისა), სეზარ ელიზონდო (საპრისა).

მწვრთნელი: რიკარდო ლა ვოლპე.

#### ბოლივია

მეკარეები: კარლოს ერვინ არიასი (მაკაბი ნეთანია, ისრაელი), სერხიო გალარსა (ბლუმინგი), დანიელ ვაკა (სტრონგესტი);

მცველები: ლორგიო ალვარესი (ბოლივარი), სანტოსი ამადორი (ნასიონალ პოტოსი), ლუის გუტიერესი (ორიენტე პეტროლერო), მიგელ ჰოიოსი (ორიენტე პეტროლერო), რონალდ რალდესი (კოლონი, არგენტინა), რონალდ რივერო (ბოლივარი), კრისტიან ვარგასი (სან ხოსე);

ნახევარმცველები: ჟასმანი კამპოსი (ორიენტე პეტროლერო), რუდი კარდოსო (ბოლივარი), ხოსე ლუის ჩავესი (ბლუმინგი), ვალტერ ფლორესი (ბოლივარი), რონალდ გარსია (ბოლივარი), ედვალდო ჰერმოსა (ნავალი, პორტუგალია), ხაიმე რობლესო



(აურორა), ხოსელიტო ვაკა (ორიენტე პეტროლერო), მაურისიო საუსედო (ორიენტე პეტროლერო);

თავდამსხმელები: ხუან კარლოს არსე (ორიენტე პეტროლერო), მარსელო მარტინსი (შახტარი, უკრაინა), რიკარდო პედრიელი (სივასპორი, თურქეთი), ალსიდე პენია (ორიენტე პეტროლერო)□.

მწვრთნელი: გუსტავო კინტეროსი.

### ბ ჯგუფი

#### ბრაზილია

მეკარეები: ჟულიო სეზარი (ინტერი, იტალია), ვიქტორი (გრემიო), ჯეფერსონი (ბოტაფოგო);

მცველები: დანიელ ალვეში, ადრიანო (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), მაიკონი, ლუსიო (ორივე ინტერი, იტალია), ანდრე სანტოსი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ტიაგო სილვა (მილანი, იტალია), ლუიზაო (ბენფიკა, პორტუგალია), დავიდ ლუისი (ჩელსი, ინგლისი);

ნახევარმცველები: ლუკას ლეივა (ლივერპული, ინგლისი), სანდრო (ტოტენჰემი, ინგლისი), რამირესი (ჩელსი, ინგლისი), ელიასი (ატლეტიკო, ესპანეთი), ელანო (სანტოსი), ჟადსონი (შახტარი, უკრაინა), ლუკასი (სან პაულუ);

თავდამსხმელები: რობინიო, ალეშანდრე პატუ (ორივე მილანი, იტალია), განსო (სანტოსი), ფრედი (ფლუმინენსე), ნეიმარი (სანტოსი).

მწვრთნელი: მანო მენეზეში.

#### პარაგვაი

მეკარეები: ხუსტო ვილარი (ვალიადოლიდი, ესპანეთი), დიეგო ბარეტო (სერო პორტენიო), რობერტო ფერნანდესი (რასინგი, არგენტინა);

მცველები: პაულო და სილვა (სარაგოსა, ესპანეთი), ანტოლინ ალკარასი (უიგანი, ინგლისი), დარიო ვერონი (პუმასი, მექსიკა), აურელიო ტორესი (სან ლორენსო, არგენტინა), მარკოს კასერესი (რასინგი, არგენტინა), ივან პირისი (სერო პორტენიო), ელვის მარეკოსი (გუარანი);

ნახევამცველები: ვიქტორ კასერესი (ლიბერტადი), ნესტორ ორტიგოსა (სან ლორენსო, არგენტინა), კრისტიან რივეროსი (სანდერლენდი, ინგლისი), ჯონათან სანტანა (კაისერისპორი, თურქეთი), ერნან პერესი (ვილიარეალი, ესპანეთი), ენრიკე ვერა (ლიკა დე კიტო, ეკვადორი), ედგარ ბარეტო (ატალანტა, იტალია);

თავდამსხმელები: როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი, ინგლისი), ნელსონ აედო ვალდესი (ერკულესი, ესპანეთი), ლუკას ბარიოსი (დორტმუნდი, გერმანია), ოსვალდო მარტინესი (მონტერეი, მექსიკა), მარსელო ესტიგარიბია (ნიუელს ოლდ ბოისი, არგენტინა, პაბლო სებალოსი (ოლიმპია, პარაგვაი).

მწვრთნელი: ხერარდო მარტინო.

#### ვენესუელა

მეკარეები: რენი ვეგა (კარაკასი), ლეონარდო მორალესი (დეპორტივო), დანი ერნანდესი (მურსია, ესპანეთი);

მცველები: ხოსე მანუელ რეი (მინეროსი), ოსვალდო ვისკარონდო (დეპორტივო), გაბრიელ ჩიჩერო (ნიუელ□ს ოლდ ბოისი, არგენტინა), რობერტო როზალესი (ტვენტე, ჰოლანდია), გრენდი პეროსო (ბოიაკა ჩიკო, კოლუმბია), ალექსანდერ გონსალესი (კარაკასი), ხოსე ლუის გრანადოსი (რეალ ესპორი);

ნახევარმცველები: ჯაკომო დი გიორგი (დეპორტივო), ტომას რინკონი (ჰამბურგი, გერმანია), სეზარ გონსალესი (ხიმნასია, არგენტინა), ლუის მანუელ სეიხასი (სანტა ფე, კოლუმბია), ფრანკლინ ლუსენა (კარაკასი), ხუან არანგო (გლადბახი, გერმანია), იოანდრი ორასკო (ვოლფსბურგი, გერმანია), ხესუს მესა (ატლასი, მექსიკა);

თავდამსხმელები: ნიკოლას ფედორი (ხეტაფე, ესპანეთი), ჯანკარლო მალდონადო (ატლასი, მექსიკა), ალეხანდრო მორენო (ჩივასი, აშშ), ხოსე რონდონი (მალაგა, ესპანეთი), დანიელ არისმენდი (დეპორტივო).მწვრთნელი: სეზარ ფარიასი.

#### ეკვადორი

მეკარეები: მაქსიმო ბანგუერა (ბარსელონა), მარსელო ელისაგა (დეპორტივო), ალექსანდერ დომინგესი (ლიგა დე კიტო);

მცველები: ნელსერ რეასკო (ლიგა დე კიტო), ნორბერტო არაუხო (ლიგა დე კიტო), ლუის ჩეკა (დეპორტივო), ვალტერ აიოვი (მონტერეი, მექსიკა), გაბრიელ აჩილიერი (ემელესი), ჯოვანი კაისედო (ლიგა დე კიტო), ფრიკსონ ერასო (ელ ნასიონალი), დიეგო კალდერონი (ლიგა დე კიტო);

ნახევარმცველები: ოსვალდო მინდა (დეპორტივო), სეგუნდო კასტილიო (დეპორტივო), კრისტიან ნობოა (რუბინი, რუსეთი), ლუის ფერნანდო სარიტამა (დეპორტივო), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერი, ინგლისი), დავიდ კიროსი (ემელესი), ედისონ მენდესი (ემელესი), მაიკლ აროიო (სან ლუისი, მექსიკა);

თავდამსხმელები: ხაიმე აიოვი (პაჩუკა, მექსიკა), ფელიპე კაისედო (ლევანტე, ესპანეთი), კრისტიან ბენიტესი (ამერიკა, მექსიკა), ნარსის მინა (ინდეპენდიენტე ხოსე ტერანი).

მწვრთნელი: რეინალდო რუედა.

### ც ჯგუფი

#### პერუ

მეკარეები: რაულ ფერდნანდესი (ნიცა, საფრანგეთი), ლეაო ბუტრონი (სან მარტინი), სალომონ ლიმბანი (ალიანსა ლიმა);

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** ფარული კამერა **11.30** პულსი **12.00** სერ. **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **17.30** მხ. ფილმი **19.30** მხ. ფილმი **21.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 22.00** სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** **09.30** ესტაფეტა **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **13.15, 19.30** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** დოკ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.20** ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მოკლ. ფილმი **"კავკასიური რომანსი"** **10.50** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი **"მალე გაზაფხული მოვა"** **13.30** პერსპექტივა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** ოპერა – **"იტალიელი ქალი ალჟირში"** **18.05** საფ. არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.40** მხ. ფილმი **"სხვისი შვილები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კარაბადინი **22.20** თბილისის ტაძრები **22.30** მოკლ. ფილმი **"კირილეს ოდისეა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "სათავეებთან" **00.30** საფ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები **01.15** დოკ. ფილმი "სულიკო"

## კვირა 10 ივლისი

**08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** საბ. ფილმი **"ლესი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.25** მოამბე **12.15** მხ. ფილმი **"შეიყვარო მეზობელი გოგონა"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სი ბემოლი **15.30** დოკ. ფილმი "ხეების პლანეტა" **16.15** ჩვენი ეზო **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** ბალეტი "დონ კიხოტი" **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** კონცერტი – ტანია მარია, მე-**2** ნ. **23.00** პილოტი **00.00** "კავკასუს ლაივი" **01.00** მხ. ფილმი **"ველურ პირობებში"** (12) **03.55** აქცენტები **04.55** ვ. სანაიას რეპორტაჟი

**08.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი **"რევიზორი"** **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.30** მხ. ფილმი **"შეიყვარო მეზობელი გოგონა"** **23.40** კონცერტი: სესილია **100** **00.15** მხ. ფილმი **"ქარცვა იტალიურად"**

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **11.00** გუნდი **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **"ცუდი გოგოები"** **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკოვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **22.00** სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** **23.00** ქართ. სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი **"აკოცე გოგოებს"** (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **08.40** საბ. ფილმი **"იდეალური სათამაშო"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან. ფილმი "ვინი პუხის თავგადასავალი" **12.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"ჰანა მონტანა"** 22-23ს. **14.30** სპეცრეპორტაჟი **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.45** ეტალონი **19.05** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ღამის შოუ **00.15** სერ. **"გამომძიებელი ქალები"** მე-2ს. **01.35** მხ. ფილმი **"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **11.30** პულსი **12.00** სერ. **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** მხ. ფილმი **18.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **19.00** ფარული კამერა **20.00** მზის კინოკლუბი. **23.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 22.00** სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ესტაფეტა **12.40, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **13.00** დოკ. ფილმი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **"მეგობრები"** **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** მოკლ. ფილმი **"კირილეს ოდისეა"** **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "სულიკო" **11.35** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი **"სხვისი შვილები"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.40** საფ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" **16.45** სალვთისმეტყველო საუბრები **17.30** დრო და ტრადიციები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** გზა, რომლითაც ვიარე **19.30** დოკ. ფილმი "ეკლესიის საჭეთმპყრობელი – კირიონ მეორე" **19.50** მხ. ფილმი **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.40** დრო და ადამიანები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** კინოკლასიკა **"უკანასკნელი ჯვაროსნები"** **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** კინოკლასიკა (გაგრძ.) **01.00** ოპერა **"იტალიელი ქალი ალჟირში"**

# მარტო რომ ვარ, დედაჩემის ბრალია

**ხშირად მშობლები საკუთარ შვილებს გამუდმებით იმას უჩიჩინებენ, რომ მათთვის კარგი მშობელზე მეტად არავის უნდა. ასეთი შვილები კი სიცოცხლის ბოლომდე საკუთარ მშობლებზე დამოკიდებულები ხდებიან. ასე დაემართა ნინოსაც. იგი დღეს უკვე 45 წლისაა და უკან რომ მოიხედავს, გული სწყდება, რომ არაფერი გააჩნია — არც შვილი, არც ოჯახი და არც ქმარი. მისი შვება მხოლოდ წითელი დიპლომი, ლექციები უნივერსიტეტში და ის აბიტურიენტები არიან, რომლებსაც უმაღლესში ჩასაბარებელი გამოცდებისთვის ამზადებს. დღეს რომ ნინოს საკუთარი ოჯახი არ გააჩნია და შვილები არ ჰყავს, ამაში მხოლოდ მშობლებს ადანაშაულებს. მართალია, როცა გათხოვება გადაწყვიტა, მშობლების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ დედამისმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნინო სახლში დაებრუნებინა და მისთვის „შეუფერებელ" ოჯახში არ დაეტოვებინა.**

ნინო:

— დღეს რომ მარტო ვარ, სულ დედაჩემის ბრალია. მართალია, არც მამაჩემი მაკლებდა თავის პრეტენზიებს და გამუდმებით იმას მიჩიჩინებდა, შენს გვერდით ნამდვილი ვაჟკაცი, უნაკლო მამაკაცი უნდა იდგესო. თავიდან მისი ნათქვამის მჯეროდა და ბრმად ვენდობოდი. სულ მეგონა, რომ დედაჩემი ყოველთვის მართალი იყო, ის ჩემზე უფროსი იყო, მეტი გამოცდილება ჰქონდა და ცუდს არასოდეს მირჩევდა.

— როდის აუმხედრდით დედას?

— მაშინ, როცა პირველად და სერიოზულად შემიყვარდა. შოთიკო მეტროში გავიცანი. უნივერსიტეტიდან ვბრუნდებოდი. მან საათი მკითხა, მეც ვუპასუხე, საიდანღაც მეცნობიო და ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

მიუხედავად იმისა, რომ ასაკით პატარა აღარ ვიყავი, გათხოვებაზე არ მიფიქრია. არც შოთიკო შემყვარებია მაშინვე და საერთოდ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე უბრალოდ, ქუჩაში გაცნობილი ადამიანი შემიყვარდებოდა და მისი ცოლი გავხდებოდი. მე და შოთიკომ ძალიან ადვილად გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით. ხშირად ვიხსენებდით იმ დღეს, როცა ავტობუსის გაჩერებაზე წიწილებივით გაწუწულები ვიდექით და სახლში წასვლას ვცდილობდით.

— დედამ რჩეული დაგიწუნათ?

— სწორად მიხვდით. დედაჩემს ყოველთვის რთული ხასიათი ჰქონდა. არ მახსოვს ვინმეზე ეთქვას, კარგი ადამიანიაო. ყველაში რაღაცს იპოვიდა, რის გამოც დაიწუნებდა და შემდეგ აითვალწუნებდა ხოლმე. ჩვენს ნათესავებსაც ასე ექცეოდა, ამიტომ მიჩვეული ვიყავი, რომ დედაჩემის მოსაწონს ადვილად ვერ ვიპოვიდი. თავიდან დედას ჩვენს ამბავს ვუმალავდი, თვითონაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემსა და შოთიკოს შორის რაიმე სერიოზული ხდებოდა. როცა ურთოერთობები საბოლოოდ გავარკვიეთ და ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, ჩემს მშობლებს ყველაფერი ვუთხარი. მამაჩემმა მხოლოდ ის მითხრა, გამაცანი მაინც, რომ ჩემს მომავალ სიძეზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნასო. დედაჩემმა შორს დაიჭირა, რა დროს შენი გათხოვებაა, ჯერ პატარა ხარო, არადა უკვე 27 წლის ვიყავი.

შოთიკოს ჩემი მშობლების სურვილი გავანდე და ისიც ჩვენთან მოვიდა. იმ საღამოს დედაჩემს თავი ღირსეულად ეჭირა, თუმცა შოთიკო რომ გავაცილე, დედაჩემმა ლექციების კითხვა დაიწყო — რას გავს, სად იპოვე, ასეთ ბიჭს ვერ გაგაყოლებ, შენი შესაფერისი არ არისო. მისი სიტყვები ძალიან მეწყინა და ვუთხარი კიდეც, რომ ის ჩემი რჩეული იყო და არა მისი, ამიტომ თავისი შთაბეჭდილებები კარგად შეენახა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. იმ დღის შემდეგ დედაჩემის ენა არ გაჩერებულა და თუკი ვინმე შეხვდებოდა, ყველასთან შოთიკოს აძაგებდა. მესმის, რომ დედაა და ყველა დედას უყვარს თავისი შვილი, მაგრამ მისმა ასეთმა მზრუნველობამაც დამღალა. ვერ გავაგებინე, რომ ჩემს პირად ცხოვრებაზე გადაწყვეტილებებს თავად ვიღებ და მისი დახმარება არაფერში მჭირდება. როცა ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებას იღებ, მშობლები აუცილებლად უნდა ჩააყენო საქმის კურსში, მაგრამ ის, რომ ისინი გამუდმებით ცხვირს ყოფდნენ შენს ცხოვრებაში, ეს უკვე უსამართლობაა.

— სიყვარულისთვის არ იბრძოლეთ?

— ამას ბრძოლა კი არა, გაბრძოლება ერქვა. მეტი უნდა გამეკეთებინა. ახლა კი ვხვდები, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. მე და შოთიკო გავიპარეთ, ვითომ ასე გავაპროტესტე ჩემი მშობლების დამოკიდებულება ჩემი გრძნობისადმი, მაგრამ დედაჩემმა გვიპოვნა, სახლში მოგვივარდა. ისეთი



კონცერტები ჩაატარა, ჩემი ქმრის ნათესავები შოკში ჩააგდო. მისი გაჩუმება ვერ შევძელი, ვთხოვდი, ვემუდარებოდი, რომ წასულიყო, მაგრამ სანამ თავისი სათქმელი არ თქვა, არ მოისვენა. იმ დღის შემდეგ შოთიკოს დედაჩემზე გული აუცრუვდა. ამას არასოდეს მეუბნებოდა, მაგრამ გვრძნობდი, რომ არ უყვარდა და მასთან შეხვედრას მაქსიმალურად გაურბოდა.

— მათი შერიგება ვერ შეძელით?

— ვერა. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, დედაჩემის დაყოლიება ვერ შევძელი. შოთიკო არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა, როგორც ქმარი იდეალური იყო — ჩემზე ზრუნავდა, თავს მევლებოდა, მაგრამ დედაჩემი მთელ ქალაქში იმას გაიძახოდა, ჩემი შვილი უტვინო და რეგვენია, მახინჯ ბიჭზე გათხოვდაო. იმდენი ილაპარაკა, ამ ხმებმა შოთიკოს ყურამდეც მიაღწია. ახლა რომ ვუფიქრდები, შეიძლება ეს სპეციალურადაც გააკეთა, რომ ჩვენ დავეშორებინეთ. ხანდახან მინდა, რომ დედას გავუგო, მაგრამ არ შემიძლია. არ მესმის, რატომ უნდა გინდოდეს შვილი საყვარელ ადამიანს დააშორო და ოჯახური ბედნიერება დაუმსხვრიო.

პირველად შოთიკომ ეს ამბავი რომ გაიგო, ძალიან გაბრაზდა, მხოლოდ ეს მითხრა, დედაშენს უთხარი ჩემზე სისულელეებს ნუ ლაპარაკობსო, მაგრამ როცა დედაჩემი აღარ გაჩერდა და არ დაიღალა ჩემი ქმრის ძაგებით, შოთიკოსაც ყელში ამოუვიდა და ის გააკეთა, რასაც ალბათ ნებისმიერი მამაკაცი ჩაიდენდა. ერთ საღამოსაც სახლში ძალიან გაბრაზებული მოვიდა. მითხრა, შენი ბარგი ჩალააგე, აქედან მივდივართო. ვიფიქრე, ალბათ საცხოვრებელ სახლს ვიცვლით-მეთქი და მორჩილად შევუდექი ჩემი ტანსაცმლის ჩალაგებას. მიკვირდა შოთიკო თავის ნივთებს რომ არ ალაგებდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ თვითონ არ სჭირდება ტანსაცმელი და მერე წამოიღებს-მეთქი. თურმე შოთიკოს იმ საღამოს დედაჩემი მაღაზიაში შეხვედრია და საშინელებები უთქვამს. შოთიკოს დედაჩემისთვის პირადად არაფერი უთქვამს, მაგრამ გადაუწყვეტია, ისევ ჩემს საყვარელ დედიკოსთან დავებრუნებინე, რათა სულიერი სიმშვიდე მოეპოვებინა და მისგან დაესვენა.

— დედის გამო შოთიკოს გაშორდით?

— კი, ჩემი საყვარელი დედიკოს გამო, ჩემს საყვარელ ადამიანს გავშორდი. უფრო სწორად, მან თვითონ მომიშორა თავიდან. აბა, რას იზამდა მამაკაცი, რომელსაც 24 საათი სიდედრის ძაგება ესმოდა? ზუსტად ვიცი, რომ შოთიკოს ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ იმ საღამოს ჩემი მშობლების სახლში მიმიყვანა და დედაჩემს უთხრა, აგერ თქვენი ანგელოზი, ულამაზესი და ნასწავლი შვილი და მე, მახინჯსა და უტვინოს თავი დამანებეთო. ასეთ რამეს არ მოველოდი, მაშინვე შოთიკოს გავეკიდე, დედაჩემის მაგივრად პატიებას ვთხოვდი, მაგრამ მას ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მხოლოდ ის მომაძახა, სახლში ადი და დედაშენი უკეთესად მოგიყვება, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, როცა ეგ ქალი ჩემს ძაგებას და დამცირებას შეწყვეტს, ჩემთან მაშინ წაგიყვანო. დედაჩემის პოზიცია ჩემს ქმართან დაკავშირებით ისედაც ვიცოდი და ამიტომ მინდოდა ყველაფერი ჯერ ჩემი საყვარელი ადამიანისგან გამეგო, მაგრამ ჩემმა ქმარმა არაფერი მითხრა.

— დედამ რა პასუხი გაგცათ?

— რა უნდა ეთქვა? დაიწყო ისევ თავისი აზრების ფრქვევა. როცა ვუთხარი, ქმარი შენს გამო გამშორდა, ოჯახი რატომ დამინგრიე-მეთქი, მიპასუხა, პირიქით, უნდა ილოცო ჩემზე რომ მაგ მახინჯს ჩამოგაშორე, ახლა შესაფერის კაცს გიშოვნი და ისე ბედში ჩაგაგდებ, მაგ შენს შოთიკოს ათასი წელი რომ არ დაესიზმრებაო. არადა, დამიჯერეთ, შოთიკო ძალიან, ძალიან სიმპათიური ბიჭია და ჩვენი დასაწუნი არაფერი სჭირს.

— შვილი არ დაგრჩათ?

— არა, შოთიკოსგან შვილი არ დამრჩა. დედაჩემმა იმდენი მოახერხა, რომ მე და შოთიკო საბოლოოდ დაგვაშორა. მასთან დალაპარაკება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არ გამოვიდა. ამ ამბავმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ჩემმა საყვარელმა დედიკომ ჩემს საყვარელ მამაკაცს ჩემი თავი სახლში საკუთარი ხელით მიაყვანინა. ამის პატიება ძალიან გამიჭირდა, საკუთარ თავში ჩავიკეტე, არავის ნახვა არ მინდოდა, დედაჩემი კი ყოველ საღამოს იმაზე მელაპარაკებოდა, როგორ ვიპოვიდი სულ მალე ჩემთვის შესაფერის ოცნების პრინცს. ეს დღე კი არადა არ დადგა და ახლა უკვე აღარასოდეს დადგება.

— მეორედ აღარ გათხოვილხართ?

— არა, ამის სურვილი არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემის შერჩეული მთხოვნელები ჩემს მოხიბლვას ათასგვარი ხერხებით ცდილობდნენ, შოთიკოს შემდეგ ბედი აღარავისთვის დამიკავშირებია. ახლა უკვე 45 წელს გადავცილდი და ვინლა მითხოვს? მე კი არა, 25 წელს გადაცილებული გოგონები ვერ თხოვდებიან. ქუჩაში რომ მივდივარ და ხელჩაკიდებულ დედა-შვილს ვხედავ, გული მიკვდება, მეც ძალიან მინდა შვილი მყავდეს.

ახლა, როცა საკუთარ თავთან ვრჩები, ვგრძნობ, რომ შოთიკო ისევ ისე მიყვარს, როგორც იმ პერიოდში, როცა ერთად ვიყავით. დღეს უკვე მარტოხელა ქალი ვარ, ახლა რაღა დროს ჩემი გათხოვებაა. დედაჩემის „მონდომებამ" იმდენი ქნა, რომ აღარც საკუთარი ოჯახი მაქვს და აღარც შვილი მყავს, რომ სიბერეში მისი იმედი მაინც მქონდეს. ჩემი ერთადერთი ნუგეში ახლა უნივერსიტეტი, ის სტუდენტები და აბიტურიენტებია, რომლებსაც ჩემს ცოდნას გადავცემ. დედაჩემი ორი წლის წინ გარდაიცვალა. სამ თვეში მამაჩემიც მიყვა და დავრჩი ასე მარტო — სრულიად მარტო, დედმამიშვილი მე არ მყავს და ახლო ნათესავი, რომ ვინმეს შევეკედლო. ხშირად მივდივარ ჩემი ბავშვობის მეგობრებთან, მაგრამ სახლში რომ ვბრუნდები, საშინელი სიცარიელე მხვდება. არც ეს პროფესორობა მინდა და არც ლექტორობა, სულ იმას ვოცნებობ, პატარა ოჯახი მქონდეს, სადაც სამსახურიდან დაღლილს მზრუნველობით შემეგებებიან.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### dfh]bibvjvfdfkbltlt,bcsdbc



მომავალი დედიკოებისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია სწორი ვარჯიში, როგორც სწორი კვება. პირველ ტრიმესტრში ნებისმიერი მკვეთრი მოძრაობა საშიშია, ამიტომ ექიმები ამ დროს ორსულებს მაქსიმალურ სიმშვიდეს ურჩევენ. მეორე ტრიმესტრიდან კი მომავალ დედიკოებს უკვე შეუძლიათ ვარჯიშებს შეუდგნენ.

ვარჯიშების შერჩევისას საჭიროა არაერთი ფაქტორის გათვალისწინება — ქალის ასაკი, ორსულობის ვადა, ფიზიკური მომზადება თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამიტომ საუკეთესო ვარიანტია ყველა ვარჯიში გინეკოლოგისა და მეთოდისტის ერთობლივი კონსულტაციით ჩატარდეს. ყოველთვის გახსოვდეთ — განურჩევლად იმისა, თუ ორსულობის რომელ პერიოდში გადაწყვეტთ ვარჯიშის დაწყებას, გინეკოლოგთან კონსულტაცია აუცილებელია.

სამკურნალო ფიზკულტურის ერთადერთი მიზანი ორსულობისა და მშობიარობის ნორმალური მიმდინარეობისა და ნაყოფის სრულყოფილი განვითარების ხელშეწყობაა. ვარჯიშის დროს მნიშვნელოვანია სწორი სუნთქვა. ამ დროს შესაძლებელია მუცლის პრესის, მენჯის ფუძის კუნთების ტონუსისა და ელასტიკურობის მოსამატებელი ვარჯიშები. ეს ყველაფერი მშობიარობის პროცესს გააადვილებს, შეამცირებს ნახევების გაჩენის ალბათობას, ხელს შეუშლის შიგნითა სასქესო ორგანოების გამოვარდნას და მშობიარობის შემდეგ მუცლის წინა კედლის მოშვებას.

მეორე ტრიმესტრში გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა ზურგისა და მუცლის კუნთებს. მეთოდისტი არჩევს ვარჯიშებს, რომლებიც ხერხემლისა და მენჯის შესახსრებების მოქნილობასა და პლასტიკურობას აძლიერებს. მომავალი დედიკო ავარჯიშებს ფეხის კუნთებს ვენური შეგუბების პროფილაქტიკისთვის.

დაიმახსოვრეთ — ორსულობის ამ პერიოდშიც კატეგორიულად აკრძალულია ხტომა, მკვეთრი ბრუნვა, ძალისმიერი ვარჯიშები, ასევე ის ვარჯიშები, რომლებიც მოითხოვს ხელების სწრაფად აწევას, სხეულის აჭიმვას, სუნთქვის შეკავებას. ვარჯიშის დროს სუნთქვა და პულსი არ უნდა გახშირდეს, უკიდურეს შემთხვევაში, უმნიშვნელოდ უნდა მოიმატოს.

### cfcfhut,kj vwtyfhtt,b

***ჭინჭარი*** — მრავლად შეიცავს ჭიანჭველას მჟავას, სწორედ ის იწვევს დასუსხვას. ამ მცენარეს მრავლად აქვს სასარგებლო თვისებები. მისი მეშვეობით ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში სისხლდენას აჩერებდნენ. XV საუკუნიდან კი ამ მცენარეს ფართოდ იყენებდნენ ფილტვისმიერი, კუჭნაწლავისმიერი და საშვილოსნოსმიერი სისხლდენის შესაჩერებლად. ეს უნიკალური ეფექტი კი მასში უხვად შემავალი კა ვიტამინის დამსახურებაა. ჭინჭარი მდიდარია ცე ვიტამინით, კაროტინით, ბე ჯგუფის ვიტამინებით და ორგანული მჟავებით. ძირითადად სამკურნალოდ მცენარის ფოთლებს იყენებენ. მათი მოკრეფა ყველაზე კარგია ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით. ჭინჭრის ნაყენი მარგებელია ანემიის, ათეროსკლეროზის, რევმატიზმის, ღვიძლისა და თირკმლის ზოგიერთი დაავადების, ბუასილის დროს. არანაკლებ ეფექტურია ლაქტაციის გასაძლიერებლადაც.

თუკი ჭინჭრის ნაყენის მომზადება გადაწყვიტეთ, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევა — 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით ერთი ჭიქა წყალი, ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე, გააგრილეთ, გაფილტრეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში 4-5-ჯერ.

დასალევი ნაყენების გარდა, ჭინჭარი ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში. ის თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალებაა.

***შროშანი*** — ამ მცენარეს მრავალ ქვეყანაში განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან. საფრანგეთში მისი სახელობის დღესასწაულიც კი იმართება. შროშანი მდიდარია სხვადასხვა ნივთიერებით — ფლავონოიდებით, საპონინებით, ალკალოიდებით, ვაშლის, ლიმონის, ასპარაგინის მჟავებით, მაგრამ მასში ყველაზე მეტი მაინც საგულე გლიკოზიდია. ეს ქიმიური ნაერთი განსაზღვრული დოზით სამკურნალო თვისებების მატარებელია, სიჭარბე კი ორგანიზმზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.საგულე გლიკოზიდების წყალობით შროშანის ექსტრაქტის შემცველი პრეპარატები გულის ისეთი დაავადებების დროს გამოიყენება, როგორიცაა მიოკარდიტი, გულის უკმარისობა, კარდიოსკლეროზი. შროშანზე დამზადებული ზოგიერთი პრეპარატი დამამშვიდებელ ეფექტსაც ახდენს. გლიკოზიდების მცირე დოზა გულის მუშაობას ასტიმულირებს, მაგრამ მათი სიჭარბის დროს ვითარდება ძლიერი არითმია და გულის ელექტრული გამტარობის ბლოკადა.

გერმანელმა პროფესორებმა ხანგრძლივი კვლევის შემდეგ დაადგინეს, რომ შროშანის სურნელი ორჯერ აჩქარებს სპერმატოზოიდის მოძრაობას. მათი განცხადებით, თუ სქესობრივი აქტის დროს ქალი მისი ექსტრაქტის შემცველ საცხს გამოიყენებს, ჩასახვის ალბათობა გაიზრდება.

შროშანის ნაყენის ან ნახარშის მომზადებისა და მიღებისას ყურადღება და სიფრთხილეა საჭირო. თუკი მას გადაჭარბებული დოზით მოიხმართ, შესაძლოა მოიწამლოთ. ამის პირველი ნიშნები კი არის გულისრევა და ღებინება, ფაღარათი, თავის ძლიერი ტკივილი, პულსის შესუსტება, მხედველობის გაუარესება, კრუნჩხვა, გონების დაკარგვა.

შროშანის ნაყენი ასე მზადდება: 1. აიღეთ 10 გრამი შროშანის ყვავილი, 20 გრამი კამის ნაყოფი, 30 გრამი პიტნის ფოთოლი და 40 გრამი კატაბალახას ფესვი. 10 გრამ ნარევს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და 15 წუთი ადუღეთ წყლის ორთქლზე. გადაწურეთ და ისევ წამოადუღეთ. მიიღებული ნაყენი მიიღეთ დღეში 3-ჯერ გულის იშემიური დაავადების დროს.

2. აიღეთ 1 სუფრის კოვზი შროშანის ღერო ფოთლებიანად, დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ ნახევარი საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 1-2 სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე ნერვული აშლილობის, ჩიყვის, საერთო სისუსტის დროს.

3. თუ გინდათ სპირტხსნარის მომზადება, საჭიროა, დააყენოთ მცენარე 70%-იან სპირტზე თანაფარდობით 1:5. ეს ნაყენი მიიღეთ 15 წვეთი დღეში 3-ჯერ ჭამამდე ჩიყვის დროს. არ დაგავიწყდეთ, რომ ამავე დროს ის ეფექტური შარდმდენი და მომაძლიერებელი საშუალებაცაა.

***ქაცვი*** — მისგან საკმაოდ გემრიელი სასმელი მზადდება, რომელიც ასევე სასარგებლოა. ქაცვი მდიდარია ცე, ბე1, ბე2, ბე6 და პე ვიტამინებით. ის შეიცავს ნიკოტინისა და ფოლიუმის მჟავებს, კაროტინს, კალიუმს, კალციუმსა და სხვა მიკროელემენტებს, უჯერ ცხიმოვან და ორგანულ მჟავებს, ფლავინოიდებს.

ქაცვი ძირითადად გამოიყენება კანის სხვადასხვა სნეულების, წყლულოვანი დაავადების, ცე ვიტამინის ნაკლებობის, ქრონიკული დაღლილობის სამკურნალოდ. ამ მცენარის ნაყოფს მკვებავი, ანთების საწინააღმდეგო, აღმდგენი და ბიომასტიმულირებელი ეფექტი აქვს. ქაცვი პოპულარულია კოსმეტიკაში, არბილებს კანს, ანიჭებს ელასტიკურობას და იცავს ნაოჭებისგან. ორგანიზმის მოსაძლიერებლად და ძალების აღსადგენად კი ქაცვისგან მომზადებული სასმელებს იღებენ.

**თიკო ნინიაშვილი**

# საბერძნეთის პარლამენტმა რეფორმებს განმეორებით დაუჭირა მხარი

საბერძნეთის პარლამენტმა მეორე კენჭისყრით მოიწონა მკაცრი ეკონომიის ზომების პაკეტი, რომლის მიღებაც ევროკავშირისა და მსოფლიო სავალუტო ფონდისაგან შემდგომი ფინანსური დახმარების მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

დეპუტატების უმეტესობამ მხარი დაუჭირა ბერძნებს შორის მეტად არაპოპულარული ზომების პაკეტს, რომელიც გადასახადების გაზრდას, ხელფასებისა და სამუშაო ადგილების შემცირებასა და პრივატიზაციას გულისხმობს.

საბერძნეთის მოსახლეობის რეაქცია მკვეთრად უარყოფით იყო. პარლამენტში მიმდინარე დებატებს თან ახლდა გაფიცვები და ქუჩაში ძალადობის შემთხვევები.

პარლამენტის შენობის წინ მდებარე სინტაგმას მოედანზე, დედაქალაქ ათენში, მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა შეტაკებები ახალგაზრდებსა და პოლიციებს შორის. წესრიგის დამცველები იძულებული გახდნენ, ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინათ.



აქციის მონაწილეებმა ცეცხალი წაუკიდეს საფოსტო განყოფილებას. საფოსტო განყოფილება ფინანსთა სამინისტროს შენობაში მდებარეობს და ეს შენობაც სინტაგმას მოედანს გადაჰყურებს. პარლამენტის მიერ მოწონებული პაკეტი გულისხმობს პრივატიზაციის სააგენტოს შექმნას, სახელმწიფოს უძრავი ქონების პრივატიზაციისათვის მომზადებას, გადასახადების გაზრდას, საზოაგდოებრივ სექტორში მუშახელის დაქირავების შემცირებას, სოციალური დახმარებების რეგულირებას.

ამ კენჭისყრის წყალობით საბერძნეთი დროულად მიიღებს 110 მილიარდი დოლარის კრედიტის ბოლო ტრანშს და დეფოლტს გადაურჩება.

გარდა ამისა, ანალიტიკოსების ვარაუდით, პრობლემები სესხის მიღებისა და მკაცრი ეკონომიკის ზომების პრაქტიკული გამოყენების დროს დაიწყება.

კენჭისყრის შედეგებმა ათენში მღელვარების მორიგი ტალღა გამოიწვია. ნიღბიანი და ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებული დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან ხუთშაბათს დილამდე გრძელდებოდა.

საბერძნეთში მიმდინარე მღელვარების მიუხედავად, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ და ევროკავშირის პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ კენჭისყრის შედეგები მოიწონეს, რადგან ისინი საბერძნეთისათვის მორიგი სესხის გადაცემას უხსნიან გზას.

საგანგებო ზომების პაკეტი, რომელიც ბიუჯეტის ხარჯების 28 მილიარდი ევროთი შეკვეცას გულისხმობს, პრემიერ-მინისტრმა გეორგიოს პაპანდრეუმ წამოაყენა.

პარლამენტს ამ პაკეტისათვის მხარი რომ არ დაეჭირა, რამდენიმე კვირის შემდეგ საბერძნეთი უფულოდ დარჩებოდა.

საბერძნეთის პროფკავშირები ამ პაკეტით მეტად უკმაყოფილო არიან. ისინი ამტკიცებენ, რომ მრავალრიცხოვანი შემცირებების შემდეგ, რამაც უმუშევრობის 16%-მდე გაზრდა გამოიწვია, გადასახადების შემდგომი ზრდა ყველაზე მეტად მინიმალური შემოსავლის მქონე ადამიანებს დააზარალებს.

საბერძნეთის ვალი 340 მილიარდ ევროს აღწევს, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადათვლით 31 ათას ევროს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე გადაუხდელი გადასახადების ოდენობა კი 3 ათას ევროს შეადგენს. 2010 წლის შემდეგ ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფოს ვალი 2.150 ევროთი გაიზარდა.

**გ.თ.**

# პოლონეთის დაღუპული პრეზიდენტის ძმა კვლავ რუსეთს ადანაშაულებს

ავიაკატასტროფაში დაღუპული პოლონეთის პრეზიდენტის ძმა, იაროსლავ კაჩინსკი, კვლავაც ამტკიცებს, რომ სმოლენსკის მახლობლად მომხდარი ავიაკატასტროფის პასუხისმგებლობა რუსეთის მხარეს ეკისრება. ოთხშაბათს საღამოს კაჩინსკიმ და პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ ჯგუფის ხელმძღვანელმა ანტონიუს მაცარევიჩმა წარმოადგინეს ე.წ. თეთრი წიგნის პირველი ნაწილი. ეს წიგნი ტრაგედიის საკუთარი გამოძიების შედეგებს წარმოადგენს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის საავიაციო ხელისუფლებს ძლიერი ნისლის გამო სმოლენსკის აეროდრომი უნდა დაეხურათ, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა.



მაცარევიჩის თქმით, პოლონელი პილოტები მათ განზრახ გაწირეს სასიკვდილოდ.

ხუთშაბათს ვარშავაში ამ წიგნის მეორე ნაწილი იქნა წარმოდგენილი, სადაც უკვე ავიაკატასტროფის გარემოებების შესახებ არის ლაპარაკი.

პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი ტუ-154 სმოლენსკის მახლობლად სამხედრო აეროდრომზე დაშვების დროს დაიმსხვრა. თვითმფრინავში იმყოფებოდა 96 ადამიანი და ცოცხალი არავინ გადარჩენილა. დაღუპულთა შორის იყვნენ პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, მისი მეუღლე მარია, აგრეთვე ოფიციალური დელეგაციის წევრები.

პოლონეთის ხელმძღვანელობა 1940-იან წლებში საბჭოთა შინსახკომის თანამშრომლების მიერ დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების დაკრძალვის ადგილას სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობას აპირებდა.

რუსეთში მდებარე სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომიტეტმა გამოძიების შემდეგ კატასტროფის პასუხისმგებლობა პოლონელ პილოტებს დააკისრა, რომლებმაც სხვა აეროპორტისაკენ გაფრენა არ ისურვეს.

ვარშავაში ამ კომიტეტის გამოძიების შედეგებს არაობიექტურად მიიჩნევენ, რადგან ამ უწყების ანგარიშში მხოლოდ პილოტების შეცდომის შესახებ არის საუბარი. სმოლენსკთან მომხდარი ტრაგედიის ერთი წლისთავთან დაკავშირებით პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა ბიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ მოსკოვი კატასტროფის შესახებ სრულ სიმართლეს არ ლაპარაკობს. პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ის არის, რომ საკუთარი შეცდომების აღიარება არავის უყვარს.

პოლონეთის ოპოზიციური პარტია „სამართალი და სამართლიანობა“ თავის ბრალდებებში უფრო შორს მიდის. „თეთრი წიგნის“ ავტორების აზრით, რუსეთის ხელისუფლების დანაშაულს ადასტურებს აგრეთვე ავიადისპეტჩერების ჩანაწერები.

ოქტომბერში პოლონეთში მორიგი არჩევნები გაიმართება და ამ არჩევნებში „სამართალმა და სამართლიანობამ“ შეიძლება მეორე ადგილი დაიკავოს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გამარჯვება კვლავ მმართველ „სამოქალაქო პლატფორმას“ დარჩება, რომელსაც ტუსკი ხელმძღვანელობს. სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის გამოძიების შედეგები მრავალი პოლონელის უკმაყოფილების მიზეზი გახდა და კაჩინსკიმ ტუსკის პოზიციას ღალატის ტოლფასი უწოდა. მიმომხილველების თქმით, ტრაგედიის გამოძიების საკითხი წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ თემად შეიძლება იქცეს.

# რუსეთი ავიამზიდისა და ატომური ნაღმოსნის აგებას გეგმავს

2016 წლისათვის რუსეთი ახალი ავიამზიდის მშენებლობასა და პროექტირებას დაიწყებს, ხოლო მანამდე შეიარაღებაში მიიღებს ატომურ, ოკეანის წყლებისათვის განკუთვნილ ნაღმოსანს.

ამ განცხადებით სანკტ-პეტერბურგში გამართულ საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სალონზე რუსეთის გაერთიანებული გემთმშენებელი კორპორაციის ხელმძღვანელი რომან ტროცენკო გამოვიდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ამ ინფორმაციის კომენტირებას თავი აარიდა.

ამჟამად რუსეთის ფლოტის შეიარაღებაშია მძიმე ავიამზიდი, კრეისერი „საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი კუზნეცოვი“, რომელიც 1985 წელს არის აგებული.

ამ ხომალდის საბრძოლო თვისებებს სპეციალისტები არცთუ ფრიადზე აფასებენ.

სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ რუსეთს, გარდა ავიამზიდისა, ავიამზიდებისათვის განკუთვნილი თვითმფრინავების დაპროექტებაც მოუწევს, გარდა ამისა, ავიამზიდს სხვა მხარდამჭერი ხომალდებიც სჭირდება.

რაც შეეხება ატომური ნაღმოსნის შექმნას, ეს პროექტი, სპეციალისტების აზრით, გაცილებით უფრო რეალისტურია. ავიამზიდების მშენებლობის გეგმების შესახებ რუსი მოხელეები წარსულშიც გამოსულან. ასე მაგალითად, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა ვლადიმირ ვისოცკიმ 2010 წელს განაცხადა, რომ რუსეთის ფლოტის მთავარი ავიამზიდი წყალში 2020 წელს შეიძლება ჩაუშვან. რუსი სამხედროების თქმით, ავიამზიდების გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური აქტების სამხედრო ძალით მხარდაჭერა შეუძლებელი იქნება. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ, რომ ავიამზიდების შექმნას მრავალი სახელმწიფო ცდილობს, მათ შორის, ბევრი — ძველი საბჭოთა ავიამზიდების ბაზაზე. ამჟამად აშშ-ს 11 ავიამზიდი გააჩნია, იტალიას — 2. თითო ავიამზიდი აქვთ საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, ინდოეთს, ბრაზილიას, ტაილანდსა და ჰოლანდიას.



ივნისში ცნობილი გახდა, რომ ჩინეთი ცდილობს დაასრულოს 10 წლის წინ ნაყიდი საბჭოთა, დაუმთავრებელი ავიამზიდი, კრეისერი „ვარიაგი“.

ავიამზიდი „კუზნეცოვი“ და მისი ტყუპისცალი, ჩინეთის მიერ ნაყიდი „ვარიაგი“, ჯერ კიდევ დაპროექტების ეტაპზე მის კონსტრუქციაში ჩადებული ხარვეზების გამო ხშირი კრიტიკის ობიექტი ხდებოდა. სამხედრო სპეციალისტების თქმით, ხომალდის კონსტრუქცია მთლიანად კომპრომისებისაგან შედგებოდა, რადგან ეს ხომალდი ატარებდა როგორც კრეისერის, ასევე ავიამზიდის, რაკეტმზიდის, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ხომალდის ნიშნებს.

ახალი პროექტი კი რუსეთის მიერ ატომური ავიამზიდის შექმნას გულისხმობს.

თუმცა, ექსპერტების ერთი ნაწილი რუსეთის მიერ ავიამზიდის შექმნის შესაძლებლობით დაეჭვებას გამოხატავს. მათი თქმით, რუსეთს არ გააჩნია არც ერთი ხომალდი, რომელსაც სრულფასოვანი ავიამზიდი შეიძლება ეწოდოს. გარდა ამისა, რუსეთს არ გააჩნია მრავალი ტექნოლოგია, რომელსაც აშშ-ის დამკვრელი ავიამზიდები იყენებენ. მათ არ გააჩნიათ კატაპულტები, წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო და შორეული რადიოლოკაციური დაზვერვის თვითმფრინავები.

გარდა ამისა, ავიამზიდი ცალკე დიდ ძალას არ წარმოადგენს და მას გემების მთელი ჯგუფი უნდა ახლდეს თან.

**გ.თ.**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნინო გვაზავას ხსოვნას!



2 ივლისს ერთი წელი გავიდა იმ თავზარდამცემი დღიდან, რაც ტრაგიკულად დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. იმდენად სათნო, სიყვარულისა და სიკეთის უხვად გამცემი იყავი, ალბათ დაიმკვიდრე შენი წმინდა ადგილი სასუფეველში. ჩვენ დაგვიტოვე დიდი ტკივილი, ცრემლნარევი, ლამაზი მოგონებები შენზე და უსაზღვრო მონატრება. ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მტკივნეულია გავლა მტკვრის იმ სანაპიროზე, სადაც ავტოკატასტროფას ემსხვერპლა შენი სიცოცხლე, ვკითხულობთ მიცვალებულის ლოცვას და ღმერთს ვთხოვთ, შენი სულის მარადიულ ნათელში ყოფნას. მუდამ ცრემლითა და ტკივილით გიგონებენ შენი პატარა პაციენტები, მათი მშობლები, ყველას გული სტკივა, რომ მუდამ ღიმილიანი, კეთილშობილი, მზრუნველი და უანგარო ნინო ექიმი მათ არ ხვდება. შენი აჩრდილი მუდამ ჩვენ გვერდითაა, ჩვენო უსაყვარლესო და სანატრელო ადამიანო!

**აფხაზეთის ბავშვთა პოლიკლინიკის კოლექტივი**

რკინიგზის ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი სამძიმარს უცხადებს ოჯახს ღვაწლმოსილი პედაგოგის

**ცირა გრიგოლის ასულ დვალის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული საესტრადო მუსიკალური ნაწარმოები; 2. იაპონური აბანო; 3. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 5. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 12. ავსტრალიის დედაქალაქი; 14. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 15. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად:** 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. ამერიკელი მრეწველი, საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 7. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 9. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. „ყვარყვარე თუთაბერი“-ს ავტორი; 13. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი ტყვია; 17. ზომიერი კლიმატური სარტყელის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. პლისკა; 5. ომანი; 6. „საფერავი“; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კოსტავა; 14. პლევრა; 15. ფინიკი; 16. „ოტელო“.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. კოდექსი; 7. სტოუნი; 9. კადიმა; 11. ტრაპეზი; 12. კაჭარავა; 13. ერმისა; 17. კელარი; 18. ეირე; 19. სვაროვსკი; 20. რიტორიკა.

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბაგები; 2. სერალი; 3. გუაში; 5. ლაჟი; 6. „ჩინური“; 8. იკორთა; 11. ფერეიდანი; 13. პორთოსი; 15. „ბილაინი“; 14. კოკაინი; 19. სუში.

**თარაზულად:** 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. გოზაური; 9. შეიკერი; 10. ეფელი; 12. პარალიზი; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. პრესინგი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6544 | ევრო —2,3524 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6464 | რუსული რუბლი — 0,0583 |

## ამინდის პროგნოზი 2 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 15-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 12-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 19-18








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## კრისტიანას კრიშტიანუ შეჰყვარებია

მადრიდის „რეალის" პორტუგალიელი ვარსკვლავი, კრიშტიანუ რონალდუ, არა მხოლოდ მოდელებს, მსახიობებსა და სხვა ამგვარი პროფესიის წარმომადგენელ გოგონებს მოსწონთ, თვით ფეხბურთელებსაც კი ჩავარდნიათ გულში. არ იფიქროთ, საქმე არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე იყო — რონალდუზე შეყვარებულია ერთ-ერთი ფეხბურთელი, მაგრამ ეს ფეხბურთელი ქალია და ბრაზილიის ქალთა ნაკრებში თამაშობს. საუბარია ცნობილ კრისტიანაზე, რომელმაც ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ მას რონალდუ ისე იზიდავს, როგორც მამაკაცი და აღფრთოვანებულია მისი გარეგნობით.



კრისტიანა თამაშობს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმართება. ბრაზილია ამ ტურნირზე, ტრადიციულად, ფავორიტია, რაც, არავისთვის არაა უცხო.

უნდა ითქვას, რომ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ფეხბურთელ მამაკაცს ცოლად ფეხბურთელი ქალი მოუყვანია.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 2 ივლისი — არ აჩქარდეთ

**ვერძი** — მშვიდად იმოქმედეთ, აჩქარება არ გარგებთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად წავა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვიდად იყავით, ნუ აყვებით ჭორებს. **მერწყული** — წარმატებული ადამიანის იმიჯი გშვენით. **თევზები** — გზიდან ფულს მიიღებთ.

### 3 ივლისი — წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულის პრობლემა გაღიზიანებთ, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდება. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — ახალი სამსახური ძალიან მოგეწონებათ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, რაღაცის არჩევა მოგიწევთ. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **სასწორი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** — საქმე კარგად წაგივათ, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — რომანტიკული თავგადასავალი გახარებთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი კარგად იქცევა და შექებას იმსახურებს. **მერწყული** — ნუ აჰყვებით პროვოკაციულ გამოსვლებს, რა თქვენი საქმეა. **თევზები** — შორს წასვლა არ ღირს, სახლთან ახლოს იტრიალეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 1 ივლისიდან

გაზეთი „ახალი თაობა" და გამომცემლობა „კლიო"




# გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას

# საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა

**გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი**


## იუმორი



— ნატოს დედა მათემატიკაში სუსტია, ნატო ამიტომაც დაიბადა...

***

— შენ სუსტი სქესი უძახე და რამდენ ძალასა და ენერგიას გვართმევს...

***

— ჩემი ქმარი სულ მივლინებებში დადის და ვეჭვობ, რომ მღალატობს, — ეუბნება ქალი მკითხავს.

მკითხავმა გაკვანძული ძაფი და პატარა ქილა მისცა რაღაც სიტხით.

— აი, ეს გაკვანძული ძაფი გაატანე თან და უთხარი, რომ თუ გიღალატა, ამ ქილაში ჩაშვებული კვანძი ფერს შეიცვლის.

— გამოდის, კვანძის ფერის მიხედვით გავიგებ, მღალატობს თუ არა?

— არა, — პასუხობს მკითხავი.

— აბა, როგორ?

— თუ გითხრა, რომ კვანძი დაკარგა...

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქალაქი იმერეთში; 2. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცებულებების გზით; 3. შოტლანდიის ადმინისტრაციული ცენტრი; 4. ამერიკული, ზებგერითი სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 5. ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა; 9. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა მცირე ჯგუფი; 10. ისტორიული ტყე-პარკი ვენაში; 14. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში; 15. ციხე-ქალაქი ჰერეთში; 16. წყნარი, უშფოთველი ცხოვრება; 19. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. მაფიის მეორე სახელწოდება იტალიაში; 21. დიდი მახრჩობელა გველი.

**თარაზულად:** 6. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვი; 7. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 8. გერმანული ქიმიურ-ფარმაცევტული კომპანია; 11. უნებლიე შეცდომა; 12. თბილისის მმართველი მე-12 საუკუნეში; 13. ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მინერალი; 17. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. პროვინცია ესპანეთში, ზეთისხილის უმსხვილესი მწარმოებელი; 22. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 23. გონებაჩლუნგობის, ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 25. ფრანგული ვეტმფრენმზიდი სამხედრო გემი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა





ლურჯი წითელი ყვითელი შავი